ძველის ფეთი

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი

№6 (255)

1-30 სექტემბერი 2017

ფასი 1 ლარი

გამოდის თვეში ორჯერ

რევაზ მიშველაძე

რევაზ მიშველაძის სიტყვა საქართველოს მწერალთა კავშირის 100 წლისთავის იუბილეზე, რომელიც გაიმართა 2017 წლის 20 ივნისს რუსთაველის თეატრში.

ბატონებო!

ჩვეულებრივად იუბილეს საზეიმო ხასიათი აქვს ხოლმე, მაგრამ ალბათ შეამჩნევდით, რომ ჩვენს დღევანდელ თავყრილობას ცოტა არ იყოს სევდიანი, დრამატული ელფერი დაჰკრავს.

ჩვენ, ქართველ მწერლებს არ გვეზეიმება.

არ გვეზეიმება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აღარ თავდება ხელისუფლების მიერ ქართველი მწერლების წინააღმდეგ ამ საუკუნის დასაწყისში დაწყებული ომი, რომელსაც, ჩემდა სამწუხაროდ, წარმატებით აგრძელებს ახლანდელი ხელისუფლება.

ჩვენ იგნორირებას და შევიწროვებას მიჩვეული ვართ, მაგრამ როგორც ჩანს, ესენი ჭკუას ვერ სწავლობენო და მთავრობა აშკარა შეტევაზე გადმოვიდა.

მაშინ ჯერ კიდევ პარლამენტის წევრი ვიყავი, როცა ერთმა უხიაგმა „პოლიტიკოსმა“ კანონპროექტი შემოიტანა – ლიკვიდირებულ იქნას მწერალთა კავშირიო.

მწერალთა კავშირის ლიკვიდაცია არავის მოსვლია თავში საქართველოს ისტორიის ყველაზე მკაცრ პერიოდშიც კი, პირიქით ლავრენტი ბერიამ რუსთაველის 750 წლის იუბილე ჩაატარა.

მაშინ 2001 წელს, იმ უგუნურ პარლამენტარს კუდით ქვა ვასროლინეთ, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ხელისუფლებაში მოვიდა, მან მაინც მოახერხა მწერალთა კავშირის მიმართ ისტორიული დანაშაულის ჩადენა.

2007 წლის 21 აგვისტოს ღამის სამ საათზე მან მწერალთა სასახლეს ზონდერ ბრიგადა შემოუსია და ნიღბიანმა ავისმქნელებმა ქუჩაში გადმოყარეს გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ლადო ასათიანის, გიორგი ლეონიძის და სხვათა პირადი მემორიალური ნივთები. ამ ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ 10 წელი გავიდა და იმ ნივთების კვალი არ ჩანს.

რა იცოდა შიზოფრენიით შეპყრობილმა გლობალისტმა სოროსელმა, რომ იმ ღამით მწერალთა სასახლიდან მან შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა–ფშაველა გამოაძევა.

რისთვის იყო საჭირო მწერალთა კავშირის დაშლა?

იმისთვის, რომ გავთითოკაცებულიყავით და საქართველოს პირქვე დამხობის მოსურნეთა წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკვრის შესაძლებლობა არ გვქონოდა.

რისთვის იყო საჭირო მწერალთა კავშირის შენობის წართმევა?

იმისთვის, რომ ქართველ მწერლებს ტრიბუნა არ გვქონოდა და მწერალთა სასახლის მაღალი ტრიბუნიდან არ მიგვემართა საყვარელი ერისთვის თავისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგებით.

რისთვის იყო საჭირო მწერალთა კავშირის ბაღში ზეძვირადღირებული რესტორნის გახსნა?

იმისთვის, რომ უფულო (და ასეთია მწერალთა აბსოლუტური უმრავლესობა) მწერალს მეორე მწერალთან შეხვედრის და ლიტერატურის პრობლემებზე მშვიდი მუსაიფის საშუალება არ მისცემოდა.

ამას წინათ ლტოლვილმა პროფესორმა, ემზარ კაკულიამ დამირეკა, ბატონო რეზო, ქალიშვილი გამითხოვდა და სიძე-პატარძალს მწერალთა კავშირის შენობაში სურათის გადაღება უნდათო. მივმართეთ მწერალთა სახლის დირექტორს, ვინმე ნატაშა ლომოურს და შენობაში სურათის გადასაღებად შეშვებაში 400 ლარი მოგვთხოვაო.

ვაი, სირცხვილო?

და თქვენ გგონიათ ეს არ იცის კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ?

იცის, ძალიან კარგად იცის.

ზემოთ შოთა რუსთაველი ვახსენე.

შარშან საქართველოს ხელისუფლებას ეყო სითამამე (უტიფრობა კინაღამ წამომცდა), რომ შოთა რუსთაველის იუბილე ჩაეშალა.

რუსთაველის 850 წლისთავი აღნიშნეს პარიზში, მიუნხენში, ბერლინში, ლონდონში, ოსლოში, პეტერბურგში, მოსკოვში და მრავალ სხვა ქალაქში.

საქართველოში, რუსთაველის სამშობლოში კი შოთა რუსთაველის იუბილე, მიუხედავად მწერალთა კავშირის მუხლჩაუხრელი რუდუნებისა, დანაშაულებრივად აიკრძალა.

არ არის ეს ისტორიული დანაშაული, ისე როგორც 2007 წელს მწერლებისთვის დავით სარაჯიშვილის მიერ დანატოვარი სასახლის წართმევა?

სამწუხაროდ, ამ „სამართლებრივ სახელმწიფოში“ არც ამ დანაშაულზე მოეთხოვება პასუხი მავანს და მავანს.

რატომ გაუსწორეს ანგარიში 850 წლის შემდეგ შოთა რუსთაველს?

იმიტომ ხომ არა, რომ მან „ვეფხისტყაოსანში“ საყოველთაო სიკეთე და ადამიანთა თანასწორობა იქადაგა ამ სიტყვებით:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან
მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა
შენმცა ნუ მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი
თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი, ზღვათაცა
შესდის და გაედინების“.

რატომ აითვალისწუნეს დღეს მწერალთა კავშირი ძლიერთა ამა ქვეყნისათა?

იმ დაუმორჩილებლობის და მოუთვინიერებლობის გამო, რასაც იგი ათეული წლების განმავლობაში ავლენდა.

მათი შავბნელი გონებით მწერალთა კავშირი უნდა დაიშალოს თუნდაც იმის გამო, რომ მურმან ლებანიძემ თქვა:

„მე რომ სიკვდილი მჭირს,
ხომ შენგნით, ჩემო ედემო,
ამბავს ნაუღებთ ვის,
თქვენ ფრინველებო ღვთის,
წითელფეხება მტრედებო!“

მათი აზრით, მწერალთა კავშირი უნდა დაიშალოსო, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ოცდაათი წლის წინათ, წითელი იმპერიის მძვინვარების ეპოქაში, ერთმა პოეტმა საგანგაშო ზარი დაარისხა.

„პატრონი უნდა „ვეფხისტყაოსანს“,
პატრონი უნდა კლარჯეთს, ტაოსაც,
მაგრამ თუ მიწა ისევ გავყიდეთ
და ერის სული გავაპარტახეთ,
ხომ ყველაფერი წაგვიბილწეს და
ხომ ყველაფერი აგვიტალახეს.
დიახ, სამშობლოს ასე დატორილს
ნუ გეშინია, არვინ დატოვებს
ნუ გეშინია, მოვა პატრონი,
გადამთიელი და უპატრონებს“.

ამ სიტყვების ავტორი ახლა ჩემს გვერდით ზის; ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს 85 წლის ჯანსაღ ჩარკვიანი.

ქვეგამხედვართა აზრით მწერალთა კავშირი თუნდაც იმიტომ უნდა დაიშალოს, რომ ამ იუბილისთვის ყველაზე მეტად გარჯილი ჩემი ძვირფასი მაყვალა გონაშვილი თვალზე ცრემლმომდგარი დაიკვნესებს:

„მაინც როგორ გიხდება ეს
წყეული სიმღერა;
„მომავალი შენია“, შენია და ელოდე,
ასე როგორ მივიდეთ,
ასე ხელგაწვდილები,
ასე დაჩოქილები, ხვალის
საქართველომდე“.

და მაინც, ბატონებო, თუნდაც იმისთვის ღირდა წვითა და დაგვით მწერალთა კავშირის შენარჩუნება, რომ დღეს მისი ასი წლის იუბილე გადაგვეხადა.

ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ 60 წელია ქართველ მწერალთა ეროვნულ ბრძოლაში ვმონაწილეობ.

მახსოვს, გალაკტიონის გადაფრენა მეოთხე სართულიდან.

მახსოვს, როგორ აქცია მწერალთა სასახლე ზვიად გამსახურდიამ 80–იან წლებში ეროვნული მოძრაობის შტაბად.

მახსოვს, 9 აპრილს ნიჩბით დაჩეხილი მომიტინგენი და ზაურ ბოლქვაძის ჟურნალის ყდაზე დახატული დამპყრობელი რუსი ჯარისკაცი ორლესული ნიჩბით ხელში.

მახსოვს 2007 წლის 21 აგვისტოს საბედისწერო ღამე და ჩემი ზარი პრეზიდენტის დედასთან: „ეს ვინ გაგიზრდია, ქალბატონო გიული“.

მახსოვს მელიქიშვილის ქუჩაზე გულგანგმირული გურამ შარაძე...

რომელი ერთი გავიხსენო.

რა თქმა უნდა, ამ ასი წლის მანძილზე მწერალთა კავშირში ჩანერგილიც და დამსმენიც არაერთი გვყავდა (ვინც პაოლოს თავი მოაკვლევინა), მაგრამ დამერწმუნეთ, მეგობრებო, ეს „ღამურები“ ქართული მწერლობის ამინდს ვერ ჰქმნიან, მწერალთა კავშირი შინაგანად თავანკარა და შეუვალია.

ახლა როცა ამ ომის შედეგებს ვაჯამებ, მთელი საქართველოს გასაგონად ვამბობ: მწერალთა კავშირის მტრების და მწერალთა კავშირის ომი მწერალთა კავშირის გამარჯვებით დასრულდა.

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

ჩვენ ვერ დაგვშალეს და ჩვენი რიგები დღითი დღე იზრდება ნიჭიერი ახალგაზრდებით.

ვაი შენ, პირქვედამხობილო და ტერიტორიებნაგვრილო ჩემო სამშობლოვ, შენი ოკეანისგაღმელი პატრონები რომ ასე უსინდისოდ გათამაშებენ დამოუკიდებლობანას, პარლამენტარობანას, პრეზიდენტობანას და პრემიერ–მინისტრობანას.

და მაინც... არ შეგეშინდეთ. აი ახლა, ჩვენს შორის, იმ ჩაბნელებულ ლოჟაში ვხედავ ჯიღაწარბება გოლიათს, ხარისქედა და ხარისთვალება შოთა ნიშნიანიძეს და ყურში ჩამესმის მისი ბუხუნი:

ათასი ჯილდო, ტაში, მოლბერტი,
ვინც სიკვდილს თავი არ მოარიდა,
კაცობრიობა რომ არ დაბერდეს,
ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან“.

გმადლობთ!

სხვათა ღვაწლის უშურველი დამფასებელი

ნათელა არველაძე

მოზარდთა თეატრში მორიგი საღამო გაიმართა. ახლობლებით, კოლეგებით, ახალგაზრდა მსახიობებით შეივსო დიდი დარბაზი. ამჯერად აღინიშნებოდა რეჟისორ მედეა კუჭუხიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, მას 80 წელი შეუსრულდა. ავტორმა და წამყვანმა, ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, გულისხმიერება ამ მხრივაც გამოიჩინა – დიმიტრი (დიმა) ხვთისიაშვილმა სითბოთი და პროფესიული სიტყვით, დამაჯერებელი ტონითა და ყოველგვარი ყალბი პათოსის გარეშე მიმართა იუბილარსა და დარბაზს. რეჟისორის მოღვაწეობის თაობაზე საუბრობდნენ მისი კოლეგები, მსახიობები, დრამატურგები, თეატრმცოდნეები, მისი ყოფილი სტუდენტები. ისინი მადლიერებას გამოხატავდნენ და იხსენებდნენ მის რეპეტიციებს, სპექტაკლებს, ლექციებს. თბილი საღამო ჩატარდა.

საღამოს შემდეგ ტაატით, ფეხით გავუყევით გზას შინისაკენ მანანა გამცემლიძესა და გივი ჩუგუაშვილთან ერთად. ვსაუბრობდით საღამოზე, თეატრალური ინსტიტუტის იმჟამინდელ პედაგოგებსა და სტუდენტებზე, იმ ატმოსფეროზეც, რომელიც განასხვავებდა ჩვენს ინსტიტუტს (დღევანდელ უნივერსიტეტს) სხვა უმაღლესი სასწავლებლებისაგან. რა თქმა უნდა, გავიხსენე მედეას ჯგუფიც, ნიჭიერი სტუდენტები, რომლებსაც რამდენიმე წელი ასწავლიდა მიხეილ თუმანიშვილი მიხეილ თუმანიშვილის სტუდენტებს, სადაც არ უნდა მოღვაწეობდნენ ისინი, სწორედ პროფესიონალიზმი და საქმიანობის მიმართ თავდადება გამოარჩევთ. ჩემი თანამგზავრებიც მისი მოწაფეები არიან, ისინი მოწიწებითა და სიხარულით აღნიშნავენ მასთან გატარებულ დაუვიწყარ წლებს, მისგან მიღებულ ცოდნასა და ჩანერგილი პროფესიონალიზმის კულტს. ახლა ხომ პროფესიონალიზმის დეფიციტს განიცდის საქართველო თითქმის ყოველ საქმიანობაში. ბუნებრივია გავიხსენეთ საღამოც და მისი სულის ჩამდგმელი დიმა ხვთისიაშვილიც. ვისაუბრეთ მასზე, მის უნარზე, არ დაივიწყოს სხვათა დამსახურება და სათანადო პატივი მიაგოს თითოეულს, ვისაც მიუძღვის დამსახურება ეროვნული თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. თავადაც მივუთითე რამდენიმე მისი თვისება, რომელთა არსებობა ახლა ასეთივე იშვიათობაა. მომიბრუნდა გივი და მეუბნება: „დაწერე, რასაც ამბობ – დაწერე, ეს ხომ საინტერესო და იშვიათობაა, რასაც დიმა წლების განმავლობაში აკეთებს! დიმა ხომ იმსახურებს აღინიშნოს მისი გულისხმიერება სხვათა მიმართ!...“ შეგულიანებული და გულწრფელად მადლიერებით აღვსილი ვასრულებ დანაპირებს. ვწერ სტატიას დიმიტრი ხვთისიაშვილზე, მის მრავალსახეობრივ მოღვაწეობაზე.

იგი რეჟისორია, შესანიშნავი წიგნების ავტორ-შემდგენელია, სხვადასხვა საღამოების ავტორი და წამყვანია, ერთ დროს ტელევიზიის გახმოვანების უბანსაც ხელმძღვანელობდა და ჩინებულად უძღვებოდა ამ საქმიანობას, ახლა მოზარდთა თეატრს ხელმძღვანელობს... თეატრალურ საზოგადოებაში მას მიმართავენ ასევე თბილად – დიმა. არ დავარღვევ ამ ფორმას და თავადაც ასე დავწერ მასზე, იმიტომ, რომ გამოვხატო პირადად ჩემი და არაერთი ჩემი თანამოაზრის გულთბილი დამოკიდებულება მის მიმართ. თავიდანვე აღვნიშნავ, რომ დიმამ მოზარდთა თეატრი აქცია დედაქალაქის (და არა მარტო მისი!) კულტურული ცხოვრების ერთგვარ ცენტრად. აქ არა მარტო თამაშობენ სპექტაკლებს, არამედ ფართოდ აღნიშნავენ სცენის მსახურთა დამსახურებას, მათ ღვაწლსა და პიროვნულ თვისებებს. დიმა ამ წამოწყების მოთავეა, უშურველად გასცემს მადლსა და სიყვარულს ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე. მოღვაწეობის ასეთ ფორმას სწორედ ამ კედლებში აქვს უდიდესი მნიშვნელობა: აწინდელმა თაობამ უნდა იცოდეს წინაპართა, წინამდგომთა ღვაწლის შესახებ სინამდვილე, მას მაგალითი უნდა შევუქმნათ ტრადიციის მნიშვნელობისა და მადლიერების გამოხატვის აუცილებლობისა. მოზარდთა წვრთნის ამგვარი სახეობა, მით უფრო დღევანდელ საქართველოში, მეტისმეტად ღირებულია. მათ უნდა იცოდნენ „ვისი გორისანი“ არიან, რადგანაც საკუთარი ერის, წინაპრის, ამ შემთხვევაში ხელოვანთა, მოღვაწეობის დაფასება ღირსების საქმეცაა. ღირსეული თაობის აღზრდა ამ ფორმითაც შესაძლებელია. პატრიოტიზმის დეფიციტის პირობებში, ასეთი ქმედება, მართლაც რომ, მეტისმეტად ღირებულია.

საგანგებოდ აღსანიშნავია თავად მისი პიროვნული თვისებათაგან, ჩემი აზრით, უმთავრესი – დიმა კულტურული, კარგად აღზრდილი, ჩინებული მოქართულე და მადლიერების გამომხატველი პიროვნებაა. სადღეისოდ, როცა საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ასე „დაავადდა“ უმადურობის სენით, ასეთი ჟინით გამოხატავენ სიკეთის დაუფასებლობასა და სხვათა ჩაწიხვლით ნეტარებენ, ყოველი ადამიანის ღირსების გამოვლინებად მესახება სხვათა მადლის დაფასების უნარი, მოთხოვნილება, შესაძლებლობა. განგებამ ამ ნიშნით უხვად დააჯილდოვა დიმა და ამიტომაც ასე უშურველად და გულწრფელად აღვნიშნავ ამას.

ლილი იოსელიანი დიმას პედაგოგი იყო. უკანასკნელ დღემდე, როგორც შეეძლო ისე პატრონობდა მას, წიგნიც გამოსცა, როცა ქალბატონ ლილის 80 წელი შეუსრულდა. მასწავლებლისა და შეგირდის ურთიერთობის კლასიკური მაგალითია მათი დამოკიდებულება, ის საღამოც მას რომ მიუძღვნა მოზარდთა თეატრის სცენაზე. მაშინ გამოვთქვი და ახლაც აღვნიშნავ, რომ უერთგულო და არ დაივიწყო, ყოველთვის მოიხსენიო და დაუფასო მადლი შენს გურუს – ესეც ნიჭია, სულის განსაკუთრებული მდგომარეობის შედეგია. რამდენი უმადური შეგირდი გვახსოვს, რამდენი შენთვის გაღებული სიკეთეა მოუხსენიებელი! საუბედუროდ, იუდას აჩრდილი დღესაც დაძრწის ჩვენს შორის! როცა უმადური მოწაფე ღალატსაც სჩადის და ინტრიგის ქსელის გაბმასაც ეშურება – ყველაზე გულსატკენია მასწავლებლისათვის! ქალბატონი ლილისა და მისი მოწაფეების, მათ შორის დიმას ურთიერთობასა და ერთგულებას აღვნიშნავ, როგორც საგოგმანებელ მოვლენას. შესაძლოა იმიტომაც, რომ თავადაც მოწაფეს, და შემდგომ კი პედაგოგს, კარგად მესმის როგორი საკრალური და დასაფასებელია ამგვარი დამოკიდებულება, ურთიერთობის სიწმინდე.

სხვადასხვა საღამოზე დიმა ხშირად მოიხსენიებს ადამიანებს, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღვით მისი პროფესიის არჩევანსა თუ დაოსტატებასა და გამოცდილების შეძენაში. მათ შორის გამორჩეულად აღნიშნავს მისი მეგობრის ზურა ბერიკაშვილის ოჯახს, მის მშობლებს, ლეილას და გივის. ამ მადლიერების გამოხატულებადაც შეიძლება მივიჩნიოთ მის მიერ სამგლოვიარო პანაშვიდის გაძღოლა მარჯანიშვილის თეატრში გივი ბერიკაშვილის დაკრძალვის დღეს. ეს იყო მოწიწება და სიყვარული მანანასა და ზურაბის მიმართ. თანაგრძნობა იკითხებოდა მის ყოველ სიტყვაში. ის იქცეოდა დინჯად, პიროვნული კულტურით, ცოდნითა და უღრმესი პატივისცემით. ასეთივე სიდარბაისლით გაუძღვა სამგლოვიარო ნადიმსაც: არც ყალბი პათოსი, არც ჭარბი მგრძნობელობა, არც უხვი დითირამბები. ის მეტყველებდა მკაფიოდ, რიდით, დარბაისლური ქართულით, გულწრფელი გლოვით.

მისი თაოსნობით ჩატარებული საღამოებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო მსახიობ ლეილა ძიგრაშვილისადმი მიძღვნილი თავყრილობა. მოკრძალება და სათუთი დამოკიდებულება იგრძნობოდა დიმიტრი ხვთისიაშვილის სიტყვაში. ამ სცენაზე გამართულმა შემოქმედებითმა საღამომ და მსახიობის 90 წლისთავისადმი მიძღვნილმა იუბილემ ჭეშმარიტი ზეიმი აღმოაცენა სცენაზე. ტაქტითა და უღრმესი პატივისცემით მიჰყავდა საღამო დიმასა და სიხარულით შეჰყურებდა ქალბატონ ლეილას, რომლის ყმაწვილქალობამ გამოხატა მოზარდთა თეატრის მნიშვნელობაცა და როლიც. ლეილა ძიგრაშვილი იყო მოზარდ მაყურებელთა თეატრის პროტაგონისტი. შემდეგ კი, მეტად ნაყოფიერად ითანამშრომლა რუსთაველის თეატრის თანამოაზრეთა გუნდშიც. მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი როლი ქართული თეატრის განვითარებისათვის. ქალბატონი ლეილა ქართული მჭევრმეტყველების, კლასიკური ქართული ენისა და მეტყველების, მხატვრული სიტყვის დიდოსტატია. და რომ მას ამ ასაკშიც შესწევს უნარი მხატვრული კითხვის დიდებულებით შესძრას მაყურებელთა დარბაზი, შევიგრძენით იმ დღეებში. მადლიერების გრძნობა დამეუფლა ქალბატონი ლეილას ნიჭიერების გამო, ამასთანავე დიმას მიმართაც. მან გვაჩუქა ეს სიხარული.

დიმიტრი ხვთისიაშვილი ჭეშმარიტი მოღვაწეა, უშურველად და რუდუნებით, სიკეთითა და სიყვარულით არის გაჯერებული ეს საღამოებიც და წიგნებიც: ლილი იოსელიანს, გივი ბერიკაშვილს, კახი კავსაძეს (და სულ მალე თენგიზ არჩვაძეს) რომ მიუძღვნა. მათში გამოკვეთილია ხულოვანთა ინდივიდუალობაც, საშემსრულებლო ოსტატობაც, იმ გზის მნიშვნელობაც, რომელიც გაიარეს რეჟისორებმა და მსახიობებმა ქართული კულტურის აღმშენებლობისათვის.

დიმას სპექტაკლებზე არაერთგზის მისაუბრია. კრიტიკული სტატიაც გამომიქვეყნებია, რომელსაც არ ივიწყებს ხოლმე იგი... ახლა მხოლოდ ერთ დადგმას გამოვყოფ. შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“ მის ყველაზე საინტერესო და წარმატებულ დადგმად მიმაჩნია. ამჯერად ორ ასპექტზე შევაჩერებ ყურადღებას. პოსტდრამატულ თეატრს თავის დადებით თვისებასთან ერთად, უარყოფითი მომენტიც გააჩნია. მხედველობაში მაქვს სიტყვის, როგორც დრამატული თეატრის უპირველესი გამოსახვის საშუალების, მისი პრიორიტეტის უგულებელყოფა. მიუხედავად იმისა, რომ პოსტდრამატულმა თეატრმა კულტივირება სამართლიანად მოახდინა გამოსახვის ვიზუალურ ფორმაზე და თეატრს დაუბრუნა პირველქმნილის ახირებისაკენ მიდრეკილება, სცენის ოსტატთა ძიებებით ყურადღება გამახვილდა გარეგნულ, ფიზიკურ, პლასტიკურ მონახაზზე და ამის კულტივირებამ სიტყვის დევალვაცია გამოიწვია. ამ სპექტაკლმა აღადგინა მსახიობის გამოსახვის ორივე ასპექტი – სიტყვის ძალა და ვიზუალური, თავისუფალი გაქანება. ამ ნიშნით გამოვყოფდი რეჟისორის ძიებათა მნიშვნელობას. ამ მხრივ გაწონასწორება მიღწეულია, რაც ძალზე საგულისხმო მიღწევად მიმაჩნია.

რეჟისორულ ძიებათა მნიშვნელოვან მიგნებად მესახება მთავარი სათქმელი – ახალგაზრდა თაობის ბედ-იღბალი პოლიტიზირებულ ქვეყანაში. დადგმა თანამედროვე ჩვენი ყოფის გამოძახილად იქცა. უსაქმობით გათანგული ყმაწვილები არა მარტო აუტსაიდერებად შეიძლება იქცნენ, არამედ უმიზნო ცხოვრებამ ინტრიგებისათვის შეიძლება გაიმეტოს ჯან-ღონით სავსე ყმაწვილკაცობა. სიყვარულიც კი შეიძლება თამაშად, ავყიაობის საგნად იქცეს. ამ ძალზე საგანგაშო სათქმელმა გააერთიანა დამდგმელი გუნდი. რეჟისორის დამსახურებაა ასე ლაღად, თავისუფლად, პლასტიკური გამომსახველობის სიჩაუქით რომ ქმნიან პერსონაჟებს ახალგაზრდა მსახიობები. ამ შემთხვევაში ვაჟებმა აიღეს ხელში ინიციატივა და შექმნეს არა მარტო სახიერი საქციელით მდიდარი სანახაობა, არამედ ამ პლასტიკურ გიჟმაჟი გამოსახვის ფორმებით, კიდევ უფრო გამოკვეთეს საქციელთა მოტივაცია და სიტყვის მნიშვნელობაც. ახალგაზრდა მსახიობების საშემსრულებლო ოსტატობა ამ ორი ასპექტის, ვერბალურ-ვიზუალური ფორმების დაუფლებით გამოისახა, რაც ძალზე საინტერესოდ გამოიკვეთა მათი შესრულების თავისუფალი გაქანებით, სხეულის ფლობის უნარით, სიხალისით, ზომიერი სიშმაგითა და ჟინიანობით. იგრძნობა, რომ ისინი თავს კარგად გრძნობენ სცენაზე, ესმით თანამედროვე თეატრის თვისებათა გამოკვეთის აუცილებლობა, ფლობენ თეატრის სამეტყველო ენის – ცოცხალი სასცენო ქმედების არსს და ნიშანდობლიობას. ძალზე მოხარული ვარ, რომ თეატრის მომავალი საიმედო ხელშია. ახალგაზრდა მსახიობთა გატაცება, ნიჭიერება, პროფესიის ფლობის უნარი ახალ აღმოჩენათა გარანტიად მესახება. ნიკა ფაიქრიძე (დონ პედრო), ვანო დუგლაძე (დონ ხუანი), ნიკა ნანიტაშვილი (ბენედიქტი), გიორგი ჯიქურიძე (კლავდიო), დავით ხახიძე (შინდი), ირაკლი გოგოლაძე (ლეონატო) – მთელი თაობის, მთელი ქართული თეატრის გამარჯვების საწინდარი მგონია. პროფესიული სიხარულის მონიჭებისთვის მადლიერებას გამოვხატავ თითოეულის და დამდგმელი გუნდის მიმართ.

დღეს დიმა ხვთისიაშვილი საიმედო ძალაა თეატრისთვის, მოზარდთა ღირსეული დიდაქტიკისათვისაც, სცენის ხელოვანთა ღვაწლის ასე მნიშვნელოვნად დაფასებისათვისაც. ამიტომაც მადლიერებით აღვსილი, გულწრფელად გამოვხატავ სიხარულს და პატივისცემას მის მიმართ.

სხვათა ღვაწლის დაფასების სურვილი და უნარი – ესეც დიდი ნიჭია, თავისებური კულტურაა.

წუთი ყურადღება „ქარავნის“ თვალსაზრისი

მოსკოვში გამომავალ რუსულენოვან ჟურნალ „ქარავნის“ 2017 წლის 50-ე საიუბილეო ნომერში გამოქვეყნდა ისტორიკოს-აღმოსავლეთმცოდნის ფელიქს კურცვაილის პუბლიკაცია: „Шота Руставели талантливый переводчик персидской поэмы — «Витязь в тигровой шкуре», а не поэт“, სადაც ავტორი ვითომ ამტკიცებს, რომ შოთა რუსთველი მთარგმნელია და არა პოეტი, რამაც მაიძულა ამეღო ხელში კალამი და მემტკიცებინა, რომ რუსთველი პოეტია და არა - მთარგმნელი.

ავტორი ერთნაირად და თამამად იჭრება, როგორც ფილოლოგიის, ისე ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიისა თუ სხვა სფეროებში.

საკითხები, რასაც ავტორი ეხება, დიდი ხანია დამუშავებულია რუსთველოლოგიაში, ბევრზე დამაჯერებელი პასუხებიც არის გაცემული. მათზე სათითაოდ გამოკიდება ამ შემთხვევაში ზედმეტად მიგვაჩნია. ერთ მათგანს კი ნამდვილად ვერ ავუვლით გვერდს, ეს არის მოარული ამბების დამუშავებით ცილისწამება მხატვრულ ლიტერატურაში. პუბლიკაციის ავტორიც, ძირითადად, სწორედ მასზე ახდენს მანიპულირებას, რომ გამოაცხადოს „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლად, ხოლო მისი ავტორი - მთარგმნელად.

აი, რას წერს იგი: „Но дело в том, что сам Руствели пишет о персидском происхождении сказания. Во вступлении к поэме Руствели пишет, что он «...нашёл персидский рассказ и перевёл с персидского на грузинский язык и переложил его стихами, словно крупную жемчужину, переходящую из рук в руки...»

პუბლიკაციის ავტორი დამახიჯნჯებულად უკეთებს ინტერპრეტაციას პოეტის სიტყვებს და წერს: რუსთაველმა „იპოვა სპარსული ამბავი და თარგმნა სპარსულიდან ქართულ ენაზე და გარდათქვა ლექსად“ („нашёл персидский рассказ и перевёл с персидского на грузинский язык и переложил его стихами“).

სინამდვილეში კი რუსთველი ამბობს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“-ო...

სად გვეუბნება აქ პოეტი, რომ მას **უთარგმნია** სპარსული პოემა? ის ხომ გარკვევით ამბობს, რომ **სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი** გარდავთქვიო ლექსად.

სხვა ამბავია, რუსთველი, ამ შემთხვევაში, სიმართლეს ამბობს თუ თავს იწონებს სპარსული ამბით. სპარსული, როგორც სალიტერატურო ენა, მაშინ ხომ გაბატონებული იყო მთელ მახლობელ აღმოსავლეთში.

რუსთველს რომ ეთარგმნა რომელიმე სპარსული ამბავი, მაშინ ის იქნებოდა **მთარგმნელი**, მაგრამ, რადგან მან კი არ თარგმნა, არამედ სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი (არავინ იცის სინამდვილეში მართლა რა იყო) გალექსა, ამიტომ ის არის **პოეტი.**

გვეგონა, ისეთი ჩვეულებრივი რამ, როგორიცაა საერთო ამბების დამუშავება მხატვრულ ლიტერატურაში, წერა-კითხვის მცოდნისთვის ანბანური ჭეშმარიტება იყო, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა, რაშიც „ქარავანში“ გამოქვეყნებულმა ამ პუბლიკაციამ დაგვარწმუნა.

საერთო თემების დამუშავების კუთხით, გადავავლოთ თვალი მსოფლიო ლიტერატურაში არსებულ მდგომარეობას (დაწვრილებით იხილეთ მაგალი თოდუას წიგნი „ვეფხვის ნახტომი ანუ რითი სჯობს რუსთველი შექსპირსა და გოეთეს“), ოღონდ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ სახელების ჩამოთვლით, რადგან მათზე სათითაოდ შეჩერება შორს წაგვიყვანდა და ამჟამად არც რაიმე აუცილებლიობას არ წარმოადგენს მტკიცება იმისა, რომ, მაგალითად, ჰომეროსის ორივე პოემა მითოლოგიურ ამბებზეა აგებული და ასე შემდეგ.

აი, მცირე ჩამონათვალი იმ ავტორთა და ნაწარმოებთა სახელებისა და სახელწოდებებისა, რომლებიც ნასაზრდოები არიან საერთო ამბებით:

ჰომეროსი, ჰესიოდე, არისტოფანე, ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე;

კალიმაქე, აპოლონ როდოსელი, ვერგილიუსი, ოვიდიუსი და სხვა რომაელი ავტორები; „სიმღერა როლანდზე“, „რომანი ტროას შესახებ“, „რომანი ენეას შესახებ“, „ტრისტანი და იზოლდა„;

დანტე, ბოკაჩიო;

შექსპირი, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, გოეთე, თომას მანი...

ჩამოთვლა იწყება ჰომეროსიდან, ანუ ძველი წელთა აღრიცხვის VIII-VII საუკუნეებიდან და მთავრდება თომას მანით, ანუ მე-20 საუკუნით.

ახლა კი გადმოვინაცვლოთ აღმოსავლეთში და რამდენადაც რუსთველი დაკავშირებულია სპარსულ სამყაროსთან, დავასახელოთ რამდენიმე სპარსულენოვანი ავტორი, მცირე კომენტარებით:

ფირდოუსიმ შეაგროვა ირანელ მეფეთა შესახებ ხალხში მოარული ამბები, გამოიყენა საშუალო სპარსულ ენაზე დაწერილი - „ხვადაინამაკი“ („მეფეთა წიგნი“), დაყიყის „შაჰ-ნამე“... გადაამუშავა ისინი თავის შემოქმედებით ქურაში და ასე შეუქმნა, არა მარტო ირანს, არამედ მსოფლიო ლიტერატურას, ირანის მხატვრულ ისტორიად წოდებული, უკვდავი „შაჰ-ნამე“.

ასევე **ნიზამი განჯელიმ** მანამდე არსებული ამბები დაუდო საფუძვლად თავის ხუთივე უკვდავ პოემას, მაგალითად:

„ხოსროვსა და შირინს“ - „ირანული ქრონიკები“ და ფირდოუსის „შაჰ-ნამე„;

„ლეილი და მაჯნუნს“ - არაბული ამბავი ლეილისა და მაჯნუნის სიყვარულისა;

„ისქანდერ-ნამეს“ - აღმოსავლეთში ალექსანდრე მაკედონელზე მოარული ამბები.

„შვიდ მთიებს“, თავისი შვიდივე ამბით - მანამდე ცნობილი ბაჰრამ გურის შვიდი ამბავი;

„საიდუმლოებათა საგანძურს“ - აღმოსავლური არაკები.

ფახრ ედ-დინ გორგანელი პოემის შესავალშივე გვაუწყებს, რომ ვეისის და რამინის ამბავი ჩემამდე ფალაურ ენაზე ექვსჯერ იყო დამუშავებული, მე მხოლოდ ენობრივად გავმართეო.

ასეთი სურათია ასეულობით სხვა სპარსულ თუ არასპარსულენოვან აღმოსავლელ პოეტთა შემოქმედებაშიც, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საერთო ამბების მხატვრულად გადამუშავებაში, რის შედეგადაც დღეს მსოფლიო ლიტერატურა დამშვენებულია უამრავი „ლეილი და მაჯნუნით“, „იოსები და ზოლეიხათი“, „ხოსროვი და შირინით“ და ასე შემდეგ.

ლიტერატურაში ეს ხომ მიღებული ნორმა იყო.

როგორ მოვიქცეთ ახლა, ავდგეთ და ყველას ჩამოვართვათ პოეტობა და ჩამოვაქვეითოდ მთარგმნელებამდე, თუ მხოლოდ ქართველი პოეტი რუსთველი გავწიროთ საამისოდ?

პუბლიკაციის ავტორი წერს, დამპყრობთა თავდასხმების შედეგად თუ როგორ ნადგურდებოდა ირანში კულტურა და ის, რომ არ შემორჩენილა პოემის ორიგინალი, ეს არაფერს არ ნიშნავს: „Не надо забывать, что Персия неоднократно подвергалась нашествие кочевых племен тюрок-сельджуков, в период правления которых в Персии погибло не мало учёных, поэтов от рук захватчиков, а так же были сожжены многие книги. Так вот, если грузинские ученые-литературоведы думают, что если в Иране где-то в библиотеке на полочке не лежит этот самый оригинал и это является доказательством «грузинского» происхождения поэмы, то они глубоко заблуждаются“.

საქმე ეხება თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხანას, როცა მახლობელ აღმოსავლეთში ელიტარული ენა იყო სპარსული და აი, რატომ:

თურქ-სელჩუკებმა დაპყრობილ ირანში სახელმწიფო და ლიტერატურულ ენად დატოვეს სპარსული, რასაც მათი იმპერიის ზრდასთან ერთად, მოჰყვა სპარსული ენის სამოქმედო არეალის გაფართოება.

ამგვარად, მოხდა ისე, რომ თუ თურქ-სელჩუკებმა პოლიტიკურად დაიპყრეს ირანი, ირანელებმა კი კულტურულად მოიქციეს თავის გავლენის ქვეშ არა მარტო თურქ-სელჩუკები, არამედ, მთელი მათი იმპერია ანუ მთელი მახლობელი აღმოსავლეთი.

ეს პროცესი წარმატებით გაგრძელდა შემდგომ საუკუნეებშიც.

რაღა მაინცდამაინც თურქ-სელჩუკების დროს დაიკარგა ხელიხელსაგოგმანებილი მარგალიტი - „ამბავი სპარსული“, როცა ასეთ აყვავებას განიცდიდა სპარსული ლიტერატურა?

ვთქვათ და არ დაკარგულიყო „ამბავი სპარსული“, რომელიც ლექსად გარდათქვა რუსთველმა, რა დააკლდებოდა, ან რა მიემატებოდა ამით პოეტის სახელს?

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინ ქართველებისთვის ტერმინ - **„სპარსი“**-ს სემანტიკური ველი ვრცელი იყო და იგი, ეთნიკურთან ერთად, აღნიშნავდა ზოგადად მუსლიმს, აღმოსავლელს, კულტუროსანს და არ არის გამორიცხული „ესე ამბავი სპარსული“-ში სულაც, ზოგადად, აღმოსავლური ამბავი იგულისხმებოდეს.

თუმცა, არც ამ შემთხვევაში დააკლდებოდა ან მოემატებოდა რამე რუსთველის სახელს.

ახლა კი, რაც შეეხება კონკრეტულად რუსთველს:

ყველა დასავლელი პოეტი მხოლოდ დასავლელია, ხოლო ყველა აღმოსავლელი პოეტი - მხოლოდ აღმოსავლელი.

რუსთველი კი, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მდებარე ქვეყნის, ანუ ორი კულტურის შვილი - აღმოსავლელიცაა და დასავლელიც, რითაც არის იგი ორიგინალური.

პუბლიკაციის ავტორს, თავისი მიზანმიმართული განცხადებების საბოლოოდ წერტილის დასასმელად, მოჰყავს ამონარიდი ამავე ჟურნალის 43-ე ნომერში გამოქვეყნებული ქართველ ირანისტების - ჯემშიდ და ელენე გიუნაშვილების სტატიიდან: «Витязь в тигровой шкуре» Шота Руставели в Иране» და ასე ვთქვათ, საზეიმოდ აცხადებს: „Впервые в истории, грузинские ученые-литероведы открыто написали, что персидская поэма «Витязь в тигровой шкуре» переведена с персидского на грузинский язык. Правда здесь приводятся оговорки, что мол она «переведена или переложена», но это не меняет суть. Как бы качественно она не была бы переведена, с сохранением канонов грузинской словесности, рифмы, перевод всегда останется переводом, а Шота Руставели, отличным знатоком грузинского и персидского языков и, естественно, всего лишь качественным талантливым переводчиком.“

ამონარიდში მივაქციოთ ყურადღება წინადადებას: „Правда здесь приводятся оговорки, что мол она «переведена или переложена», но это не меняет суть“.

სწორედ რომ ცვლის არსს, რადგან **«переведена»** და **«переложена»** სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვის მქონენი არიან.

ახლა კი ტერმინ **თარგმანთან** დაკავშირებით.

ძველ ქართულ ენაში ტერმინი **თარგმნა**, ფართო შინაარსის შემცველი იყო და, გარდა დღევანდელი გაგებით **თარგმნისა,** ნიშნავდა: **გადატანას, გადაკეთებას, კომენტარს, განმარტებას, ახსნას, ინტერპრეტაციას.**

ასე მაგალითად, ქართულში სპარსულიდან შემოსული ძეგლებიდან ფახრ ედ-დინ გორგანელის (XIს.) „ვისი და რამინი“ - **«переведена»**, ხოლო ფირდოუსის (Xს.) „შაჰ-ნამე“ - **«переложена»** (შეიძლება სხვა ტერმინიც ვიხმაროთ, მაგალითად, **გადაკეთება**, ოღონდ არა - **«переведена»**), რადგან „ვისი და რამინი“ მიჰყვება დედანს, „შაჰ-ნამე“ კი შერჩეული თავების **გადატანის, გადაკეთების** და **ვერსიების** სახით არის შემოსული ქართულ ლიტერატურაში.

დიახ, წერილის ავტორის, ასე ვთქვათ, მარგალიტებიდან, მხოლოდ ერთ მათგანზე შევაჩერეთ ყურადღება და თუ ეს საკმარისი არ იქნება, მაშინ სათითაოდ მოგვიწევს პუბლიკაციაში გამოტანილ ყველა მათგანზე, თავიანთი ფაქტობრივი უზუსტობანით, ყურადღების შეჩერება, უფრო სწორედ, დროის ამაოდ ხარჯვა და მტკიცება იმისა, რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ რუსთველი პოეტია და არა მთარგმნელი.

ამ პუბლიკაციის პათოსიდან გამომდინარე, არ გამიკვირდება, მისმა ხელმომწერმა, ასე ვთქვათ, ასეთივე წარმატებით, მთარგმნელობაც კი ჩამოართვას რუსთველს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ირანელებსაც კი აზრად არ მოსვლიათ, რუსთველისთვის ეწოდებინათ მთარგმნელი და არა პოეტი, როცა ორჯერ თარგმნეს სპარსულად „ვეფხისტყაოსანი“ ფარშიდ დელშადმა (1998) და მოჰამად ქაზემ იუსეფ-ფურმა (2000).

ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო ისეთი დონის ჟურნალისგან, როგორიც „ქარავანია“, იმ სახის პუბლიკაციის გამოქვეყნება, სადაც, თანაც ღიმილისმომგვრელად, იქნებოდა მცდელობა ქართველი ერის კულტურული წარსულის დისკრეტიზაციისა.

ნომადი ბართაია
აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი, პროფესორი.
10. 07. 2017

წიგნი — განაჩენი, ანუ აი, ჭეშმარიტი ისტორია



თანამედროვეობის ისტორიკოსობა უძნელესი, საჩოთირო და ცოტა არ იყოს, უმადური საქმე გახლავთ. უძნელესი იმიტომ, რომ ფაქტების უზარმაზარი კალეიდოსკოპიდან არა მარტო უნდა გამოარჩიო ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო, უნდა დაალაგო ტიპურობის მიხედვით არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასებაც უნდა მისცე. ასე რომ, პოლიტიკოსისა და იურისტის მანტიაც უნდა მოისხა.

საჩოთირო იმიტომაა ეს საქმე, რომ მოვლენები რომელთაც აღწერ, შენს თვალწინ ჩატარდა და მისი „გმირების“ უმეტესობა ცოცხალია, იუველირის სიზუსტით უნდა აღწერო ეპოქა, რათა ჯოხი ერთ ან მეორე მხარეს ზედმეტად არ გადახარო. ეს კი, მოგეხსენებათ, დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ჩასაფრებულ პოლიტიკურ ოპონენტისგან თავის დაცვის სათანადო პოლიტიკური ხელოვნების მომარჯვებას. თუ შორეული წარსულის დაგვირისტება ისტორიის ფურცლებზე, მეცნიერს ზოგჯერ ფაქტების პეროიკული შელამაზების და რომანტიკული ეფექტის საშუალებას აძლევს, თანამედროვეობაზე საუბრისას ეს ყოვლად დაუშვებელია.

უმადურია თანამედროვეობის მატიანის შექმნა იმ თვალსაზრისითაც, რომ თუ ერთის მხრივ შეცდომებში მხილებულნი სამუდამოდ გაგინაწყენდებიან, არც დადებითად მოხსენიებულნი დაგიმადლებენ მაინცდამაინც, აქაოდა მეტი ქების შესხმა გვეკუთვნიდაო.

ჩვენმა სასიქადულო ისტორიკოსმა, პროფესორმა იგორ კვესელავამ ამ ათიოდე წლისწინათ ჩაიფიქრა თორმეტ ტომად დაეწერა თანამედროვე საქართველოს ისტორიის ქრონიკები. „ქრონიკების“ ხუთი ტომი უკვე მკითხველის მაგიდაზეა.

იგორ კვესელავა თვითონვე ტრიალებდა იმ ფაქტების შუაგულში, რაზეც წერს. ბუნებრივია, იგი, როგორც მამულიშვილი და პოლიტიკოსი გულგრილი ვერ დარჩებოდა საქართველოში დატრიალებულ დრამატული მოვლენების მიმართ და, შეიძლება ითქვას, საისტორიო მასალა ხელის გულზე ედო. ფაქტების სიუხვეს და ამ ფაქტების ლოგიკური თანმიმდევრულობით დალაგებას, რაც ხუთივე წიგნში საცნაურია, რომ თავი გავანებოთ, ამთავითვე უნდა დავასკვნათ, რომ ამ წიგნებში მე ვერ აღმოვაჩინე მიკერძოების ან ფაქტებისადმი ძალდატანების თუნდაც მცირეზე–მცირე კვალი. იგორ კვესელავა წერს ობიექტური ისტორიკოსის შეუვალობით, ჭეშმარიტი მემატიანის დამაჯერებლობით და პრინციპულობით. რასაც ამბობს, იქვე მოაქვს სათანადო საბუთიც და მკითხველს ოდნავი დაეჭვების საშუალებასაც არ აძლევს. ყოველივე ზემოთქმული კი მაძლევს სამართლიან საბუთს, განვაცხადო: იგორ კვესელავას „ქრონიკები“ უტყუარი განსჯაა ჩვენი ეპოქისა და მომავალი თაობებისათვის შეუმცდარი წყარო საქართველოს XX და XXI საუკუნეების დრამატულ სვეში ჩასახედად.

„პოსტსაბჭოური საქართველოს განათლება და მეცნიერება“ ასე ჰქვია იგორ კვესელავას „ქრონიკების“ მეხუთე ტომს, რომელშიც თანმიმდევრულადაა მოთხრობილი იმ გაუგონარი ექსპერიმენტებისა და არაეროვნული რეფორმების შესახებ სხვადასხვა დროსა და ვითარებაში რევოლუცია–მუჯლუგუნებითა და გაყალბებული არჩევნებით ხელისუფლებაში მომსულმა მთავრობებმა ქართულ სლაგანმანათლებლო სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს და მეცნიერებას თავს რომ დაატეხეს.

დასაწყისში ავტორი მკითხველს შეახსენებს ივანე ჯავახიშვილის შეგონებას: „რა ხასიათისა და მიმართულებისა უნდა გახდეს ჩვენი დღევანდელი გაეროვნებული სკოლა? საერთო თვალსაზრისით თუ მივუდგებით პრობლემას, არსებობს ორი გზა–გზა უცხო სახელმწიფოების გამოცდილებისა და პრინციპების დანერგვისა და გადმოღებისა და ორიგინალურ ეროვნულ ნიადაგზე სწავლა–აღზრდის და განათლების განვითარებისა. ჩვენი ერვონული ბუნება და ამასთანავე სამომავლო მოთხოვნილებანი ახალი ქართული სკოლისა, მეორე გზის არჩევას გვთხოვს“.

მაგრამ დიდი ივანეს ნაჩვენები გზით არაეროვნულ ხელისუფლებათა ძალისხმეკვით ქართული სკოლა არ წავიდა.

ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ყველაფერიგააკეთეს მოქალაქეთა კავშირმა და მისმა „ღირსეულმა“ მემკვიდრემ ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ ეროვნული სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი არ გვქონოდა. ულმობლად მოარგეს თავზე ქართულ საგანმანათლებლო სისტემას ამერიკა–ევროპის მიერ შემოჩეჩებული, ბევრრგან დასავლეთშივე მოძველებული და უარყოფილი ქურქი, რის შედეგადაც მივიღეთ კვაზი საგანმანათლებლო მოდელი, რომლის ძალითაც ჩვენში ეროვნული მოქალაქეები კი არა, უცხოეთში გასაქცევად გაფაციცებული ადამიან–რობოტები იზრდებიან (თუ მცირე გამონაკლისებს მხედველობაში თუ არ მივიღებთ).

უმგვანო ნაციონალური ინერციის შედეგია ის გარემოებაც, რომ დღემდე არ გვაქვს ბოლომდე მკვეთრად ჩამოყალიბებული განმტკიცებული ეროვნული განათლების კონცეფცია.

იგორ კვესელავას მოუძიებია განათლებასთან დაკავშირებული უამრავი მასალა, უყურადღებოდ არ დარჩენია არცერთი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ფაქტი და იგი სათანადოდ, საქმის ცოდნით აფასებს არა მარტო ხელისუფლების წარმომადენელთა ნამუდრეგალს ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, არამედ სკრუპულოზურად მოიხსენიებს ყველა პიროვნებას, ვინც, ნაციონალური რეპრესიების მიუხედავად, წინ აღუდგა ქართულ სკოლისა და მეცნიერების დანგრევის შავბნელ საქმეს.

აღელვების გარეშე ვერ წაიკითხავთ იმ ადგილებს, სადაცლაპარაკია მასწავლებელთა უგუნური ატესტაციისა და პროფესორთა ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან გაძევების შესახებ, როგორ გაათახსირ–გაანაციონალისტურეს სასკოლო სახელმძღვანლოები და შემცირებაში მოაყოლეს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ როგორც მოძველებული, როგორ გამოგზავნა უნივერსიტეტში ერთ დღეს ბრძანება განათლების გაუნათლებელმა მინისტრმა კახა ლომაიამ („ბავშვს“ და „ექვსს“ რომ უშეცდომოდ ვერ წერდა) და უნივერსიტეტიდან ერთბაშად დაითხოვა აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი, როგორ მოუვიდათ თავში განათლების ნაცმესვეურებს სკოლის დირექტორები დაენიშნათ „ლოტოს“ პრინციპით, როგორ გააუქმეს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და სახელგანთქმული სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტები, როგორ გამოაცხადა ერთ უბედურ დღეს მინისტრმა ლომაიამ: „ახლა წიგნების დრო არ არის, სტუდენტის ხელში წიგნი არ დავინახოოო!“. როგორ ქადაგებდნენ: ხუთი წლის ყრმა კომპიუტერს მიჯდომოდა და თავისი შემეცნება ქართული ანბანის შესწავლით კი არა, უცხო ენების შესწავლით დაეწყო. როგორ გამოუცხადა უნდობლობა ქართული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს შლეგმა პრეზიდენტმა და საქართველოს გასაინგლისურენოვნებად უცხოეთიდან ინგლისურის სრულიად უმეცარი და ზოგიც სექსუალურ გადახრების მქონე „მასწავლებლები“ ჩამოიყვანა.

ნაციონალებისგან დანესტრილი ქართული სკოლა სახსრებში მოიშალა. მშობლიური ენა და ლიტერატურა ლამის მეორეხარისხოვან საგნად გამოცხადდა, შეწყდა პატრიოტული აღზრდა, მოსწავლეებს არ ზრდიდნენ გმირობის და თავდადების ისტორიულ მაგალითებზე, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს ეროვნულ-სიუჟეტიანი, მოზარდის გონების სასიკეთოდ მოქცევისთვის აუცილებელი ნაწარმოებები და ბავშვს გონებას უმღვრევდნენ თვითმარქვია მწერლების ღვარჭნილი, უსაგნო ნაწარმოებებით. დაშვებულ იქნა სავალდებულო სახელმძღვანელოს ნაცვლად სკოლებში სახელმძღვანელოთა არჩევის პრინციპი, რამაც კურსდამთავრებულთა ცოდნის დონის რადიკალური სხვადასხვაობა გამოიწვია და ყოველ წელს ახალ–ახალი „ექსპერიმენტული“ სახელმძღვანელოს მიწოდების გამო გაჩნდა სახელმძღვანელოთა მაფია, რომელიც განათლების სამინისტროსგან თავზეხელდასმული მდიდრდებოდა და შეუბრალებლად აკოტრებდა მცირე გამომცემლობებს.

სააკავშილს განათლების სისტემისა ხომ არა გაეგებოდა რა და თითქოს განგებ მინისტრებად ნიშნავდა სკოლის პრობლემებში სრულიად გაურკვეველ, დილეტანტ პიროვნებებს. იგორ კვესელავა წერს: „ცხრა წლის განმავლობაშიგანათლების ხუთი მინისტრი შეიცვალა. პირველი სანტექნიკოსი იყო; მეორე – გენპროკურორის ყოფილი მოადგილე; მესამის პროფესია გაურკვეველი დარჩა; მეორთხე – სასჯელაღსრულების მინისტრობიდან მოევლინა განათლების უწყებას, ხოლო მეხუთე ასევე ძალოვანების სამსახურის კადრი იყო. მათი საერთო საქმიანობის დონე კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის“ (გვ. 112).

ჩემი მხრივ დავძენ, რომ იმდროინდელ მინისტრის მოადგილეს ფილოლოგ ბელა წიფურიას, რომელიც სკოლებს კურირებდა, სკოლაში მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთი გაკვეთილიც არ ჩაუტარებია. სწორედ იგი ატარებდა ლოტოტრონის ყბადაღებულ პრინციპს და პირველი, რაც გააკეთა, თავისი აღმზრდელები დაითხოვა სამსახურიდან.

წიგნის აქტუალურობის და ავტორის მიუკერძოებლობის დასამტკიცებლად მოვიტან ერთ ამონაწერს, მითუმეტეს, რომ ამ უგუნურების ერთ–ერთი მსხვერპლი ამ სტრიქონების ავტორიც გახლავთ.

„უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა გია ხუბუამ პროფესორ–მასწავლებელთა მოთხოვნას „რეფორმა მოექციათ კანონის ფარგლებში“, პოლიცია დაუპირისპირა და 1006 წლის 19 და 30 ივნისს პროტესტის გამომხატველი პროფეოსრები ხელგადაგრეხილები გაიყვანეს უნივერსიტეტიდან. 2006 წლის 3 ივლისს უნივერსიტეტის დიდმა საბჭოს უნდობლობა გამოუცხადა გ. ხუბუას, თუმცა ამ უკანასკნელმა კვლავ პოლიციის ძალებს მოუხმა და მათი საშუალებით პროფესორებს ჩაუკეტა ყველ აგასასვლელი, წყლისა და ტუალეტისკენ მიმავალი კარი და ადამიანის უფლებების არნახული დარღვევით, უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება ერთი დღეღამის განმავლობაში. ფაქტობრივად ორი თვის განმავლობაში უნივერსიტეტში მოქმედებდა პოლიციური რეჟიმი. რის შედეგადაც გ. ხუბუასთან დაპირისპირებულ პროფესორ–მასწავლებლებს აეკრძალათ უნივერსიტეტში შესვლა.

ამ კონტექსტში იხსენებენ მხოლოდ 1939 წელს მომხდარ შემთხვევას. როდესაც ფაშისტებმა კრაკოვის უნივერსიტეტიდან გარეკეს პროფესორები.

ათენში სტუდენტების მასობრივი გამოსვლების დროს უნივერსიტეტის ეზო სტუდენტთა თავშესაფრად იქცა და პოლიციელებმა იქ შესვლა არ იკადრეს. ისევე როგორც 1989 წლის 9 აპრილს ვერც საბჭოთა ჯარისკაცებმა გაბედეს უნივერსიტეტში შესვლა“ (გვ. 2017–208).

აი, ასეთ შემაძრწუნებელ ფაქტებზე წერს იგორ კვესელავა, წერს მეცნიერის კეთილსინდისიერებით, მაღალპროფესიონალურად.

გარდა ამისა წიგნში მოტანილია ავადსახსენებელი „მინისტრის“ – ლომაიას დაქადნება: „ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავთ!“.

უნივერსიტეტის „ნაჯახით ამოძირკვისკენ“ გადადგმული ქმედითი ნაბიჯები ის იყო, რომ ლომაიას ყურმოჭრილმა მონამ ხუბუამ უნივერსიტეტში სამეცნიერო სექტორი გააუქმა სამეცნიერო კაბინეტებითურთ და გამოაცხადა: პირველი და მეორე კორპუსის გარდა ყველა კორპუსი უნდა გაიყიდოსო.

უნივერსიტეტის წინააღმდეგ დაწყებულ ლაშქრობას ბიძინა ივანიშვილმა იმთავითვე იმით უპასუხა, რომ უნივერსიტეტის კორპუსები საკუთარი ჯიბიდან ამოღებული ფულით გაარემონტა და ხუბუას სურვილი კორპუსების გაყიდვაზე დაასამართ.

2006 წელს სააკაშვილის მიერ ჩადენილი იქნა საუკუნის დანაშაული – უნივერსისტეტის პროფესორები ქუჩაში გამოეყარათ. სხვათაშორის ამ გაუგონარი ვანდალიზმის გამოსწორება დღემდე ვერ მოხერხდა. უნივერსიტეტიდან ერთი ხელისმოსმით გარეკილი ეროვნულად მოაზროვნე 257 დამსახურებული პროფესორი ბეცი „რექტორის“, ხუბუას მოხსნის შემდეგაც არ დააბრუნეს უნივერსიტეტში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დიდხანს ძალიან დიდხანს არ შეწყვეტილა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში „ნაცმოძრაობის“ პარპაში. პაპავამ შვიდიოდე პროფესორი, ხელშეკრულებით მეცთანამშრომლებად მიიწვია მიზერულ ხელფასზე, მაგრამ გამოხდა ჟამი და ეს ხელშეკრულებებიც გააუქმეს. არა და დრო არ ითმენს. 2006 წელს 257 გაძევებული პროფესორიდან დღეს 211 ცოცხალი აღარ არის. შეურაცხყოფისგან გული გაუსკდათ. მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნების სურვილი დარჩენილთაგან მხოლოდ 6 პროფესორს აქვს. ახლანდელ რექტორი გია შარვაშიძე, რომელიც თავის დროზე თვითონ იყო რეპრესიების მსხვერპლი, პირდება რეპრესირებულ პროფესორებს, რომ უახლოეს ხანებში გამოძებნის საშუალებას უსამართლოდ დევნილ პროფესორთა რენომეს აღსადგენად.

წიგნში სათითაოდ, ზედმიწევნითი სიზუსტითაა განხილული მმართველი პარტიების საგანმანათლებლო პროგრამა და ნაჩვენებია რა ლახვარი ჩასცა ქართულ საგანმანათლებლო სისტემას უცხოური თეორიების ბრმად გადმოღებამ და ყოველგვარი დასავლურის წინაშე ქედის მოხრამ.

აქვეა ორი ვრცელი თავი სახელწოდებით: „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ზოგადასაგანამანათლებლო პოლიტიკა და იდეოლოგია“ და „ქართული ოცნების ხელისუფლება და მეცნიერება“.

ავტორი დაწვრილებით ჩერდება იმ გონივრულ რეფორმებზე რაც ხელისუფლებას დაუსახავს მიზნად საგანმანათლებლო სფეროში, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ეს რეფორმები ნელა ხორციელ-

← დება, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს მოუზომავ ნაბიჯებს (ხალხური ზღაპრების წინააღმდეგ შეტევა) და საერთოდ იგორ კვესელავა მიიჩნევს, რომ დღეს ხელისუფლებაში მეცნიერს თითქმის არავინ უსმენს და მის კომპეტენტურ აზრს უმნიშვნელოდ ცოტანი ითვალისწინებენ.

***

ჩაამთავრებ ამ წიგნს და არ გასვენებს ერთი სრულიად ბუნებრივი კითხვა: ნაცების გადარჩევიდან გავიდა ოთხ წელზე მეტი, რატომ არავინ ისჯება დანაშაულთა იმ წლების გამო სააკაშვილის თვითნებობის მსხვერპლ საქართველოს თუნდაც ერთ ყველაზე სათუთ სფეროში – განათლებასა და მეცნიერებაში რომ მოხდა?

იგორ კვესელავას ამ წიგნის ყველა გვერდი ხომ ეჭვმიუტანელი ბრალდებაა, გამზადებული დასკვნაა სამართალდამცველთათვის, რათა საპატიმროში განამწესონ ისინი, ვინც ჯერ კიედვ ყელყელაობს და ე. წ. „ოპოზიციური უტიფრობათ“ ნერვებს უშლის კეთილი ნების საქართველოს.

რატომ არავინ დაისაჯა გამოცდილ მასწავლებელთა კადრების მორალური განადგურებისთვის სულელური ატესტაციების მარწუხებით?

რატომ არავინ დაისაჯა განათლების ეროვნული პროგრამის დამხობისა და ამერიკულ–ევროპული სწავლების წესის გაფეტიშებისათვის?

რატომ არავინ დაისაჯა ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დანერეგვისა და იავარქმნისთვის?

რატომ არავინ დაისაჯა დამსახურებული ეროვნული პროფესორების უნივერსიტეტიდან გაძევებისთვის?

რატომ არავინ მოთხოვა პასუხი დამნაშავე რექტორებს კვიტაშვილს და ხუბუას თსუ–ში ივანე ჯავახიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონის და კონსტანტინე გამსახურდიას სამეცნიერო კაბინეტების გაუქმებისა და ძვირფასი მემორიალური მასალების ქუჩაში გადაყრისათვის?

რატომ არავინ მოთხოვა პასუხი მიხეილ სააკაშვილს ქართული ენის პალატის გაუქმებისთვის?

რატომ არავინ მოთხოვა პასუხი მიხეილ სააკაშვილს ჩვენი საამაყო სამეცნიერო აკადემიის გაუქმებისთვის?

რატომ არვინ მოთხოვა პასუხი მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 21 აგვისტოს მწერალთა სასახლეში ზონდერბრიგადის შეგზავნისა და ბარბაროსულად დარბევისათვის, რასაც მწერალთა მთელი თაობების ნაგროვები ძვირფასი ისტორიული ნივთების განადგურება მოჰყვა?

მივმართავ კულტურის მინისტრს: – რატომ არ უბრუნებ მწერლებს კუთვნილ სასახლეს და რა უნდა რესტორანს სასახლის ბაღში?

მივმართავ პროკურატურას: – თქვენ კაი ხალხო, სააკაშვილის მასაჟისტთა სიას ადგენთ და აქ ჩამოთვლილი დანაშაულებისთვის არ თხოვთ პასუხს იმათ, ვინც კარგა ხანია სამარცხვინო ბოძზე გააკრა ქართველმა ერმა?

***

სანამ წერტილს დავსვამდე, კიედვ ერთი რამ უნდა განვაცხადო:

ჯერ კიედვ არსებობს სააკაშვილის მიერ თავის დროზე ძალუმად დასეტყვილი და მაშინ ფაქტიურად გაუქმებული (რაზეც იგორ კვესელავა მეხუთე ტომში ვრცლად და ობიექტურად საუბრობს) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. დღეს ამ აკადემიას პრესტიჟული სახელის გარდა, ძველი დიდების ცოტა რამ შემორჩა, მაგრამ მაინც სრულიად გასაგებია მეცნიერთა ნდობა „ტრადიციული“ აკადემიისადმი და მისი აღორძინების სურვილი.

დღეს ეროვნული აკადემიის სათავეში ცნობილი და თავშეურცხვენელი აკადემიკოსები დგანან და სწორედ მათგან გამკვირვებია გულგრილი დამოკიდებულება იმ ისტორიკოსისადმი, რომელიც მკლავდაკაპიწებით შებმია თანამედროვეობის უტყუარი ქრონიკების შექმნის საშვილიშვილო საქმეს.

რას უნდა მივაწერო, ბატონებო, ის გარემოება, რომ დღეს აკადემიის წევრი არ არის არცერთი თანამედროვეობის პრობლემების ამსახველი ისტორიკოსი და პირდაპირ ვიტყვი: კიდევ რა უნდა გააკეთოს პროფესორმა იგორ კვესელავამ თქვენი მაღალი ყურადღების მისაპყრობად?

იგორ კვესელავას – დავით აღმაშენებლისა და პავლე ინგოროყვას პრემიების ლაურეატს, იგორ კვესელავას ბრწყინვალე სამეცნიერო ჟურნალის „საისტორიო ვერტიკალების მთავარ რედაქტორს და საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ტიტულები არ აკლია, მაგრამ ეროვნული აკადემიის წევრობა იქნებ მას, როგორც მეცნიერს კი არა, თვით საქართველოს ეროვნულ აკადემიას უფრო სჭირდებოდეს.

ეს ისე სხვათაშორის.

და ბოლოს, ღმერთს ვთხოვ, მისცეს ძალა და უნარი (ჯერჯერობით არცერთი არ აკლია) იგორ კვესელავას განასრულოს სასახელოდ დაწყებული საქმე და საქართველოს ისტორიის მაღალ თაროზე დადოს თანამედროვეობის საშური ისტორიის „საქართველოს ისტორიის ქრონიკების“ თორმეტი უტყუარი ტომი.

პროფესორი **რევაზ მიშველაძე**
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ზოია ვაშაკიძე

საქართველოს

ბედნიერი ვიქნებოდი,
შენ რომ ასე არ მიყვარდე.
ასე აღარ გავტირებდი
იმ დაკარგულ ბაღის ვარდებს...
ასე არ დამაღონებდა
მოწყენილი შენი ზეცა,
გულს ასე არ მომიკლავდა
დაკარგული მიწის კვნესა.
შენც იწვი და მეც მაწვალებ...
გულზე უხვად მასევ დარდებს...
ბედნიერი ვიქნებოდი,
შენ რომ ასე არ მიყვარდე.

***

ალმოდებულ მიწით და
ალმოდებულ ვენახით,
დგახარ ღმერთს მინდობილი,
შვილებს ამოდ ეძახი
ვერ გშველიან გულდაჭრილს,
ვეღარ გცხებენ მალამოს,
ჰოი, როგორ მრავლდები,
ქართვლის ჭირო, ვარამო...
არ გყავს შენი დავითი, აღარც
თამარქალი ჩანს,
მაქმანები მოერღვა, უფლით
ნაქარგ ხალიჩას.
ამ არეულ ქარებით ვარსკვლავები
ჩანავლდნენ...
ამგვარ წვით და წამებით,
საქართველო სანამდე?

***

ღმერთო, ვენახი გადამირჩინე,
გადამირჩინე მტევანი – ოქრო
მოსდე ჯალაბი ჩემს მთას,
მთის პირებს
რომ ეზო–კარი ვარდებით
მორთონ.
არ დამიტოვო ეს მთა ეულად,
ნუ დამიდუმებ ტაძრებს,
ამ ზარებს...
ღმერთო, მამყოფე იმედნეულად,
აღსდგეს მამული – ჩემი ლაზარე!

სამშობლოს მიწას ნუ გამიყიდით

გადავუარე ფიქრის ხომალდით
ჩემს მთებს, ნისლების ბოლი
რომ ასდით
გზა–გზა ვეფერე ვარდებს...
იელებს...
წავკიდე თვალი გადამთიელებს...
ეს მხარე ჩემად ვერ შევიცანი,
ამეწვა სისხლი, გულის ფიცარი.
ბეჩავს რა მწარე ბედი მეღირსა,
მთვარეც ჩემსავით სევდის
გზით მიდის,
შეგთხოვთ, ძლიერნო,
ამა ქვეყნისა,
სამშობლოს მიწას ნუ გამიყიდით!

ველი ახალ გმირს და მეკვლეს

ვერ გავექეც მწარე ფიქრებს...
სინათლეა შორზე შორი
მებრალება, გზას ვერ იგნებს,
დაფანტული ჩვენი ცხორი

ღმერთს არ ვუსმენთ და ვისჯებით,
გვასწავლიან ჭკუას სხვები
ჩვენი ზვარი... ნარინჯები...
გახდა სხვისი დასაკრეფი.

ჩვენი ყოფა მტერსაც უკვირს,
ველი ახალ გმირს და მეკვლეს
ვნატრობ, ხილვას იმ ჭაბუკის,
ვინც, ჩვენს ცხორსა ერთად
შეკრებს.

***

მრავლობს ჩრდილები...
დღე, დღეებს მიჰყვა...
აღარ შესრულდა დანაპირები...
გაქვავდა სიტყვა,
ო, ღმერთო, ქართლის გზა
საით მიგყავს?

***

ვდგავარ ქარებით დაღლილი
ლანდი,
მზე სიხარულის ვეღარსად ვპოვე
ჩუმი წუხილი მარღვევს და მკლავს
ჩემი დღეები გულს და
სისხლს მთხოვენ,
არ შემიძლია, ვერ ვეტყვი უარს.

ქართლის დედას

ქართლის დედაო, დარეკე ზარი,
შვილთა უფლის გზით სვლაა
საჭირო
გადაურჩინე შვილს მომავალი,
რომ საქართველო გადაარჩინო
ვხედავ ნიაღვარს გადაგვარების,
სხვათა ვნებებმა ლამის
წაგვლეკოს
გადაარჩინე სათაყვანები
შენი „ლილე“ და შენი „შავლეგო“
ავ ქართა ქროლვა მზარავს,
მაშინებს,
არა გვაქვს ყოფა სიწმიდით სრული
ჩვენი ზნე–წესი გადაარჩინე,
გადაარჩინე ქართული სული
ღმერთმა შეგვიქმნა ადამი, ევა,
დაგვიკანონა ქალს და კაცს ქცევა,
არა და არა – ადამი, ადამს,
არა და არა – ევას და ევას!
ქართლის დედაო, დარეკე ზარი,
რომ დილამ წმიდა შუქით იალოს
აუგე შვილებს სულის ტაძარი,
რომ მხოლოდ წმიდა ღმრთის
გზით იარონ!

***

ისე მოჩანდნენ წუხელ ღრუბლები,
თითქოს და ცაზე რაღაც ეწერა.
მთვარე, ქარებთან ნასაუბრები,
ნაღვლიან სახით რატომ მეჩვენა?
თითქოს რაღაცა, იდუმალ ენით
მითხრა ბუნებამ... ცა მეტყველია.
ხმა მეუცხოვა ტირიფის, ღელის,
ნეტავ რა იგრძნეს, რას მოელიან?

***

ხმალო, ქართულო, რას ფიქრობ,
როს კვნესას ისმენ მთებისას,
მგონია, გულზე დარდს ლესავ,
ჯავრი გაქვს უქმად დებისა,
ხომ არ აგევსო, გრძნეულო,
ფიალა, მოთმინებისა.

***

ზღვისპირეთიდან
გამომგზავრებულს
შენ გეკითხები, როგორც ჩემიანს,
მითხარინ ქარო, ქართლის
მინდვრების
გვირილებზე თუ რამე გსმენია,
უცხოთა შიშით
გულდაზაფრულებს,
ის სილამაზე თუ შერჩენიათ.

***

ჩაუმქრალია რწმენა ქართველთა –
ეჩურჩულება ლოცვის ჟამს
მზე ქარს,
ახალ ტაძართა, ახალ კედლებზე
ხატავენ... ხატებს... ბეშქენ და ბექა
ნუღარა დარდობ,
ქართულო მიწავ,
შენ წოდებულ ხარ
უკვდავად ღვთისგან,
შენი ვაზი და ზეთისხილები
შენს ბაღში ოქრო ნაყოფებს
ისხამს...
მშვენიერებით ხარ ერთადერთი
შენსკენ ბევრს მისად უჭირავს
თვალი,
ნუ გეშინია, ყოვლის მძლე ღმერთი
შენთან იყო და კვლავ შენთან არის.

აქ უხილავად ყოფნა სურს ღმერთსაც

რა იდუმალი მოჰყვება დილებს...
თბილ საღამოებს რა ფიქრი
ჩასდევს,
რა აშრიალებს ამ ალვის
ჩრდილებს,
რატომ აქვთ სწრაფვა ცისაკენ
ამ მთებს.
თითქოს სხვაგვარად ამოდის
მზეც და
საკმევლის სუნით თვრება ჰაერი,
აქ უხილავად ყოფნა სურს
ღმერთსაც,
აქ უხვად აფრქვევს ცა მადლს,
ღვთაებრივს
აქ დუღს მირონი... ანგელოზური
განცდებით აზრის მორევი
ბორგავს
და საქართველო ფიქრით
მოცული,
ჯვარცმული უფლის ოქროს სახლს
მოჰგავს!

ათიათასად ზრდილობა

ეს ქალაქელი იმერეთის აღმართ-დაღმართს მივუყვებოდი ჩემი შავი მერსედესის ჯიპით, რომელიც პენწიანი შარვალ-კოსტუმივით მყავდა მორგებული, თან მაგნიტოფონიდან გადმომდინარე მელოდიას ხმას ვაყოლებდი:

„ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს გაგივლია, შეამჩნევდი მიმობნეულს მინდორ-ველად:

პაწაწინა, მარჯნისფერი ყვავილია, იმერეთში ეძახიან „საპოვნელას".

ერთ-ერთ კარიბჭესთან მცხოვანს ვერ იტყოდი, მაგრამ ჭარმაგი კაცი კი იდგა და რაღაცას ან ვიღაცას ელოდა. ელოდა მშვიდად და მოთმინებით. ჩემში ამ იდილიური სურათის დამნახველმა, მყისიერად გაიღვიძა „რაინდმა", მანქანა ცხვირწინ შევუჩერე, ჯერ ფანჯარა ჩამოვწიე, მერე გადავიწიე, მოლაფშური პირივით კარი ბოლომდე გამოვაღე და მივმართე:

დაბრძანდით, ბატონო ჩემო, მიგიყვანთ.

არა უშავს, ნუ წუხდებით, - იყო თავაზიანი პასუხი.

რას ბრძანებთ, რა შეწუხებაა, ძალიან გთხოვთ, დაბრძანდეთ, ნუ გამაწბილებთ.

როგორ შეგაწუხოთ.

პირიქით, თქვენი მხრიდან დიდი პატივი იქნება, რაგინდ შორს არ უნდა იყოს, ზედ კარიბჭესთან მიგაბრძანებთ.

მასპინძელმა მიიხედ-მოიხედა, ბოლოს გადაწყვიტა და მანქანაში ჩაჯდა. ჯიპი მძიმედ დავძარი. უცბად გავეცანით ერთმანეთს – ჯუმბერი ერქვა. დაახლოებით ას-ასორმოცდაათ მეტრში სოფლის მოედანი გამოჩნდა.

თუ შეიძლება წრე გააკეთეთ, - მომმართა.

კი ბატონო – არ დამიყოლებია, მაგრამ ვიფიქრე „თქვენი მონა-მორჩილი".

ახლა მარჯვნივ – იქითკენ მიმითითა, საიდანაც შემოვედით.

დავიბენი, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და იმავ გზას დავადექი, საიდანაც შემოვედი, ოღონდ ახლა საპირისპირო მიმართულებით.

კვლავ იგივე მანძილი, კვლავ იგივე ალაყაფი, სადაც ჯუმბერი შევნიშნე, ოღონდ შესასვლელთან ძროხა იდგა და მოთმინებით იცდიდა.

ჩემი ფათუშაც მოსულა, ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა, - ერთი წუთით გადავალ, ალაყაფის კარს გავაღებ, მანქანა ეზოში რომ შემოიყვანოთ.

პასუხს არც დაელოდა, მკვირცხლად ისკუპა მანქანიდან. ძროხა ფათუშა კუტი კარიდან შედენა. ალაყაფის ორივე კარი ბოლომდე გამოაღო და მომაძახა:

მობრძანდით, ბატონო კობა!

ამ მოპატიჟებამ სულ დამაბნია, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო, მონუსხულივით დავემორჩილე და მანქანა შუა ეზოში შევაყენე.

მანქანის დაკეტვა არაა საჭირო, აქანა ხელს არავინ ახლებს, ფაცაცია ქალო, გამოიხედე, შეხედე რა ძვირფასი სტუმარი გვეწვია.

შემატყო, ვმერყეობდი. კილო დაატკბო.

აბა, გადმოდი, სიტყვა! დღეს ჩემი სტუმარი ხარ!

ხოლო როცა ჩემს გაოცებულ, დაბნეულ სახეს ღიმილით ჰკიდა თვალი და ღიმილითვე მითხრა:

მე აქანა ვცხოვრობ, ჭიშკართან ჩემს ძროხას, ფათათოს ველოდი, მაგრამ ისე გულიანად, ისე ზრდილობიანად მთხოვე მანქანაში ჩავმჯდარიყავი, უარი ვეღარ შემოგკადრეთ, ჰოდა პატარა გავისეირნე კიდეც, ახლა კი მე გთხოვ, გადმობრძანდი და კერია დამილოცე.

ეგ როგორ? - ჩავიდუდუნე.

როგორ და ასე, სხვანაირად გადავკრათ თითო ჭიქა ცოლიკაური, თან ხაჭაპური და შემწვარი წიწილაც დავაყოლოთ.

მანქანიდან სრულიად „განიარაღებული" გადმოვედი.

გადმოვედი და ორი კაცით დაწყებული სუფრა მალე რვა კაცამდე ავიდა და უკვე საცაა მამლების ყივილი უნდა დაწყებულიყო, როს ავიშალენით.

ჩემს მასპინძელს დიდი ხვევნა-კოცნით დავემშვიდობე, ამაზე არც ღირს ყურადღების მიქცევა, მაგრამ სინათლის შუქზე გალაპლაპებულ მერსედესის ჯიპს რომ შევხედე, ცნობილმა აფორიზმმა შემახსენა თავი: „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა".

მანქანა მძიმედ დავძარი და კვლავ ავღიღინდი:

„ოქტომბერში თუ ჩემს ბაღთან ჩაგივლია. .

ნოდარ კოპერიძე

14 აგვისტო, 2017 წ. ბათუმი

ნემა ელიზბარაშვილი

ეკლესია

ყველაფერი, რაც მკვიდრად არის ნაგები, ამავდროულად ღვთაებრივია

ვიტგენშტაინი

მართალია სახლი ვარ, მაგრამ ბევრი ადამიანური თვისება მეც გამაჩნია. მარტოობა, მონატრება, სიყვარული, წუხილი, დარდი, სევდა, განშორება და ხელახლა შეხვედრის სიხარული ისევე მაღელვებს, როგორც ადამიანებს.

ას წელზე მეტია ვდგავარ პატარა ქალაქის გალავანშემოვლებულ მყუდრო ბაღში.

ხუთი თაობა ადამიანებისა დაიბადა და აღიზარდა ჩემს კედლებში. შემდეგ ზოგი დროებით, ზოგიც სამუდამოდ წავიდა ამ ჭერიდან. ამისათვის აღმომხდება ხოლმე ოხვრა ბნელი ღამით. ადამიანები ამბობენ სახლი ჭრიალებსო. ეს ჩემი ოხვრაა, – მონატრება იმ ადამიანებისა, რომლებიც ჩემს კედლებში დაიზარდა... ბევრი მათგანი აღარაა ამ ქვეყნად, ზოგი კი დიდი ქალაქის მაღლივ კორპუსებში ცხოვრობს ხმაურიანი ქუჩებისა და ლიფტის ჭრიალში.

ჩემს კედლებს ახსოვთ ამ ოჯახის შთამომავლების ავ-კარგი. რამდენი ქართველი თუ უცხოელი მიმიღია სტუმრად ჩემს ჭერქვეშ.

ბედნიერი და მხიარული დღეები მართლაც რომ სიყვარულითა და ხალისით იყო სავსე. სამწუხაროდ ტირილი და ოხვრაც ბევრი მინახავს. რას იზამ, ასეთია წუთისოფელი.

ყველაზე ძნელი და აუტანელი ყოფილა მარტოობა, მარტო ყოფნა საშინელებაა. მინდა ჩემი ჭერი ხარობდეს სიცოცხლით, მაგრამ აქ მხოლოდ სიცარიელეა. როგორ შემიძლია დავივიწყო ის შრომა და ფიქრი, რაც ჩემი აშენებისათვის დასჭირდათ იმ ადამიანებს, ვინც თავისი შთამომავლობისათვის გაისარჯა ასე რიგად. ნუთუ ამაოდ?...

სანამ ადამიანების თავზე შავი ღრუბლები ჩამოიწურებოდა და ხალხი უღმერთობის ჭაობში ჩაეფლობოდა, ცხოვრება ბუნებრივი გზით მიდიოდა. ხალხს სჯეროდა უფლის სამართლის და მისი უზენაესობის. იმ დროს ჩემთან მხიარული წვეულებები იმართებოდა დარბაისლური ქართული სიმღერებით. როგორც ადამიანები იტყვიან, ახლაც ძვალ-რბილში მაქვს ჩამჯდარი და ჟრუანტელს მგვრის მრავალჟამიერი, მრავალხმიანი ხალხური სიმღერები, საეკლესიო საგალობლები და ქალაქური ჰანგები გიტარის თანხლებით. ჩემი მეზობელი სახლები შურით შესცქეროდნენ ჩემს იღბალს, მართლაც რომ საშური ბედი მქონდა; შესანიშნავი ქართველი მანდილოსნებისა და მამაკაცების მოლხენა ქორწილებში, ნათლობებში და დღეობებში თვალწარმტაცი სანახავი იყო. მახსოვს ულამაზესი ქალბატონი ელენე ანდრონიკაშვილი სტუმრად სანადიმო დარბაზში მზესავით რომ ანათებდა. იგი ოჯახის უფროსი ვაჟის ნათლია იყო და მისი სტუმრობა ყოველთვის დიდი სიხარულით ავსებდა წვეულებას...

მალე ბოროტი სული, სატანა დაეუფლა ქვეყანას და ადამიანებს წაერთვათ სასოება... აეკრძალათ მორწმუნეობა და მაცხოვრის ჯვრის თაყვანისცემა... დაინგრა და გაიძარცვა ეკლესია მონასტრები. თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას საშინელი რეპრესიებით გაუსწორდნენ. ჩემი აღმშენებელიც ვერ გადაურჩა საერთო უბედურებას, ღვთაების ეკლესიის წინამძღვარი ციხეში გამოამწყვდიეს თავისი რწმენისათვის...

ყველაზე ნაღვლიანი და გულდასაწყვეტი პირველი მიცვალებული იყო. ომის წლებში გარდაიცვალა ოჯახის მოამაგე და ჩემი აღმშენებელი. შემდეგ პატარა შვილიშვილებს მოულოდნელად ხელიდან გამოეცალათ საყვარელი დედა. დიდი უბედურება დაატყდა ოჯახს. შეწყდა ტკბილი ქართული ჰანგები. გლოვა და ცრემლები მილბობდა გულის ფიცარს, მაგრამ რა მექნა? ყველაზე მეტად პაწიები მეცოდებოდა, დედის ალერსს რომ იყვნენ მოკლებულნი. ვცდილობდი სითბო დამებუდებინა ზამთარში, პატარებს სიცივე რომ არ ეგრძნოთ. ბებო გათენებამდე დგებოდა და ანთებდა ბუხარში ცეცხლს. ამ დროს ჩემი გულიდან კვამლთან ერთად მწუხარებაც ადიოდა ცაში.

შემდეგ პატარები დაიზარდნენ და სწავლის გასაგრძელებლად დედაქალაქს მიაშურეს. ყველაზე დიდი სიხარული ამიერიდან მათი შეყრა გახდა ჩემს ჭერქვეშ. ისევ დაბრუნდა სიმღერა და მხიარულება.

ერთხელაც დიდი საწაული მოხდა: ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული უახლოესი ნათესავი ჩამოვიდა საფრანგეთიდან. ისევ გაიტრუნენ მეზობელი სახლების ბინადარნი ჩემი ეზოს გალავნის კედლებთან საგალობლებისა და ხალხური სიმღერების მოსასმენად. დაიზარდნენ პატარები და მათ ქორწილებში აგუგუნდა მრავალჟამიერი. ქალები დათხოვდნენ და იშვიათად, სტუმრად თუ შემოივლიდნენ მცირე ხნით, ხოლო ვაჟები დედაქალაქში დასახლდნენ.

გადიოდა დრო და მხოლოდ უფროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ ჩემი ერთგული ბინადრები. მოხუცდნენ და დაუძლურდნენ, ჯერ ბებო გარდაიცვალა, ვალმოხდილი და ღრმა მოხუცი. შემდეგ გულმა უმტყუნა რძალს და დარჩნენ მხოლოდ მოხუცებული ძმები. შემდეგ მათაც გაიხურეს რიგრიგობით ჩემი კარები უკანასკნელად.

ამჟამად ვდგავარ ძველებურად ამაყად და მედგრად, მაგრამ უმოქმედოდ. გამოკეტილია ყველა კარი. წრუწუნა რომ წრუწუნაა, მისი გაფაჩუნებაც მენატრება. ახლა მე შევცქერი შურით ჩემს მეზობლებს. მათი მობინადრეები თუ ჩამოსხდებიან ჩემი სადარბაზო კარის საფეხურერბზე და მიხალისებენ ბებერ გულს. რა მილეთის ამბებს არ ყვებიან, მართობენ, თითქოს გრძნობენ ჩემს მარტოობას. ამბობენ, რომ ადამიანებს ისევ დაუბრუნდათ ღმერთის რწმენა. თურმე ეკლესია მონასტრებში ისევ ინთება სანთლები უფლის სადიდებლად და ისევ ხდება მირონცხება... მაგრამ ბევრი გაუგონარი და დაუჯერებელი ამბავი შევიტყბე მათგან. ჩემს ბედს ქვეყანაში ახლა ბევრი იზიარებს. უამრავი სახლები ყოფილა გამოკეტილი და მარტოდ დარჩენილი. მათი მობინადრეები შორს, ზოგი კავკასიონის, ზოგი ოკეანის გადაღმა უცხო ქვეყნებში გადახვეწილან ბედის საძებნელად. ბევრი მათგანი ხელმოცარულა და უსახსრობის გამო თავიანთ ჭერქვეშ ვეღარ ბრუნდებიანო. საცოდავები ქუჩებში ათენებენო ღამეებს, ხოლო მათი სახლები აქ ჩემსავით ცარიელი და გამოკეტილიაო პატრონების მოლოდინში...

ზოგჯერ ყვავი შემოჯდება ბუხრის საკვამურზე და შემომძახებს;

ჰა, ბებერო! ისევ მარტო ხარ? არ გამოჩნდნენ შენი მობინადრეები? არა ხარ საჭირო, იდექი ასე აყლაყუდასავით და იყავი მარტოდმარტო! მე არა მჯერა მისი. არც მთლად ასეა საქმე. ყოველ დილით შაშვი გამოძვრება ხოლმე გალავანთან დარგული ბზის ბუჩქიდან, შემოჯდება ვაშლის ხის კენწეროზე და მიგალობს ტკბილი ჰანგებით წუთისოფლის სილამაზეზე. ვიცი, რომ ჩემს ჭერქვეშ გაზრდილ ოჯახისშვილებს ვუყვარვარ და ვენატრები კიდევაც. ვიცი ისიც, რომ ერთერთ შვილიშვილს, თავისი მეუღლითა და შვილებით გადაწყვეტილი აქვს საცხოვრებლად ჩემთან დაბრუნება. აი, მაშინ კი გავიხარებ მთელი არსებით, როცა მათი ჟრიამულით აივსება ჩემი ოთახები.

ამ ზაფხულს მათი ერთ-ერთი ვაჟი იყო ჩამოსული. მარტო იყო და არ ლაპარაკობდა, თავის თავს ხომ არ დაუწყებდა საუბარს. მისი ხმა ვერ გავიგონე, მაგრამ მისი ფეხის ხმა და სუნთქვა მალამოსავით მედებოდა სულსა და გულზე. წიგნის დიდი მოყვარული იყო და ძველი კარადა გადაქექა თავისი წიგნებიანად; ბროკჰაუზის ლექსიკონები და საბინინის დასურათებული საქართველოს სამოთხე, ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი სახარება და ბაქარისეული ბიბლია, ქართულ-კახური საგალობლები – კარბელაანთ კილოთი... მშვენიერი შინდისფერი სახარების ოთხთავი არ მოუშორებია ხელიდან... გარდასული დროის იდუმალებითა და ინტერესით აევსო გონება... წიგნი ახალივით იყო შენახული და თავფურცლის წინ ჩაკრულმა ნაბეჭდმა გვერდმა მშვენიერი წინაპრის თვალწატმტაცი სიყმაწვილე გადაუშალა თვალწინ; " Напутствуетъ сей книгой Телавское Женское учебное Заведенiе Св. Нины окончившую курсъ воспитанницу свою Т а м а р у Ч е л о к а е в у въ день выпуска изъ Заведенiя 16 Апръля 1915 года.- "

„ჰსცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ" იოან. 8, მუხლ. 32.

Законоучитель Свящ. Мих. Элизбаровъ"

რამდენიმე წლის შემდეგ მამაჩემის მშვენიერი პაპიდა თავისი ჭეშმარიტებითა და მეუღლით – ირაკლი მაყაშვილით სამუდამოდ გაუყენეს ციმბირის გზას... – გაიფიქრა დიდი სინანულით ... – მსხვერპლს მოითხოვდა სატანა სამი წლის თავისუფალი საქართველოსათვის! ეხლაც განსაცდელში გვამყოფებს უფალი ჩვენი ცოდვებისათვის...

დიდი სიმტკიცითა ვარ ნაგები და ნაკურთხი შთამომავლობისათვის ეზო კარიანად. თითქმის ერთი მეტრის სისქისაა ჩემი კედლები. კარ-ფანჯრები მუხისა და წაბლისაგან გამოთალეს ოსტატებმა. ცეცხლზე გამომწვარი კირის დუღაბითა და ჯვარამოტვიფრული აგურითა ვარ აშენებული და საძირკვლების კურთხევისას ოქროს მონეტები ჩამატანეს. მკვიდრადა ვდგავარ შთამომავლობისათვის და ყოველ სისხამ დილით, როდესაც სილურჯეში ჩაფლული კავკასიონის ქედს მზე დაადგამს თავზე გვირგვინს თუ ღამით მთვარე ყვითელ ხილაბანდს შემოახვევს დედამიწას, უფალს ვევედრები, სიცოცხლე არ მოშალოს ჩემს ჭერქვეშ...

ჯერჯერობით კი მარტო ვარ, მარტოობის ჯოჯოხეთში. ღმერთმა დაგიფაროთ გამოსცადოთ ეს!

რა გააკეთა და რა ვერ გააკეთა ნარმანიამ

ქალაქის მერიის მრჩეველთა საბჭოს სხდომა 4 ივლისს შედარებით ორიგინალურად ჩატარდა. საბჭოს თავმჯდომარემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა რევაზ მიშველაძემ ქალაქის მერს და საბჭოს წევრებს სთხოვა ამჯერად სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარემართათ.

რევაზ მიშველაძე – ბატონო დავით, სრულიად ბუნებრივია, რომ ამ სამი წლის განმავლობაში დასახული მიზნების სრულ რეალიზებას ვერ შეძლებდით. ნება მომეცით სამი შეკითხვა დაგისვათ:

დაასახელეთ განხორციელებული პროექტებიდან 5 ყველაზე განსაკუთრებული;

თუ გრძნობდით ზეწოლას ე. წ. ზემდგომი ინსტანციებიდან?

რას უნდა მივაწერო ერთი ფრიად საჩოთირო ფაქტი: თქვენი მერობის პერიოდში დაიხურა საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი, რამაც უკვე გამოიღო უარყოფითი შედეგი. ზედიზედ მოკლებულია შესაძლებლობას მათ სათანადო პატივი მიაგოს, თუნდაც გივი ბერიკაშვილის მაგალითს დაგისახელებთ.

დავით ნარმანია – საღად მოაზროვნე, ობეიქტურ შემფასებელს ვთხოვ, ჩემი საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინოს, ის სამარცხვინო მემკვიდრეობა, რომელიც მე დამხვდა. ყველა მაღლივ შენობას მე რომ მაბრალებენ, ასე არ არის. უმეტესობა მათგანზე ნებართვა გაცემული დამხვდა. გარდა ამისა მხედველობაში მიიღეთ 13 ივნისის ვერეს ტრაგედია და მსოფლიო ოლიმპიადის უაღრესად შემჭიდროვებულ ვადებში მომზადება. ხუთი წარმოდგენილი პროექტი:

ახალი გზების გაყვანა და ძველის მოასფალტება: შინდისის, სამება–მახათას, კრწანისის, ვაშლიჯვრის და ახლახან პეკინის ქუჩის რადიკალური განახლება.

ახალი ავტობაზა, რომლის დაპროექტებაში ფრიად დაგვეხმარა ტექნიკური უნივერსიტეტი. სექტემბრისათვის 300 ახალი ავტობუსი გვექნება.

რეაბილიტირებული აღმაშენებლის გამზირი.

ახალი სპორტული ბაზები მუხიანში და 12 საბავშვო ბაღის აშენება.

ქალაქის გენერალური გეგმის დამტკიცება.

რაც შეეხება კითხვას ზეწოლის შესახებ, კატეგორიულად უნდა ვთქვა, რომ არავითარი კატეგორიული მითითება ზემოდან არ მომსვლია, მაგრამ საქმიან რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებდი.

დიდუბის პანთეონის გაუქმებაზე მერიას გადაწყვეტილება არ მიუღია. ეს პრობლემა ჩემს კომპეტენციას აღემატებოდა და გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ მიიღო. ასევე საკრებულომ გადაწყვიტა, მახათის მთაზე ახალი პანთეონის მშენებლობა, თუმცა დიდუბის პანთეონის რეაბილიტაცია-გაფართოების საკითხს ახალი მერი შეიძლება დაუბრუნდეს.

აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი – ბატონო დავით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ყოველთვის სიამოვნებით თანამშრომლობდა თქვენთან და მადლობელი ვარ, რომ ჩვენი წინადადებები გაიზიარეთ. მხედველობაში მაქვს საბაკაძის მოედნის მოდერნიზაცია და ავტობაზის დაპროექტება. ნება მომეცით გკითხოთ: რატომ არ მოება თავი დიღომში ფარმაცევტულ წარმოებასთან ახალი მცირე გზის მონაკვეთის დაწყებას და დაგვიბრუნდება თუ არა საუნივერსიტეტო საცურაო აუზი?

დავით ნარმანია – კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, ბატონო არჩილ, ჩემს ღრმა პატივისცემას და მადლობელი ვარ საქმიანი რჩევებისთვის. რაც შეეხება ფარმაცევტულ კომპანიასთან ახალი გზის გაყვანას, უახლოეს პერიოდში შევუდგებით, ხოლო საცურაო აუზის კანონიერი მეპატრონისთვის – უნივერსიტეტისთვის დაბრუნება დღის წესრიგში დგას.

კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი: ბატონო დავით, საქართველოს სახელოვნო ინტელიგენცია რომ მძიმე დღეშია, თქვენ კარგად იცით. დღემდე რატომ ვერ მოახერხეთ მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირებისთვის წართმეული სახლების დაბრუნება? მძიმე დღეშია გუდიაშვილის ბაღი, ხოლო სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ყოფილი შენობის ადგილზე 42–სართულიანი საცხოვრებელი სახლი შენდება. რა, ბოლოს და ბოლოს სუნთქვა აღარ შეიძლება, გადავსახლდეთ ამ თბილისიდან?

დავით ნარმანია – ბატონო ვაჟა, არაერთხელ გითხარით, რომ მწერალთა სასახლის და კომპოზიტორთა სახლის დაბრუნება ჩემს კომპეტენციაში არ შედის, გუდიაშვილის ბაღს დაუყოვნებლივ მივხედავ და რაც შეეხება 42 სართულიან სახლს, იქნებ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უფრო აქტიურად გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება. ზოგი მომხრეა, ზოგი წინააღმდეგი.

პროფესორი იგორ კვესელავა – ბატონო დავით, სამარცხვინოა, რომ ათეული წლების განმავლობაში თბილისს არ ჰქონდა გენერალური გეგმა და ამხელა ქალაქი ქაოტურად შენდებოდა. ახლა რა მდგომარეობაა? და კიდევ ერთი თქვენ წინა სხდომაზე დაგვპირდით, რომ მიხედავდით ე. წ. ნაფეტვრების გზას. ამ მხრივ თითი-თითზე არავის დაუკარებია.

დავით ნარმანია – უნდა გახაროთ, რომ გენგეგმაზე მუშაობა ჩემი მერობის პერიოდში დასრულდა და უახლოეს კვირაში საბოლოოდ დავამტკიცებთ. ნაფეტვრების გზაზე გავეცი განკარგულება, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ მერიაშიც კი სახელისუფლებო ვერტიკალი ხშირად არ მუშაობს. ჩემი მითითება ყოველთვის არ სრულდება.

თამაზ შილაკაძე – ბატონო დავით, ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში, რაც შემეძლო, მხარში გედექით. ჩემი ხელი ატყვია ვერეს ახალ მაგისტრალებს, ვაკის და პეკინის ქუჩების გადაკვეთის და სხვა გზების დაპროექტებას. სიამოვნებით ვთანამშრომლობ თქვენს მიერ დაარსებულ ახალ სატრანსპორტო კომისიასთან, როგორი იქნება თქვენი მემკვიდროებითი დამოკიდებულება ახალ მერთან?

დავით ნარმანია – ბატონო თამაზ, თქვენ იცით ჩემი კეთილი სურვილები კახა კალაძის მიმართ. ეჭვი არ მეპარება, რომ მას აირჩევენ და ჩემს განუხორციელებელ პროექტებს, მას გადავაბარებ. რა თქმა უნდა, რჩევასაც არ დავაკლებ.

პროფესორი სოსო სიგუა – ბატონო დავით, არ ვიცი ვისი ინიციატივით, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩას სახელი გადაარქვეს და ისევ პეკინის ქუჩა დაარქვეს. რა დაამავა კონსტანტინე გამსახურდიამ? დღეს თბილისში, ჩვენდა სამარცხვინოდ, აღარა გვაქვს არც კონსტანტინეს და არც ზვიად გამსახურდიას ქუჩები.

დავით ნარმანია – ტრადიციულად ქუჩებისთვის სახელწოდების მინიჭებას და საპატიო მოქალაქეების დასახელების საკითხს მერიასთან არსებული მრჩეველთა საბჭო წყვეტდა. რატომღაც ამ ბოლო დროს ამ პრიორიტეტმა საკრებულოში გადაინაცვლა და მე წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიე. გეთანხმებით, რაც თქვენ თქვით, ანიმაციაა და უნდა გამოსწორდეს.

მხატვარი გივი თოიძე – მადლობა უნდა გითხრათ, ბატონო მერო, რომ ბევრი რამ გააკეთეთ თბილისის ისტორიული სახის შენარჩუნებისთვის, მაგრამ ორ რამეზე მაინც მტკივა გული: გულდაწყვეტილი წავიდა ამ ქვეყნად დიდი ხელოვანი მერაბ ბერძენიშვილი. კი, რაც მოხდა, თავგასული სააკაშვილის ბრალია, მაგრამ იმის შემდეგ 6 წელი გავიდა და რატომ ვერ გამოსწორდა დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნების, ან „უკვდავების მემორიალის“ (ქუთაისი) აღდგენის საქმე? რატომ არა გვაქვს თბილისში თანამედროვე მხატვრობის მუდმივმოქმედი გამოფენა-მუზეუმი?

დავით ნარმანია – გულახდილად რომ გითხრათ, დავით აღმაშენებელის ქანდაკების პრობლემა მარტო ჩემი გადასაწყვეტი არ იყო, დღესაც ასეა. მუზეუმის საკითხში კი აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით და უახლოეს ხანში თავს დავადგამთ ამ საქმეს.

ქორეოგრაფი ომარ მხეიძე – ამ საკითხს ყოველი საბჭოს სხდომაზე ვუტრიალებ, მაგრამ წყლის ნაყვასავით გამომდის. ჩვენ, უნიკალური საცეკვაო ხელოვნების და გენიალური ფოლკლორული წარსულის მატარებელ ერს, ქვეყანას, სადაც ქართული ცეკვა იმდენად პოპულარულია, რომ დღესაც 300 ათასი ყმაწვილი სწავლობს ცეკვას, მათხოვრულ დონეზე გვაქვს სარეპეტიციო დარბაზები. ნუთუ არაფერი გვეშველება?

დავით ნარმანია – რამდენიმე შემთხვევა ჩემი ინიციატივით გადავწყვიტეთ ამ მიმართულებით. მაგ. ჯემალ ჭკუასელის ანსამბლს მივეცით სარეპეტიციო დარბაზი, ასევე რამდენიმე ანსამბლს მივაწერეთ წერილი, რომ ამა თუ იმ დაწესებულებას მათთვის სარეპეტიციოდ დაეთმოთ დარბაზი. თქვენ მართალი ხართ, საჭიროა, დაუყოვნებლივ აშენდეს რამდენიმე დიდი სარეპეტიციო ცენტრი.

სხდომის დასასრულს **რევაზ მიშველაძემ** წამოაყენა წინადადება, რათა გათვალისწინებულ იქნას ცნობილი მხატვრების შუამდგომლობა და ქუჩის იმ მონაკვეთს, სადაც ცნობილი ხელოვანი ემირ ბურჯანაძე ცხოვრობდა და სადაც მისი მემორიალური დაფაა გაკრული, ეწოდოს ემირ ბურჯანაძის სახელი.

ია აბულაშვილი

გაზეთი „რეზონანსი“,
6 ივლისი

შოთა ლეჟავა



ქალაქი ასფალტი

ასფალტზე გაზრდილ პოეტმა
ყვავის ხმით წაიყრანტალა
წადი, თქვენ ჩამოსულებო,
არ იცით, რაა არტალა.
თვალი თვალში გავუყარე,
ვითომ მე ამიხირაო
„კატამ კუდი ააბზიკა
და მეც ნახირ–ნახირაო“.

სოფელში გაზრდილ პოეტმა
მერცხლის ხმით წაიჭიკჭიკა
გაზაფხულია გვახარა,
ვით აკვნის ბავშვმა ტიკტიკამ.

ასფალტზე გაზრდილ პოეტმა
კნუტის ხმით წაიკნავილა
კატამ თვის ძუძუ აწოვა
კნუტებს თვალები უხილა.

***

ნუ გავხდებით დაუნები
და ნუ გავდაყანდებითო,
ნუ გავშტერდ–გამოშტერდებით
ნუ დავყრუვდ–დავმუნჯდებითო.

იმერულად ნუ გამოვყეყეჩდებით
და კახურად ნუ
გამოვყრანტალდებითო

***

ისე მწყურია მე შენი ნახვა,
რომ ვიგრძნო შენგან ქალის სურნელი,
ვით სიკვდილის წინ ვაჟამ ითხოვა
ბლუჯა ბალახი გულს დასაყრელი.

***

ჩემს ჯოხის ცხენით მე ჩემს შუკაში
ვერ დავინახავ ჩემს ბჟოლას ჭიშკარს,
ასი წლის მერე, ასი წლის მერე
და ვინ გააღებს დიდი ოდის კარს.

***

ამ პლანეტის წილი მიწის
ყველას ჰქონდეს თავის მზითი,
მთვარით და ვარსკვლავებით
წიგნით, ვით დედოფლის მზითვი.

***

სატაშფანდურო ლექსებო,
ჩემს სულში ადგილს ვერ ნახავთ.

***

ჩემო შოთა, რად გინდოდა
შენ ამდენი ტყაოსანი,
ვიცი, კმარა ერთი შოთა
მისი ვეფხისტყაოსანი.
აღარ გინდა გველის, მელის
და სხვა დათვისტყაოსანი.

***

ჩემო ქვეყანავ, რად ვიყო
შენგან დედა ნატირები,
სჯობს მზის, მთვარის,
ვარსკვლავისგან
რომელი იყო დანატირები.

***

ვინც არ იცის, რა ეშველება,
რომ არ ვიცოდე რა მეშველება.

***

თვითმკვლელობა მე მომანდეთ
არავისი არა ბრალი
ღვთის ნიავმა წამომიარა
ჩემი ანთო ცეცხლის ალი
ეს ხომ არის ჩემი ბუხრის
მუგუზალის ნაპერწკალი
ისევ, ისევ დაიწყება
თვითმკვლელობა ცოდვა–ბრალი
ნაპერწკლები დავინახე
როგორც ცაზე ვარსკვლავთჯარი
არსად არის მსოფლიოში
თვითმკვლელობის შესადარი.

***

ეპოქას ელაპარაკე
ყრუ–მუნჯების ენით
შემდეგ საუკუნეებს კი
იმედით და რწმენით.

***

დიდ რუსეთმა ჩვენ ორასი
წელი გვაქაცმაცურა,
ქართულმა სისხლმა და სულმა
მაინც იკაცკაცურა
ახლა გინდა შენ კაცობა
იკაცკაცურე,
ოკეანის ნაპირს დგახარ,
იქაც გაცურე.
არ დაკარგო შენი ზღვა და
იკაცკაცურე.
დაეტიე შენს მიწაზე,
იქაცმაცურე.

***

ჩემო შოთა, დასვენება
რატომ აღარ გიწერია.
უძილობა დაგჩემდა და
ძილი აღარ გიწერია.
და სიცოცხლე რომ იცოდე,
რატომ აღარ გიწერია,
ჩაიხედე შენ სარკეში,
შუბლზე რაი გიწერია.
და სიკვდილის შემდეგ ვნახავთ
თუ რაიმე გიწერია,
რომ „სიკვდილი“ უებარი
წამალია – გიწერია.
იმ შენ ლოდზე დავინახავთ
ქართულად თუ გიწერია,
ამ სოფლიდან, იმ სოფელში
დაახვიე – გიწერია.
სჯობს მიიღო უებარი
ეგ „სიკვდილი“ წამალია
არ არსებობს სხვა გზა, შოთა,
სხვა გზა გამოსავალია,
რომ იცოდე ეგ „სიკვდილი“
უებარი წამალია.

ლია ჭაბაშვილი

წვიმა

გაზაფხულზე გაბატონდა წვიმა, წვიმის წვეთთა ციაგი ცრის სივრცეს, დანამული ყველაფერი, სველი – გზა, ხეები, ტრანსპორტი და მზე. სველი ჩანთა, სველი ქოლგა, სველი თმები, წვიმა, წვიმა, წვიმის წვეთთა უხმო ხმები... სიხასხასე, სისოვლე და სიკამკამე, წვიმის წვეთში გამომკრთალი წმინდა ველი. წვიმა, წვიმა – სამყაროს ხმად გამომკრთალი.

წვიმა სულის მალამო და... წვიმა დარდი.

გუშინ ზეცა ჩამოიქცა მიწად

გუშინ ზეცა ჩამოიქცა მიწად, წვიმის თქეშმა გადაფარა სივრცე, სეტყვა თეთრად მოეფინა ირგვლივ, რახა–რუხმა გააყრუა სმენა. განგვირისხდა ჩვენ უფალი გუშინ, ჩვენ ვერ ვხვდებით, კვლავ განვაგრძნობთ ცოდვას, უსაზღვროა მიტევება უფლის, უსაზღვროა შეცოდება ჩვენთა.

მე, უფალო, მუხლმოდრეკით შეგრთხოვ, გადარჩენას ჩვენ მშობლიურ ერის, სიკეთეს და სიყვარულთა ჩვენთა, დამოქცევას უფლის გზაზე სვლისთვის. ბოლო ჟამის შვილები ვართ თურმე, რას მოვიგებთ, რას ვეძიებთ ქვეყნად, შემეცნებას უფლისმიერს ვებრძვით, წამიერი ყოფა გვიპყრობს მეტად. ამ მიწაზე დროებითი ყოფნა, გამოცდაა ჩვენი სულის გზისთვის ცოდვილები მოვევლინეთ მიწას, მარხვა, ლოცვა გამოგვიყვანს ცოდვილთ.

გუშინ ზეცა ჩამოიქცა მიწად, ჩვენ ცოდვილნი განგვბანა მან ცრემლით.

ვიცი არ დაიჯერებ, თვით უფალი მიღიმის!

ვიცი არ დაიჯერებ, თვით უფალი მიღიმის!

იმ სივრციდან მზირალი, იმ სიწმინდის მფლობელი, გული გრძნობს და ვეწყობი იმ სიხშირეს, მსურველი.

ვიცი არ დაიჯერებ, თვით უფალი მიღიმის! უფლის მადლს, სასოებას, სული ელტვის მცნობელი.

ვიცი არ დაიჯერებ, თვით უფალი მიღიმის! ყველა უყვარს, მათ შორის მეც, ყველაზე მცოდველი.

ვიცი არ დაიჯერებ, თვით უფალი მიღიმის! უფლის მადლს, სასოებას, სული ელტვის მცნობელი. ვიცი არ დაიჯერებ, თვით უფალი მიღიმის! გონს – ნათელს და გულს – სიბრძნეს, უფლის მადლი ანიჭებს და სიბრძნესაც ღვთისმიერს მხოლოდ უფლის ვეცნობით.

ვიცი არ დაიჯერებ, ახლა გული რომ იტევს, მთელ სამყაროს, მათ შორის ყველას მტერს და მოყვარეს.

ვიცი არ დაიჯერებ, თვით უფალი მიღიმის!

მე, ყოველ დღე, სულ ახლიდან ვიბადები

მე, ყოველ დღე, სულ ახლიდან ვიბადები, ვიდგავ ენას, შევცქერ სივრცეს გარინდებულს, მზის სხივები სულ ახლიდან შედის თვალში, თაფლს მიღვრის და სიყვარულით დათარეშობს, სულ ახლიდან, მე ვეცნობი, ამ სამყაროს, ამ გაზაფხულს, ამ ზამთარს და შემოდგომას, სულ ახლიდან მიყვარდება სულ ყველა და სულ ახლიდან გული გასცემს ულევ სითბოს.

მე, ყოველ დღე, სულ ახლიდან ვიბადები, რომ ახლიდან დავადგე გზას უფლის, ღვთაურს.

როგორც სანთელი

როგორც სანთელი, რომ ანთია და ზედ სინათლეს, იწვის, გამოსცემს სითბოს და ნათელს, ჩვენც ჩვენი გარჯით ასე გავცემთ შუქსა და სითბოს.

რა ძნელია და რა რთულია, უფლის გზაზე სვლა, მძიმე გარჯაა და ჩვენი ჯვრის სიმძიმე ჩვენ – გვზრდის და თან – გვათბობს.

ის ტკბილ–მწარეა, ტკივილთან ერთად სიტკბოს გამოსცემს, ეს სიტკბო არის სიმშვიდე და უფალთან ყოფნა სულის სივრცეა, მიღმიერ და ამ სამყაროს შორის გახილულ, და აღიქმება მიწიერი ეს ცხოვრება სიზმარულ ყოფად, და გრძნობ იმ სივრცის, მიღმიერ სივრცის ბანადართ სულებს, მათ შემწეობას, დახმარებას, ღიმილს ღვთაებრივს. რანი ვართ? ჩვენ ეს შეგრძნბეა

გვძრავს, გვახედებს თავში და მთელი ძალით უფლისაკენ მოგვაქცევს ნებით.

როგორც სანთელი, რომ ანთია და ხედ სინათლეს, იწვის გამოსცემს სითბოს და ნათელს, ჩვენც ჩვენი გარჯით ასე გავცემთ შუქსა და სითბოს.

მზე იცინის

მზე იცინის იმიერი, ამიერი...

ბრდღვიალა და მოციმციმე დარეზია...

ჭირხლი მიწის – მარმაშები – დილის სუსხის, შაშვთა სცვენას, ჩიტთა ჟივ–ჟივს შერევია.

მტრედთა ფრთხიალს, ჭრელა – ჭრულა ჩიტთა ფრიალს, კმ–კამა მზეს, კამ–კამ ჭირხლს რომ, შესდგომია... იანვარის, ახალ წლების, დილის გემოს... ახლად ფეთქვა გაზაფხულის შესდგომია.

სულში მახედებს დღე

წვიმს, მოღუშულა არე, კოკებით ასხამენ წყალს – ზეციდან, შხაფუნობს – სივრცე, სევდა ჩამომდგარა ცად, იქუხებს, გადიყრის ღრუბელს, მოიწმენდს ცრემლებსაც ცა, მზე გაეკიდება – სხივმფრქვევ, სინათლეს მოგვაფრქვევს ზღვად აჭიკჭიკდება სივრცე – ჩიტთა გალობას, მტრედს – ნაზად მოგოგმანეს ვუჭვრეტ – სულში მახედებს დღე.

ამ წუთებს

ზაფხულის მდუმარე ჰაერი, ვიგრძენი წამით და... მეახლა – თვით უფლის სუნთქვა და ციალი, იმ სივრცის სურნელიც მეამა.

ის, დიდი ტკივილი... სიმშვიდემ – შეცვალა, სალბუნად მედარა, იმ სულის სიმაღლე ვიგრძენი, ამ წუთებს თან, რომ სდევს – მარად.

„ქონა მართლისა სამართლისა...“

დომენტი სოზაშვილი

სოფლიდან ჩამავალი ჩვენი ვენახების გზა ყოველი მხრიდან მიგდებულმა წყალმა დაახევა.

ორჯობის გვერდით მცხოვრებლებს საფრთხე დაემუქრა.

და აი, ერთხელაც, რაიონის მმართველებმა, როგორც იქნა მოიღეს მოწყალება და შეადგინეს პროექტი ამ გზის დახევების შესაჩერებლად. კაცმა რომ თქვას, მერე ამას საქმეც მალე მოაყოლეს და აქ, ხევსა და ხრამში კაი ბეტონის ფილებიანი საღვარე – ღვარსაშვები გაჩნდა, სადაც ეს მქუხარე მოვარდნილი–მოდიდებული წყლის მღვრიე მასები ადვილად თვინიერდებოდნენ.

გამოხდა ხანი და ზოგ–ზოგებმა თავი მთელ ორღობეზე უფლებამოსილად იგრძნეს... და ეს, მამა–პაპათაგან აუცილებლობით დაგდებული გზა მხოლოდ საღვარედ გამოაცხადეს. მორჩა, აქ აღარ იქნება ჩავლა–ამოვლაო. თქვეს და გზა შემოღობეს.

ხალხი (ჯერ დედაკაცები), რა თქმა უნდა, მიაწყდა – რას აკეთებთ, თქვე კაი ხალხო. ჩვენ საიდანღა ვივლით, ე ჩასასვლელებს რო ღობავთო?!

რა გიყოთ, აქ ვეღარ ჩაივლითო... რატო და აღარ ჩაისვლებაო. ეგე, იმიტომ, რომ იქეთა მხარეს იგრეც ხომ არ დიდიოდით, – კლდეა! აქეთ, ჩვენსკენ კიდევ, ცოტა რაც გადავარჩინეთ ჩაშლას, იმას საღვარე უჭირავს ახლა, ჩასვლა აღარ გამოვაო.

იიმე, გვერდზე საბილიკე ჩასასვლელი რო არი დარჩენილი, ქა, – მაგით არ დავდიოდით ი დახევებულის კლდეზე? ახლა ემ ბეტონით გამაგრებულზე მითომ რა უნდა მოგვივიდესო. ეს საღვარე სულ რაღაც 30 მეტრამდე ჩადის, მერე ხომ ისევ თავისუფალი, სწორე გზა არი...

სიხარბემ და სიჯიუტემ თავისი გაიტანა, სოფელს სავენახე გზა გადაუკეტეს.

მივმართეთ სასამართლოს. სასამართლოში აგვიხსნეს, რომ გზები სახელმწიფოს გამგებლობაშია და ჩამკეტებს სახელმწიფო სცემს პასუხსო. დაბლა თუ არა წყდება საკითხი, მიმართეთ მაღლაო.

ახლა უკვე ჩვენა ვართ იმ უკვე ძველების შემდგომი თაობა ცხოვრება-ჩაბარებული. ახლა ჩვეულებრიობაა შეკრებები. მსვლელობები, პეტიციები...

ჩვენი გზის მთავარი დამკეტი დროულობით გარდაიცვალა. იმისი განათლებული, თბილისში მყოფი შვილები არაფერს ამბობენ. მაგრამ ახლა მეორე მხარის სახლი და მამული რომ იყიდა, ძველმა ვეტერინარმა, ისევ ჩვენი უბნიდან, ის გახდა უფრო მეტი წინააღმდეგი გზასთან მიახლოებისაც კი. ის ამბობდა, რომ მე ასეთი ვიყიდე იმ ცხონებული (ხო, ისიც გარდაიცვალა) კაციდან, აქ არავითარი გზა არ იყოო. რაც მთავარია, აპელირებდა საკითხის სიძველეზე – კინაღამ 40 წელი უნდა გახდეს, აქ არავის ჩაუვლია, ახლა რაებს მეუბნებით, რაღა დროს ეს გზაო!...

მე მიწას არავის არ მივცემ, ეგ არის ჩემი მიწა. ეგრე მითხრა იმან, რო მომყიდა! ჩემსას არავის დავუთმობ, სანამ ცოცხალი ვარ! აქ არავინა ვნახო ჩასული, თორემ – ბობოქრობდა მეზობელი.

ეგრეც მოხდებოდა, ვიცოდი. მაგრამ იქაც, რაიონშიც რომ ესეთი მიდი–მოდია!... დღეს ერთია, ხვალ მეორე. ახლა უკვე მუნიციპალიტეტში მივალთ, მივიტანთ ახალ განცხადებას ახალთან. ის სერიოზულად შემოგვხედავს ჩვენ და გვპირდება შემდგომში სერიოზულობას. დაწერს საქმეს ადმინისტრაციაში ვინმეს და მერე ეძებე, ურეკე ამ ახალს. ახლა ისიცაა, რომ ამათ ამ ორღობის გარდა კაი ბევრი სადარდო მისახედი აქვთ დალოდებული; სახსრები კი სულ თითებზე დათვლილი. სხვა რად გინდა, ერთთავად ბენზინის შოვნა–მონაგრებაში არიან სულ ერთ–ორ ლიტრობით. 2004–ში მივაღწიეთ და რაიონული კომისია დაგვინიშნეს ამ საქმისთვის. შევატყვეთ, რომ ვერ ჩამოდიოდნენ, იმ სიმწირეში თითო–თითო ლარი შევაგროვეთ ჩამოვლით და ჩამოვიყვანეთ – მადლობა ღმერთს! იმათ მართლა შეხედეს მდგომარეობას, გაიგეს რაც იყო, როგორ იყო და ერთი მართალი აქტი შეადგინეს. იქ ამბობენ, რომ გზა არის, შეიძლება იარონ, ოღონდ ხეები არ მოსჭრანო. – ამას დაგიდევთ, თქვე კაი ხალხო, – არ მოვჭრათ კი არა, საერთოდ არც შევხედავთ!...

მაგრამ რა გამოვიდა, ამანაც არ გასჭრა. კიდევ ერთხელ შეგვკრიბეს კიდევ ერთებმა საკრებულოდან ამ აქტით ამ სატიალო ორღობე ხევთან და ორივე მხარეს, როგორც აქტის ხელისმომწერებში შეყვანილთ, გვთხოვეს ხელის მოწერით დაგვედასტურებინა აქტის მართლზომიერება. ჩვენ მაშინ, შედგენისასვე მოვუწერეთ ხელი კომისიას სიხარულით, მაგრამ საქმეს არც ამით ეშველა.

ბილიკზე დარგული კაკლები გაიზარდნენ და ცასა სწვდებოდნენ. თავისი ფართე ტოტებით მეზობლის აკაციის ტოტებთან გადაჭდობილი აქაურობას ჩაბნელებულ–ჩაბურულ გაუვალობად აქცევდა. ხევიც მეტწილად დაიფარა ნაირ–ნაირი ეკალბარდებით და შიგა და შიგ უცნაური ხეებით, ეგაა, ზაფხულობით აქაურ სიგრილეს მიტანებული ბულბულები საამურად გალობდნენ.

ხალხი ბეჩავია ბუნებით ცხვარივით. სიმშვიდისა და სიწყნარისათვის რას არ მოითმენს. აბა, მოსათმენი იყო ყოველდღე ახალ–ახალი გზების მოძებნა ვენახში ჩასასვლელად და იქედან რამენაირად ამოსვლა?! მაგრამ იყვნენ ასე წლები. ხმას არ იღებდნენ. თუ გაცხარდა კი ცხარია, ცხვარი, მაგრამ ბოლომდე რამ გააცხაროს მეტმა და ვინ გააცხაროს!... ამათ ყველაზე შორს დამალული სიამაყე აქვთ. ჩვენ იმათი ვართ, იმ მამა–პაპის, რომლებიც აქ დასახლდნენ და იყო, როგორც უნდა ყოფილიყო და როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო – ჩვენებურ ქართულ კაცურად! ჩვენ როგორ შეგვიძლია სხვანაირად!... არაფრით!... არასოდეს!...

არ მიჭერენ ესენი ჯეროვნად მხარს, ჩუმად იყურებიან აქ ლამის ძალით მოყვანილები, ერთად კი ვდგავართ, მაგრამ ერთიანები არა ვართ ჩამკეტისთვის, ხელისუფალთათვის მკაცრად პასუხის მოთხოვნაში. მითანაგრძნობენ, მაგრამ ჩუმად, უიმედოდ, ერთი–ორი ქალი თუ ამოიკრანტებს რაღაცას და ეგ არის, თორე რა უნდოდა, გაცხარებულებს ერთი რომ ეხუვლათ, ვინ იყო ამათი წინ დამდგომი. რა ის კაცი, რა ეს კაცი. ხელისუფლებაც ყოველნაირად გაუფორმებ–მოუწესრიგებდათ.

ხო ხედავ, სხვები არაფერს ამბობენ; ეს ერთი რა გამოხვედი, რომ აღარა სჩერდები, აღარა სჩუმდები! – მეუბნებიან.

დანარჩენი ხალხი მარტო სეირის მაყურებელია.

არ იყო, არ აღმოჩნდა სერიოზულად, მაგრამ მომკითხი, მომთხოვნი ხელისუფალთაგან; მათთვის ისიც საკმარისი იყო, ხალხისთვის ეჩვენებინათ, რომ ისინი ყურადღებით ეკიდებიან, ყოველნაირად ცდილობენ, ყველაფერს აკეთებენ საქმისთვის, მაგრამ რა ქნან, ვერაფერი შეასმინეს ამ გაუგებრებს. უარს ამბობენ და რა უყონ. ამ დროში დემოკრატიის უფლებებში მათზე ძალას ხომ ვერ მიიტან!...

როგორ თუ ტყუის, მართალი არ არის, მაშინაც იმათი უარი უნდა გავიგონოთ და მორჩა, გამოვბრუნდეთ, წამოვიდეთ უკან? და მიდის ისევ ჩვენთვის უმაქნისი დროა აქ ადგილზე, იქ მუნიციპალიტეტში.

ისევ სასამართლო თუ გადაგიწყვეტავთო, გვირჩევენ. მაგრამ მე ახლა პრესისკენ წავედი

„კვირის პალიტრამ“ ჩვენს მუნიციპალიტეტში დარეკა. იქიდან უპასუხეს, რომ არა წყდება ეგ საქმე, სანამ საჯარო რეესტრში არ დაზუსტდება ერთ–ერთი იმათგანის ამ ხევთან ადგილის ზომებიო. ეგენი ხომ ვიცი ამ უსასრულობას ეგრე ეძახიან–მეთქი და მწერალთა კავშირში წავედი.

აქ საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ბატონმა რევაზ მიშველაძემ მიგვიღო. იმან ჩვენთვის მოცლით, სრული ყურადღებით მოგვისმინა. გამომართვა და ბოლომდე წაიკითხა ჩემი რამდენიმეგვერდიანი დაწერილი ამ საქმისთვის. მერე შემომხედა ნაღვლიანად და წერილი დაიტოვა. მე არ მიფიქრია წერილის დაბეჭდვა ამათ სოლიდურ გაზეთში, სადაც გამორჩეული, მაღალი ლიტერატურული მასალების ტევა არ არის; მაგრამ ქართული მწერლობა თურმე ერის მოჭირვარამეა – თუ აუცილებლობაა – საქმით!... ორი კვირის თავზე გამოსულ „მწერლის გაზეთში“, ჩვენდა დიდად გასაოცრად, თვით რევაზ მიშველაძის დიდებული ნოველის (მსოფლიო მეცნიერის, ნობელიანტი ჰანს ბლერის სსრკ–ის დროის თბილისში ჩამოსვლის ამბავს რომ ეძღვნებოდა) ქვემოთ ჩემი სოფლის ჩემი უბნის ამ სახათაბალო ხევი – ორღობის უთავჟამო პრობლემაზე, რომლის გადაწყვეტა სოფელს არ უნდა გასცილებოდა – ეს ჩემი წერილი არ იყო დაბეჭდილი?! სათაურით – „რა გზას დავადგეთ?!“

ეგრე, „ერის წყლულად“ ეცნო ამ პატარა სოფლის უხეირო ამბის დიდი განუკითხველობა სახალხო მწერალს. საერთოდ, მათი ყოფნისადმი განურჩევლობა. დაინახა მათთან სინამდვილეში უსულგულო დამოკიდებულება ყველასგან, ვისაც ისინი ამ ამბავში ხვდებიან. როცა კიდევ ყველასგან თანაგრძნობასა და გულისხმიერებას ელოდებოდნენ, როგორც ჩვენი ერთობის, როგორც გინდა მიკარგული, ოღონდ აუცილებელი ნაწილი. აუცილებელი კიდევ იმიტომ, რომ არიან, ჩვენობაა. დაეწვა ამისთვის გული ბატონ რევაზს და შეიმართა საშველად.

მე ის გაზეთი ჩვენს მუნიციპალიტეტში ჩავიტანე. მათი სოფლის ამბავს სიმაღლიდან საქვეყნოდ, თბილისიდან აშუქებდნენ. აქ ახლიდან მიგვამართინეს ჩვენ უბნელებს განცხადებით. ახალ კაცს დააწერა ის გამგებელმა – პირად კონტროლზე აყვანით! მერე ისევ შეიცვალნენ, ისევ ახლები, ისევ ახლიდან... მაგრამ აღარ ვეშვებით. ყველასაც იმავეს მოვთხოვთ. ბატონმა რევაზმა კვლავ მოიკითხა ეს საქმე „მწერლის გაზეთში“ ისევ გამოჩნდა საგანგებო სვეტით, სვეტში სათაურამდე ჰქონდა დატანებული კითხვა – „როდემდე კატილინა, როდემდე?“ მერე წაიკითხავდით ჩვენი ამბისთვის გასაღებად მორგებულ რეზიუმე–კითხვას: „ნუთუ არ შეიძლება უსამართლო „ბრმა თავგამოდებისათვის“ ლაგამის ამოდება?“

და როგორც იქნა! – მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური ჯეროვნად გაერკვა მდგომარეობაში და 2004 წლის აქტის მოშველიებით გამგებელმა ახლიდან გამოსცა ბრძანება ამ ორღობის გახსნის თაობაზე. მერე პოლიციის აქაურმა რწმუნებულმა ორკვირიანი (უფრო მეტი) პროცედურების შემდეგ ყველა ჩამოაშორა–ჩამოხსნა ამ გზიდან და ჩვენ გადმოგვცა გასაკეთებელ–სასიარულოდ.

ადგილი იმისი ვერ გახდება, ვინც ძალით მიითვისა, გზა იმისია, ვისიც ის სამშობლოა. იმით რომ ყოფილან და იმით რომ არიან, მიუხედავად ყველაფრისა... ვერასოდეს დააოკებ მოკვეთილების ლტოლვას ბუნებრივ სამყოფელში!... ბუნებრივი, თავისი ყოფნისთვის!...

და ამდენი ხნის შემდეგ პირველად ჩავიარეთ. ჩვენ გზას ჩვენს ვენახში მივყავართ... ის იმიტომ არის ყველა გამოძებნილებზე კარგი, ნამდვილი, რომ უმოკლესი უსაყვედუროა, ყველასია და არავისია. როდიდანაც ეს ორღობე გახსოვს, ისეთში მიაბიჯებ, მაშინდელა ღუქმელ მშობლიურობაში, შორი პატარა ბიჭობის სიცოცხლით... გმადლობთ!

უახლოდ მსხბოლავ დღეთა ქრონიკა

(20 წელი გურამ ფანჯიკიძის გარდაცვალებიდან)

თეიმურაზ ფანჯიკიძე

„ყოველი ადამიანი ვალდებულია თავის ხალხს, თავის ქვეყანას გაუკეთოს ის, რისი გაკეთებაც მას შეუძლია.„

გურამ ფანჯიკიძე „თვალი პატიოსანი„

მიმდინარე წლის 27 აგვისტოს 20 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან წავიდა ქართველ მწერალთა თავკაცი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, თვალსაჩინო მოღვაწე, დავით აღმაშენებლის საზოგადოების თავმჯდომარე, პატრიოტი და ჭეშმარიტად გამორჩეული პიროვნება, მრავალი ჯილდოს, ორდენის და პრემიის (მათ შორის რუსთაველის) მფლობელი გურამ ფანჯიკიძე.

1997 წლის 27 აგვისტოს, იმ ავადსახსენებელ დღეს, ქობულეთში, დასასვენებლად ჩასულს და ზღვაში გასაგრილებლად შესულს, გულმა უღალატა, შესანიშნავმა მოცურავემ, ზღვაზე უზომოდ შეყვარებულმა, ზღვას ჩააბარა თავისი სიცოცხლეც, ვნებაც და სურვილებიც.

„შენ მხოლოდ ზღვა თუ მოგერეოდაო“, დაწერა მის სიკვდილზე ერთმა მისმა თაყვანისმცემელმა. „ასეთი ადამიანები ლოგინში არ კვდებიანო“ _ თქვა მეორემ (ე. შევარდნაძე), „გურამმა თავისი ბობოქარი სული ზღვას გადასცა, როგორც მარადისობასო“ (ჯ. ჯაყელი) შენიშნა მესამემ. „მებრძოლი და შემართებული კაცი იყავი და ზღვის სტიქიასთან შებმისას გიწია სიკვდილმა“ (ე. მაღრაძე), დაამატა მეოთხემ.

„შენი სამშობლოს ზღვის, ცისა და მთების ალერსში გარდაიცვალე. კი არ მოკვდი, გარდაიცვალე“ – „გამორჩეული და სახელოვანი კაცი იყო გურამ ფანჯიკიძე და უფალმა თავისთან წაიყვანაო“ _ ბრძანა შენს პარაკლისზე უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ“ (ა. ბურჯანაძე 197) _ შეაჯამა მეხუთემ.

სხვაც ბევრი ითქვა ამ უეცარი, ყველასათვის სრულიად მოულოდნელი სიკვდილის შესახებ.

ყველა გაოგნებული იყო, უჭირდათ იმის დაჯერება, რომ ამქვეყნად უკვე აღარ იყო ასეთი ძლიერი და ენერგიული კაცი, რომელიც ყველას იმედს უსახავდა, ყველას დამხმარედ და მშველელად მოიაზრებოდა, თვითონ კი სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ასხივებდა.

„ვინ წარმოიდგენდა, _ წერდა პოეტი და მეცნიერი ემზარ კვიტაიშვილი, _ რომ ამ ვულკანის ლავასავით აბობოქრებული და დაუდეგარი, ამოუწურავი ძალ-ღონის კაცის _ ცხოვრებას ასე მოულოდნელად დაესმებოდა წერტილი“.

ბევრის აზრით, გურამ ფანჯიკიძე მართლაც გამორჩეული ადამიანი იყო, იგი არავის ჰგავდა და მისი პიროვნება გულგრილს და ნეიტრალურს არავის ტოვებდა. იგი ან ძალიან უყვარდათ ან არ უყვარდათ. ამაზე ყველა თანხმდებოდა, მისი მტრებიც და მოყვარეებიც: „მისი ეშინოდათ, ეკრძალვოდათ, უყვარდათ, _ დაწერს შემდეგ მეცნიერი და კრიტიკოსი გურამ ბენაშვილი, _ ის იყო საქართველოსთვის აგრერიგად მნიშვნელოვანი მწერალი. იმედის განსახიერება და ამითაც იყო განსაკუთრებულად ძვირფასი მრავალთ და მრავალთათვის...

ზოგიერთ „ერისკაცობას“ ცნების უარმყოფელთა გასაგონად მინდა განვაცხადო, - აგრძელებდა გ. ბენაშვილი, _ რომ გვინდა თუ არ გვინდა, ბუნება მაინც შობს ხოლმე ჩვენში, დრო და დრო, გონებითა და სულით, ზნეობითა და შემოქმედის ნიჭით ყველაზე ზეაღმატებულ პიროვნებას... ასეთი პიროვნება უფრო ხშირად დიდი ეროვნული მწერალიც იყო, რადგან სხვა პროფესიის ადამიანთაგან განსხვავებით, სწორედ მის არსებაში იყრიდა თავს ერის სულიერი მასწავლებლის საკრალური ნიშან-თვისებანი... 147).

მაინც რა იყო, რაში მდგომარეობდა გურამ ფანჯიკიძის ფენომენი, რით გამოირჩეოდა იგი სხვათაგან, რა პიროვნული ხიბლი ჰქონდა მას ისეთი, რაც ესოდენ პოპულარულს ხდიდა ხალხში, რით იზიდავდა ის ადამიანებს? თავისი მოღვაწეობის წლების მანძილზე იგი იდგა საზოგადოებრივი მოვლენების ეპიცენტრში და მისკენ ბევრი ადამიანი ილტვოდა.

მე თუ მკითხავთ, ამ აღიარების და პოპულარობის მიზეზი იმაში იყო, რომ მასში ჰარმონიულად იყო შერწყმული და ერთმანეთს უტოლდებოდა მწერლური ნიჭი და პიროვნული ლიდერის თვისებები. ლიტერატურის ისტორიამ იცის უამრავი შემთხვევა, როდესაც მეტად საინტერესო მწერალს უღიმღამო ბიოგრაფია ჰქონდა. ცხადია, ამის საპირისპირო მაგალითებიც არის, როდესაც გამორჩეული თვისებებით დაჯილდოვებულ ადამიანს ნაკლები მწერლური ნიჭი აქვს.

ამასთან დაკავშირებით ასეთი საყოველთაო აზრიც არსებობს, რომ ე.წ. „ნორმალურები“ მხოლოდ საშუალო ნიჭის მწერლები არიან, ხოლო დიდი მწერლები ყოველთვის რაღაც „უცნაურობებით“ გამოირჩევიანო.

საბედნიეროდ, გურამ ფანჯიკიძეში ეს ორი მნიშვნელოვანი ნიჭი თანაბრად, ჰარმონიულად იყო შერწყმული და შესანიშნავ ნაზავს ქმნიდა. ამასთან იგი ღია, გახსნილი და გულწრფელი პიროვნება იყო, რაც შეიმჩნეოდა როგორც მის საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და ადამიანურ ურთიერთობებში, ისე მთელს მის შემოქმედებაში.

მის შესახებ, მისი პიროვნული თუ მწერლური თვისებების შესახებ ბევრი დაწერილა, ბევრს უცდია მისი, როგორც შემოქმედის და მოღვაწის შეფასება, ისინი სხვადასხვა კუთხით უდგებოდნენ მის ფენომენს, მაგრამ ყველა თანმხდებოდა იმაზე, რომ გურამ ფანჯიკიძის სახით, გამორჩეულ პიროვნებასა და მწერალთან ჰქონდათ საქმე, რომელიც მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოვებული. ზოგს მისი პროზა მოსწონდა, ზოგს თვითონ პიროვნება, ზოგს პუბლიცისტიკა.

ცხადია, მას მტრები და მოშურნეებიც არ აკლდა...

განსაკუთრებით ბევრი დაიწერა მასზე გარდაცვალების შემდეგ, რაც ისე მოულოდნელი იყო, რომ ბევრ ადამიანში ეჭვიც გაჩნდა, ეს მეტად აქტიური ადამიანი თავიდან ხომ არ მოიცილეს, ხომ არ მოწამლესო...

„იგი, _ წერდა ცნობილი ჟურნალისტი არჩილ გოგელია, _ ძლიერი, გაუბზარავი, მხნე მწერალი და პიროვნება იყო. მან კარგად იცოდა თავისი ფასი _ არც ყალბად თავმდაბლობდა, არც გადაჭარბებით აფასებდა საკუთარ სამწერლო და პიროვნულ თვისებებს.

ჩემი აზრით, ამ თვისებათა სინთეზით იგი აღემატებოდა თანამედროვეებს, ყოველ შემთხვევაში უდიდეს ნაწილს მაინცო“.

არჩილ გოგელია, გურამის დასახასიათებლად, იშველიებდა ცნობილი ინგლისელი მწერლის სომერსეტ მოემის გამონათქვამს და ამბობდა, რომ „გურამი იყო ისეთი მწერალი, „რომელიც სჭირდებოდა ქვეყანას, დროსა და მკითხველს“ (11).

ასევე აფასებდა გურამს საკუთარი მეუღლე, თვითონაც შესანიშნავი მთარგმნელი და მეცნიერი დალი კოკაია-ფანჯიკიძე: „გურამი სჭირდებოდა თავის ქვეყანას, როგორც დიდი ჭირისუფალი, მუდამ სამშობლოს ბედზე მოფიქრალი, ჰქონდა ანალიტიკური გონება, მოვლენებს ხედავდა მასშტაბურად, სხვა მოვლენებთან კავშირში, ჭვრეტდა მომავალს. გამძაფრებული ჰქონდა თანამედროვეობის შეგრძნება, მისი ყოველი ნამოღვაწარი ეპოქის მაჯისცემას ეხმაურებოდა“ (8).

ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ იგი თითქმის შუეცვლელი ადამიანი იყო.

აკი დაწერა კიდეც პოეტმა ოთარ ჭელიძემ, მისი დაღუპვის მეორე დღეს ლექსი, სადაც არის ასეთი სტრიქონები:

„ძმები ერთურთ ვეცლებით,
სანამ საწუთროდან წავალთ,
რადგან შენი შემცვლელი,
ჯერ არ გვეგულება წამლად“ (224-225).

ძალიან ბევრი თქმულა და დაწერლა მის ადამიანურ თვისებებზე: „საოცრად კეთილი ზნისა და ბუნებისა გახლდათო _ წერდა ელგუჯა მაღრაძე, _ ალბათ, გამოვლილი ცხოვრებით გადატანილმა გასაჭირმა უბიძგა ძალუმად სიკეთისაკენ და ეს განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა ითქვას, იგი ნიადაგ სხვაზე მზრუნველი, სხვათა საქმეებზე მოფიქრალი, თანამდგომი იყო. ადამიანთა დახმარებას გურამ ფანჯიკიძე თავის პირდაპირ მოვალეობად თვლიდა, ადამიანი გურამს, ძირს დაცემულ ღმერთად მიაჩნდა და სულ იმის ცდაში იყო, ფეხზე წამოეყენებინა და კვლავ ძველი სამყოფელის _ ზეცისთვის დაებრუნებინა.

ბატონი ელგუჯა, თავის ვრცელ წერილში, ასევე მიუთითებდა მის რაინდულ ბუნებასა და თავაზიანობაზე, მორიდებასა და მოკრძალებაზე, რომელიც გურამ ფანჯიკიძეს სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი. გულწრფელობაზე, ხვანჯების გარეშე ცხოვრების მიმდევრობაზე, უწყინარობაზე, უნარზე ჩუმად ეკეთებინა თავისი საქმე, ყოფილიყო გამრჯე, კეთილი და მშრომელი, ეკეთებინა კეთილი საქმე, ხოლო ბოროტებას, რომელიც სულს უშფოთებდა აქტიურად ებრძოდა კალმით და სიტყვით. ბატონი ელგუჯა იმასაც ხაზს უსვამდა, რომ გურამ ფანჯიკიძე თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ერთგული ჯარისკაცივით იდგა, სუფთა ხელებითა და სინდისით აღსავსე იხდიდა ხალხის წინაშე იმ ვალს, რაც მას, როგორც შემოქმედს და ადამიანს ეკისრა.

„მას მტკიცედ სწამდა, - ასკვნიდა ელგუჯა მაღრაძე, - რომ ადამიანის გონების ძალა, ადამიანის გონების ნათელი, სუფთა სინდისი და სიკეთე გაიმარჯვებდა და სძლევდა უგულო ეგოიზმს, რაც ასე სახადივით მოედო ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას“ (213).

სადაც არ უნდა ემუშავა გურამ ფანჯიკიძეს, გაზეთის რედაქტორიად, ჟურნალ „ცისკარის“ თუ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „განთიადის“ თუ „ცისკრის“ რედაქტორად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორად თუ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, ყველგან იგი მთელ თავის ძალასა და ენერგიას დებდა „ის იყო ჭეშმარიტი ორგანიზატორი, ფლობდა ადამიანებთან ურთიერთობის მეცნიერებას“ (ზაურ კალანდია, 184). მას მართლაც ყოველთვის გამოარჩევდა ის მაღალი პასუხისმგებლობა, რომელიც მინდობილი საქმისადმი ჰქონდა და საქმის ხარისხიანად გაკეთებაც შეეძლო.

ყოველივე ეს, სხვა დიდ საზოგადოებრივ დატვირთვასთან (იგი იყო დავით აღმაშენებლის საზოგადოების თავმჯდომარე, ათასგვარი კომისიების წევრი, მოთხოვნადი აქტორი, მოღვაწე, ჟურნალისტი, რესპონდენტი, მრავალი ადამიანის განმკითხავი და დამხმარე) თუ ამას დავუმატებთ მის აქტიურ შემოქმედებით მწერლურ საქმიანობას, საკმაოდ მძიმე ჩამონათვალი გამოგვივა.

გარდა ამისა, მას მოსავლელი დიდი ოჯახიც ჰყავდა: მშობლები, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. ყველა, ვინც კი მას იცნობდა, აღნიშნავდა თუ როგორი მზრუნველი შვილი, მამა, მეუღლე, ბაბუა

და ძმა იყო. „ოჯახი, _ წერდა რეზო ჭეიშვილი, _ იყო მისი საფიცარი, სალოცავი, მისი ციხე-სიმაგრე. ამ მხრივ სამაგალითო კაცი გახლდათ“ (224).

მიუხედავად ასეთი დიდი დატვირთვისა, ის მაინც ახერხებდა დასწრებოდა ათასგვარ კულტურულ ღონისძიებებს, ხშირად ემოგზაურა, ექეიფა მეგობრებთან, დასწრებოდა სპორტულ ღონისძიებებს, შაბათ-კვირას მონაწილეობა მიეღო ნარიყალაზე წმინდა ნიკოლოზის ტაძრის აღდგენა-რესტავრაციაში...

ცხოვრების ასეთი გიჟური რიტმი დიდ ძალას და უზარმაზარი ენერგიის ხარჯვას მოითხოვდა. იგი, რომ იტყვიან, ორივე მხრიდან წვავდა თავისი სიცოცხლის სანთელს.

დარწმუნებული ვარ, რომ მისი ამქვეყნიდან უდროოდ წასვლა სწორედ ამ გადაღლამ, ცხოვრების ასეთმა რიტმმა გამოიწვია. განსაკუთრებით ბოლო ხუთმა წელიწადმა, როცა მან იმდროისთვის უმძიმესი ტვირთი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა იდო თავს...

თავის დროზე, მე ვიყავი იმ არჩევნებზე, რომელიც ჭადრაკის სასახლეში გაიმართა და მოწმე გავხდი მწერალთა ერთი ჯგუფის, რომელიც წინა ხელისუფლებას ერთგულობდა, მცდელობისა ჩაეშალა ეს არჩევნები. მათ თავისი ლიდერის მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარის მუხრან მაჭავარიანის მეთაურობით სცადეს ბოიკოტი გამოეცხადებინათ არჩევნებისთვის და მწერლებს მოუწოდეს დაეტოვებინათ ყრილობა...

ზოგმა ამ მოწოდების საპასუხოდ, მართლაც დატოვა არჩევნები, მაგრამ ისინი ბევრნი არ იყვნენ. მწერალთა უდიდესი ნაწილი იმედგაცრუებული წინა ხელმძღვანელობის საქმიანობისაგან, გურამ ფანჯიკიძეს უკავშირებდა თავის გადარჩენის იმედს, რადგანაც სჯეროდათ მისი, იცოდნენ მისი პიროვნება, ხასიათი, შრომისმოყვარეობა, უანგარობა და საქმისადმი ერთგულება, ამიტომაც დარბაზში დარჩენილმა დიდმა უმრავლესობამ ერთხმად აირჩია იგი ახალ თავმჯდომარედ.

უფრო გვიან, ამ პროცესს კარგად ახასიათებდა მურმან ლებანიძე, რომელიც გურამისადმი მიძღვნილ წერილში 1993 წელს წერდა: „...საქართველოს მწერალთა კავშირს ავად ახსოვს თავის თავზე უზომოდ შეყვარებული, საკუთარ პიროვნებაზე მზრუნველი თავმჯდომარეები...

შენ შეგბრალდა უსამართლოდ შეჭირვებული ჩვენი მწერლობა, მსახურად და პატრონად დაუდექი მას, ქვა გაწურე და ცდილობ სახსარი უშოვნო, ფეხზე დააყენო მწერალი და მისი გამომცემლობა, მისი ჟურნალი და გაზეთი“... (166).

ბატონი მურმანი განცვიფრებას გამოთქვამდა იმ ზღვა ენერგიისა, დაუცხრომელი საქმიანობის გამო, რასაც გ. ფანჯიკიძე ეწეოდა მწერალთა კავშირში, რის გამოც, მისი თქმით: „ოპონენტებსაც კი სიტყვა პირზე აშრებათ“ (166).

მე რამდენჯერმე ვარ ნამყოფი გურამ ფანჯიკიძის კაბინეტში, რომელიც მუდამ სავსე იყო მთხოვნელებით, ზომაზე მეტად გაჭირვებული ხალხით, მართლაც უმძიმესი პერიოდი იდგა, გაჭირვება და უიმედობა პიკს აღწევდა. მწერალთა კავშირში გაერთიანებული 500 წევრი (და არა მარტო ისინი), მისგან გამუდმებით ითხოვდნენ ყურადღებას, თანადგომას ჭირსა თუ ლხინში. უჰონორაროდ, უხელფასოდ, უწამლოდ, უსაკვებოდ, სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩენილი მწერლები მისგანღა ელოდნენ შველას, ის იყო ხშირად მათი ბოლო იმედი.

ასე გრძელდებოდა თითქმის ყოველ სამუშაო დღეს. ზოგს წიგნი ჰქონდა გამოსაცემი, ზოგს ვილაც გარდაცვლოდა, ზოგს ახლობელი ჰყავდა საოპერაციო, ზოგს ჭირის სუფრა ჰქონდა გასამართი, ზოგს სახლი ენგრეოდა თავზე, ზოგს სულაც არ ჰქონდა საკუთარი ჭერი, ზოგს თვითონ ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები...

მოკლედ..,

მისი კაბინეტიდან, სადაც ყველა დაუბრკოლებლად შედიოდა, მუდამ გაოგნებული გამოვდიოდი, მიკვირდა, თუ როგორ ახერხებდა ამ ჯოჯოხეთში მუშაობას, ან სახლში, ასეთი სტრესებით დაბრუნებული, როგორც წერდა. ეს ნამდვილი კოშმარი იყო. ამდენი შეჭირვებული ადამიანის თხოვნის მოსმენასაც კი შეუძლია ნორმალური ადამიანის კალაპოტიდან ამოგდება, ენერგიისგან დაცლა. მაგრამ, მარტო ამ ჩივილების მოსმენა როდი იყო საკმარისი. მთავარი იყო მასზე რეაგირება, დახმარება, ქმედითი ზომების მიღება, რაზეც გურამი უარს არავის ეუბნებოდა, თუკი რამე ოდნავ მაინც შეეძლო.

„...არ მახსოვს, _ წერდა რეზო ჭეიშვილი, _ მთხოვნელისათვის, განსაკუთრებით შემოქმედისათვის, უფრო განსაკუთრებით ნიჭიერი და გაჭირვებული მწერლისთვის გურამს რაიმეზე უარი ეთქვას. ტელეფონის ყურმილი ჰქონდა მომაარჯვებული მუდამ და თუკი, თუნდაც წამით შეყოყმანდებოდა უნდა მიმხვდარიყავი, რომ შეუძლებელს თხოვდნენ, ან რაღაცაში იყო საქმე“ (223-224).

მის ასეთ გარჯას და ძალისხმევას ხედავდნენ და სათანადოდ აფასებდნენ სხვა საზოგადოებების მესვეურეობიც. „მან, _ წერდა მისი კოლეგა, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, _ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სავარძელში განცხრომით ჯდომისაგან ძილი კი არ მოირია, ციბრუტივით დატრიალდა, რათა დღევანდელი მძიმე ყოფა რამენაირად შეუმსუბუქოს მწერლობას. გურამი საკუთარი პოპულარობით ტკბობას კი არ მიეცა; ამ პოპულარობას იმისათვის იყენებს, რომ მწერლებს არგოს რამე“... (168).

როგორც უკვე ვთქვი, გურამ ფანჯიკიძის ფენომენი, პიროვნება, მის მიერ ქართულ ცხოვრებაში მოტანილი სიახლე და ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რადგან ყველას თვალწინ სდებოდა და მისი შეუმჩნევლობა, როგორც ამბობდნენ, წარმოუდგენელი იყო. სამართლიანი და დამნახავი ადამიანი დაინახავდა. თუმცა ამის არდამნახველებიც საკმაოდ იყვნენ. უბრალოდ მოშურნე, ჩასაფრებული ადამიანები, კაცთა მოდგმაში სამწუხაროდ რომ არსებობენ, რომლებიც ამ გაჭირვების ჟამს დაუღლელად გაიძახოდნენ: დავშალოთ მწერალთა კავშირი, რად გვინდა ეს კომუნისტური წარსულის გადმონაშთიო. ამ პატარა ქვეყანაში 500 მწერალი ვის გაუგონიაო... სხვაგვარად ჩასაფრებულებიც იყვნენ... შეუნდოთ უფალმა!..

ასეთი გათიშულობა, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. მწერალთა სხვადასხვა ჯგუფები დღესაც ერთმანეთის ლანძღვასა და გინებაში არიან ჩართული, ერთმანეთს ადანაშაულებენ. ამიტომაც არის, რომ მწერლებს დღესაც ვერ დაუბრუნებიათ მათთვის თავის დროზე საჩუქრად გადაცემული სასახლე...

გურამ ფანჯიკიძეზე დაწერილი წერილებიდან მე გამოვყოფდი საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სამძიმარ-წერილს. ბატონ ედუარდს ჩვენი საზოგადოება არაერთგვაროვნად აფასებს, განსხვავებულად ახასიათებს მის ცხოვრებას და მოღვაწეობას. მას მაქებარნიც ჰყავს და მაგინებელნიც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ადამიანი 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე ახდენდა გავლენას ქართულ სინამდვილეზე სხვადასხვა რანგში და რომ მან დიდი გავლენა მოახდინა ქართულ სულიერებაზე. ბატონი ედუარდი ცდილობდა ემეგობრა, ხელი შეეწყო ხელოვანი ხალხისათვის და მის დროს, თვით კომუნისტების მმართველობის დროსაც კი ბევრი გამონათება იყო. ბევრ უარყოფით მომენტთან ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მან ქურდებისა და ნარკომანებისაგან იხსნა საქართველო და როგორღაც, მთლად სანიმუშო არა, მაგრამ მაინც სახელმწიფოს დაამსგავსა. ის მართლაც იყო მესამე ქართველი, რომელსაც მსოფლიო იცნობდა და პატივს სცემდა.

მიუხედავად იმისა, რომ გურამს მისი მმართველობა გაკრიტიკებული ჰქონდა, მან მაინც მოახერხა, ჩემი აზრით, სწორი შეფასება მიეცა უდროოდ გარდაცვლილი მწერლისათვის, რომელსაც თავის თანამებრძოლად მოიხსენიებდა და უღალატო კაცს უწოდებდა.

„ახალი საქართველოს მშენებლობაში, _ წერდა ე. შევარდნაძე, _ ხომ მას, როგორც მწერალს, როგორც პუბლიცისტს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, და ბოლოს, როგორც ჯარისკაცს, უშურველად შეჰქონდა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში, მან, ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა მოძალებული უკანონობისა და კორუფციის წინააღმდეგ.

ერთეულებს თუ შეეძლოთ მაშინ სიმართლის თქმა და ბრძოლა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვიყოთ მართალნი

მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინი კრემლიდან არ გამოსულაო, ერთი მეზღვაპრე წერს.

„1941-1942 წლებში უმაღლესი მთავარსარდალი იმყოფებოდა მოჟაისკის, ზვენიგოროდსკის, სოლნეჩნოგორსკის თავდაცვითი ბრძოლების მიჯნაზე, იყო ვოლოკალამსკის მიმართულებით არსებულ ჰოსპიტალში, აგრეთვე მე-16 არმიაში, სადაც გულისყურით დაათვალიერა სარაკეტო დანადგარების (БМ -13 „კატიუშა“) გამართვის სამუშაოები. მოსკოვის დაცვის გადამწყვეტ ეტაპზე, 316-ე დივიზიის შტაბში შეხვდა და ესაუბრა ი.ვ. პანფილოვს. 1942 წელს სტალინი გაემგზავრა მდინარე ლამას სანაპიროს შორიახლოს გამართულ აეროდრომზე, სადაც დაესწრო ახალი ბომბდამშენის გამოცდას. 1943 წლის 2 და 3 აგვისტოს იმყოფებოდა დასავლეთის ფრონტის პოზიციებზე, ხოლო 4 და 5 აგვისტოს კალინინის ფრონტზე. 5 აგვისტოსვე იგი გავიდა მოწინავე საბრძოლო პოზიციებზე სოფელ ხოროშევოსთან (რჟევის რაიონი, ტვერის ოლქი). სტალინის პირადი დაცვის თანამშრომელი ა.ტ. რიბინი წერს: „მთავარსარდლის პირადი დაცვის დაკვირვებით, ომის წლებში სტალინი იქცეოდა თავზეხელაღებულად. პოლიტბიუროს წევრები და დაცვის უფროსი ნ. ვლასიკი ფიზიკური ძალის გამოყენებით ცდილობდნენ თავშესაფრისკენ წაეყვანათ იგი, რათა აეცილებინათ მისთვის ჰაერში მფრინავი ჭურვის ნატეხები“.

ბერლინის კედელი ნიკიტა ხრუშჩოვის ნახელავია, რომელმაც 1964 წელს ერთ ღამეში ააგებინა სამხედროებს ეს ავადსახსენებელი ბერლინის კედელი და ამით სათავე დაუდო საერთაშორისო ტერორიზმს მთელს მსოფლიოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის გონივრული მოქმედება, ვინ იცის მაშინ საქართველოში ვის ჩამოასახლებდნენ.

ლავრენტი ბერია და მისი „მეგობრები“

ბირობიჯანი არ იყო სტალინის უდროო სიკვდილის მიზეზი. იგი სამუდამოდ გაანთავისუფლეს თანამდებობიდან „წმინდა მიწის“ გაყოფისათვის, ისრაელის სახელმწიფოს შექმნისათვის. (იხ. ი. პაპიაშვილი, „გაგრა“, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 2013, გვ.340).

ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის („дело ЕАК“) და ექიმების საქმის („дело врачей“) ჩარჩოებში, პოლიტბიუროში ზედმიწევნით ფარულად ამუშავებდნენ კიდევ ერთ ე.წ. „მეგრელთა საქმეს“ („мингрельское дело“).

„მეგრელთა საქმე“ პოლიტბიუროში გაუშვეს როგორც ჭორი („утка“) იმასთან დაკავშირებით რომ საქართველოს ცკკპ (ბ) მეორე მდივანმა ბარამიამ ქ. ზუგდიდში მეგრულ ენაზე გამოსცა მარქსის და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

ჩემთვის გაუგებარია, როგორ გაება ასეთ მარტივ, დოყლაპიურ ხაფანგში ისეთი დიდი პიროვნება, როგორიც იყო ლავრენტი ბერია. აქ მივანიშნებ რომ სტალინის ჯანმრთელობა მაშინ ძალიან იყო შერყეული, ხოლო გონებრივი შესაძლებლობები დაქვეითებული.

ამ საკითხზე გამოქვეყნებული დოკუმენტური წყაროების თანახმად, არავითარ ანტისაბჭოთა განწყობილებას სამეგრელოში იმ ხანებში ადგილი არ ჰქონდა.

1951 წელს სტალინი ისვენებდა ჯერ სოჩაში, ხოლო შემდეგ წყალტუბოში. მალენკოვმა და ხრუშჩოვმა დრო იხელთეს და მათი ბრძანებით იგნატიევმა თბილისში გადააფრინა 60 (სამოცი) გამომძიებელი სუკ (КГБ)-დან „ანონიმურ წერილებში მოყვანილი ფაქტების“ შესამოწმებლად.

სტალინი საგამომძიებლო საქმეში არ ჩარეულა. კანდიდ ჩარკვიანის აკაკი მგელაძით ჩანაცვლება, ალბათ მან ქართველი კომუნისტების წახმარების მიზნით მოიმოქმედა. ეს იყო და ეს. ამ არარსებული საქმის გამოძიება მიმდინარეობდა თითქმის წელიწადზე მეტი. დააპატიმრეს 500 ადამიანი, საქართველოს პარტიული იერარქიის თითქმის ყველა თანამშრომელი.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, თითქმის ყველა 500 ქართველი პარტიული მოღვაწე სტალინის სიცოცხლეში არ გაუსამართლებიათ, იგნატიევი თანამდებობიდან მოხსნეს ლავრენტი ბერიას ბრძანებით.

საკვირველია, მსოფლიოს მასშტაბით ყველა დროის დიდი მზვერავი, ატომური ბომბის შემქმნელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რამაც რუსეთი მიწის პირისაგან აღგვას გადაარჩინა, როგორ ვერ ჩაწვდა თავისი რუსი „მეგობრების“ (პოლიტბიუროდან) მზაკვრულ ჩანაფიქრს.

1953 წლის 17 ივნისს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აჯანყება დაიწყო. მალენკოვმა და ხრუშჩოვმა ხელები გაასავსავეს და თქვეს, რომ ამ არეულობას ლავრენტი პავლოვიჩის გარდა ვერავინ მოაგვარებსო. ალბათ იმ დღეს, როდესაც ბერიას თვითმფრინავმა კურსი ბერლინისაკენ აიღო, ხრუშჩოვი და მალენკოვი სიხარულისაგან მეშვიდე ცაზე აფრინდნენ.

ბერია ბერლინში იმყოფებოდა 1953 წლის 20-დან 26 ივნისამდე ამბობენ, რომ ვიდრე მისი თვითმფრინავი ბერლინიდან კურსს მოსკოვისკენ აიღებდა, მისმა მოადგილემ ბოგდან ქობულოვმა მას შეატყობინა, მოსკოვში ხიფათი გელოდებაო, მაგრამ მან ეს არ დაიჯერა. როგორც ჩანს, ის დახვრიტეს ან ერთ-ერთი ვერსიით თვითონ დაიხალა ტყვია საფეთქელში, თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე. ეს მოხდა სტალინის დასაფლავებიდან ოთხიოდე თვეში.

ალბათ ვიდრე ტყვიას საფეთქელში დაიხლიდა, ლავრენტი ბერიას გონებაში გაუელვა, თუ ვინ იყო სტალინი.

ასე დასრულდა ამ ორი დიდი ქართველის, ახალი რუსეთის შემქმნელების, დიდი ეპოპეა.

ლავრენტი ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ, ყველა ვინც „მეგრელთა საქმეში“ ფიგურირებდა, ხელახლა დაიჭირეს; ბევრი გააციმბირეს, ბევრი დახვრიტეს, მათ შორის რუხაძე და ბარამია, როგორც „ბერიას ბანდის“ წევრები.

მე, მსიამოვნებს იმის გახსენება, რომ მ. ს. გორბაჩოვი აღმოჩნდა საიმედო პარტნიორი; ე. ა. შევარდნაძეს სიცოცხლის ბოლომდე გორბაჩოვი თავის მეგობრად თვლიდა და ახლაც ამ აზრზეა. თუმცა, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მათ მიერ ხორცშესხმული იდეა, დასავლეთ და აღმოსავლეთი გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით, იოსებ სტალინსა და ლავრენტი ბერიას ეკუთვნის.

სხვათა შორის, პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება დედამიწის ირგვლივ, ხრუშჩოვის კი არა, სტალინის და ბერიას დამსახურებაა. ხრუშჩოვი, როგორც ცნობილია, სენსაციების მოყვარული იყო და ეს ტექნიკური პროგრესი, ადგა და მიითვისა, ან და ვინ დაუშლიდა ქვეყნის ერთპიროვნული ბატონ-პატრონი იყო, რაც უნდოდა იმას აკეთებდა.

ტექნიკის ამ სფეროს საფუძვლიანი ათვისება აშშ-სა და საბჭოთა კავშირში თითქმის ერთდროულად დაიწყო – 1948 წელს, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ აშშ კოსმოსში მაიმუნებს გზავნიდნენ, საბჭოთა კავშირში კი, ძაღლებს. ამ საქმეში უპირატესობას საბჭოთა კავშირმა მიაღწია, რადგან მაიმუნები კოსმოსიდან ცოცხლები ვეღარ ბრუნდებოდნენ.

პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება დედამიწის ირგვლივ, რომელსაც ბედნიერი დასასრული ჰქონდა, სტალინის და ბერიას მიერ განხორციელდა 1951 წლის 22 ივლისს. იყო ისხდა ორი ძაღლი სახელებით: „ციგან“ და „დეზიკი“. ორივე მშვიდობიანად, ცოცხლები და ჯანმრთელები დაბრუნდნენ დედამიწაზე. როცა პარაშუტი გაიხსნა, იქ დამსწრე ხალხი ზოგი მანქანით, ზოგი ფეხით გაემართა დაშვების ადგილისაკენ. როცა ორივე ძაღლი კაპსულიდან გადმოხტა, ყველამ შვებით ამოისუნთქა: „ცოცხლები არიან!“. ძაღლები სიხარულისაგან ხტუნავდნენ და ცმუკავდნენ. ციგანს და დეზიკს პირველები პატივით შეხვდნენ ბერია, კოროლიოვი, პოპოვი და სერაპინი. ბოლო ორი გვარი იმათია, ვინც ძაღლები კოსმოსში გასაგზავნად მოამზადა. ბერიამ მაშინვე აცნობა სტალინს, ამ საიდუმლო ოპერაციის წარმატებით განხორციელების შესახებ. სტალინმა ამ მიღწევას საიდუმლო გრიფი დაადო და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით აღარ გახმაურდა.

ცნობისათვის: იმ დღეს სტალინი გელათის სამონასტრო კომპლექსს ათვალიერებდა; XIX ყრილობამდე წელიწადზე მცირე დრო იყო დარჩენილი. როცა დიდი ბელადი დავითის საფლავს მიუახლოვდა, შედგა, ჩაფიქრდა... უეცრად ჩარკვიანს მიუბრუნდა და უთხრა: კანდიდ, აქ, შორიახლოს შეარჩიე მყუდრო ადგილი მცირე მოცულობის დასასვენებელი სახლისათვის. პროექტი და ხარჯთაღრიცხვა მზად რომ იქნება, შემატყობინე. აბა, ჩარკვიანი უარს ხომ არ ეტყოდა, კარგიო, მიუგო ალბათ. რა ბედი ეწია იმ პროექტს, ერთმა ღმერთმა იცის.

როგორც ჩანს, XIX ყრილობის შემდეგ ბელადს უნდოდა საქართველოში დაბრუნებულიყო, სტალინისათვის ჩირქის მოცხების ერთ-ერთი ფაქტორი პოლიტბიუროში ამ მიმართულებითაც განიხილებოდა.

ლენინის ბრძანებით მხეცურად იქნა მოკლული (დახვრეტილი) მთლად წმინდა სინოდი, ეკლესიის მამანი, 40 ათასზე მეტი ეკლესიის მოსამსახურე, 100 ათასზე მეტი მორწმუნე. ათასობით მონასტერი და ტაძარი გაძარცვეს და დაანგრიეს.

რატომ მოიწვია სტალინმა კრემლში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმთავრები 1943 წლის 4 სექტემბერს, რომლის ძალითაც საბჭოთა კავშირში მოხდა რელიგიის აღდგენა და აღორძინება? ის სასწაული, რაც იმ დღეს მოხდა, ახლაც გაუგებარია რუსეთის მართლმადიდებლობისათვის, საქართველოს ეკლესია გამოვიდა მათი დიქტატისაგან.

„სტალინი რომ არ ყოფილიყო, ავტოკეფალია არ გვექნებოდა“ – თქვა უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

ავტოკეფალიის გარეშე კი არც საქართველოს დამოუკიდებლობა იქნებოდა შესაძლებელი.

რატომ გვიმძიმს იმის თქმა, რომ სტალინმა აღადგინა საქართველოს ავტოკეფალია?

რატომ ვხუჭავთ თვალებს იმ პრობლემაზე, რასაც დღეს საქართველოს ეკლესიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს?

რუსეთის პატრიარქატის დიპტიქით საქართველოს ეკლესია მეექვსე ადგილზეა, კონსტანტინეპოლის კი - მეცხრეზე, მაშინ როცა ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ქართული სამოციქულო ეკლესია პირველ სამეულში უნდა იყოს კონსტანტინეპოლისა და საბერძნეთის სამოციქულო ეკლესიებთან ერთად.

მესამე რომი – ქრისტიანული რომის იმპერიის და ბიზანტიის იმპერიის მერე დავითისა და თამარის თბილისის მართლმადიდებლობის კუთვნილებაა.

ალბათ ეს იყო სტალინური იდეის ფარული ჩანაფიქრიც: „სახელმწიფოების კავშირი უნდა აიგოს მართლმადიდებლობის კულტურულ-ისტორიულ საფუძველზე“ – ის ამ იდეის გამო გააკრიტიკეს.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური კურსის ცვლილებები ეკლესიასთან მიმართებაში მომდინარეობს თვითონ სტალინიდან. პოლიტბიუროში მას ამ კუთხით ერთი თანამოაზრეც კი არ ჰყავდა.

როცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლკოვნიკმა გიორგი კარპოვმა რელიგიის საკითხებში გადაკოცნა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი ალექსეი სიმანსკი, ეს იმას ნიშნავდა რომ ეკლესია არ იყო უღმერთოთა სახელმწიფოს მტერი.

პოლიტბიურო იყო შოკში, განსაკუთრებით ხრუშჩოვი, კაგანოვიჩი და სუსლოვი. სტალინის რელიგიური კურსი სრულიად აქარწყლებდა ლენინის 1922 წლის 23 თებერვლის დირექტივას. „სტალინი იძულებული იყო დახმარებისათვის მიემართა ეკლესიისათვის, რადგან სხვაგვარად ვერ ხედავდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შესაძლებლობას“ – მოჩმახა ხრუშჩოვმა.

მაგრამ, კიდევ მაგრამ: რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმთავრებს სტალინი შეხვდა არა 1941 წელს, როცა ჰიტლერელები კრემლიდან 32 კმ-ზე იდგნენ, არამედ მას შემდეგ როცა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში მოხდა ძირეული გარდატეხა; წითელი არმიის დიდი გამარჯვებების შემდეგ მოსკოვთან, სტალინგრადთან, კურსკის რკალში. ამ დროიდან ვერმახტის ჯარები გამუდმებით უკან იხევდნენ, ხოლო წითელი არმია უტევდა მძლავრად და მიზანდასახულად.

„პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურის“ კონცეფცია, ლენინის და ტროცკის იდეა პერმანენტული (განუწყვეტელი) რევოლუციის შესახებ, ლენინმა დაამუშავა 1905 წელს მარქსის და ენგელსის თხზულებების მიხედვით.

1943 წლის 22 მაისს, დღე როცა სტალინმა დაითხოვა კომინტერნი და ამით სამუდამოდ დაასამარა ლენინური იდეოლოგია კაპიტალიზმის მოსპობასთან დაკავშირებით განუწყვეტელი რევოლუციების საშუალებით

ეს პატარა საქმეა?

ჩერჩილი წერდა: „სტალინმა (ცარიზმისაგან – ი. პ.) მიიღო აგრარული, კავის რუსეთი და დატოვა ის ატომური იარაღით. ეს ისტორიული ჭეშმარიტებაა და ხალხი ასეთ ადამიანებს არ ივიწყებს“.

1943 წლის 22 მაისი და 4 სექტემბერი არის მოულოდნელი გამოცხადება! კაცობრიობა განთავისუფლდა როგორც უღმერთოთა კავშირის იდეოლოგიისაგან, ისე კომუნისტური მონოპოლიის დოქტრინისაგან.

ამ ფონზე, დღეს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილის ნააზრევი „ალანიის ეპარქიის“ შესახებ: „ამ ქვეყნის სულიერი მამამთავრები იმყოფებოდნენ გამთიშველი ეკლესიის (კვიპროსის სინოდი – ი .პ.) იურისდიქციაში, რომლის მთავარი ამოცანაა გაანადგუროს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ერთიანობა“.

ცხადია, რუსული და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები გამონახავენ გზებს ოკუპირებული ქართული მიწების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

დასასრული

1937-1938 წწ. რეპრესიები სტალინს თავს მოახვიეს რასაკვირველია, იგი თავს ვერ გაიმართლებს, მაგრამ ეს რეპრესიები ძირითადად იმათი ნახელავია, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ სოციალიზმის მოსპობა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს განადგურება. სტალინმა ლავრენტი ბერიას დახმარებით დროულად აღკვეთა ხოცვა-ჟლეტა, თორემ ხალხი დაგლეჯდა ერთმანეთს ისე, როგორც ეს მოხდა საფრანგეთში ბართლომეს ღამეს. იყო შემთხვევები, როცა სტალინი რეპრესიების გამჩაღებელთა სიებიდან შლიდა ზოგიერთ გვარებს, მაგრამ შემდეგ მას უმტკიცებდნენ მათი დანაშაულის სიმძიმეს და სიები ხელახლა შეჰქონდათ ხელმოსაწერად.

აშშ ელჩი საბჭოთა კავშირში ჟოზეფ ედვარდ დევისი ომის წლებში წერდა: „რუსეთში არ იყო ეგრეთწოდებული „შინაგანი“ აგრესია, რომელიც ვერმახტთან შეთანხმებულად მოქმედებდა. რუსეთში არ აღმოჩნდა სუდეტური გენლეინები, სლოვაკური ტოსო, ბელგიელი დეგრელები ან ნორვეგიელი კისლინგები ყველაფერი ეს ფიგურირებდა 1937-1938 წლების პროცესებზე, რომელსაც მე პირადად ვესწრებოდი და ყურადღებით ვადევნებდი თვალს მათ მიმდინარეობას“.

ამ კონტექსტში დასახელებულ მოვლენებს და პიროვნებებს დაინტერესებული მკითხველი თვითონ მონახავს და გააანალიზებს, თუმცა ერთი მათგანის იოზეფ ტისოს შესახებ აქვე მოგახსენებთ:

ღვთისმსახური იოზეფ ტისო ჰიტლერის თანამებრძოლი იყო. ჰიტლერს მართალია მღვდლები არ უყვარდა, მაგრამ ტისოს ისე დაუახლოვდა, რომ ხშირად ღებულობდა თავის ბუნკერში. ამის მიზეზი ის იყო რომ, ტისომ გააკეთა ისეთი რამ რაც ჰიტლერს ძალიან ესიამოვნა. აი, რა მოხდა. ომის დასაწყისში იოზეფ ტისო აირჩიეს სლოვაკიის პრემიერ-მინისტრად. მაშინ სლოვაკიაში ცხოვრობდა 90 000 ებრაელი. ტისომ ისინი კანონგარეშე გამოაცხადა და თითქმის ყველანი დეპორტირებულ იქნენ ოსვენციმში და სხვა ფაშისტურ კონცლაგერებში. როგორც წყაროები გადმოგვცემენ ამ ებრაელებიდან მხოლოდ 280-800 ადამიანი გადარჩა.

იაკობ პაპიაშვილი
საქართველოს და ისრაელის
მწერალთა კავშირის წევრი
ივანე მაჩაბლის პრემიის
ლაურეატი
ბათ იამი

ამირან ხეცაძე

***

ამ წალკოტ მთა–ბარს როცა ვუცქერი,
გულში სიამის ჩქერი მერევა,
აღტაცებისგან მესხმება ფრთები,
ფრთოსანთა გუნდში მინდა შერევა,
კარგად ვიცოდეთ ქართველნო
მტრები,
რომ ვერასოდეს ვერ მოგვერევა.

რა ვქნათ, დროდადრო თუკი
გვჩეხავენ,
გზა სიმართლისა მაინც ჩვენია,
ჩვენ რომ ვერაფრით დაგვაჩოქებენ,
მაინც ვერასდროს ვეღარ ხვდებიან,
ჩვენთან ჭიდილში მტერნი ვერაგნი,
ბნელ უფსკრულებში დაინთქმებიან.

ქართველნო, ხელი არ ჩავიქნიოთ,
არც ქალაქელმა, არც მთიანელმა,
ყველამ ვიცოდეთ არწივის მართვე,
საქართველოში კვლავ ფრთიანდება,
რომ ღვთისნაკურთხი
დედულ–მამული,
სამარადისოდ გამთლიანდება.

***

ზეცის აკვანზე ღრუბელი მიწვა
მთვარე გახელდა სხივთა მოფენით,
ლაჟვარდს ასცქერის ტანჯული მიწა,
ბეჭებდამსკდარი გვალვის შოლტებით,
მე მეცოდება ეს დედამიწა,
დამძიმებული ათას ცოდვებით.

ირმის ნახტომის გალაქტიკაში,
ამ დედამიწის ვარ ბინადარი,
სულის სიწმინდე მოჩანს ჩემს ხმაში,
სიტყვებს ფოლადის ალი გადასდის,
ქართული სისხლი დამიდის ძარღვში,
ქართული სისხლის მადლით გადავრჩი.

უკვე ელვაა, ნელა სცრის წვიმა,
ქარი ნისლების ფარას მოდენის,
დარდებით სავსეს ისევ არ მძინავს,
მსერავს ფიქრები თეთრი ბლონდებით,
მე მეცოდება ეს დედამიწა,
დამძიმებული ათას ცოდვებით.

***

რა სევდიანად ჩურჩულებს წვიმა,
რა სევდიანად ღიღინებს ქარი,
ახლა სარკმელთან მდუმარედ ვზივარ,
გვიან ღამეა, იქნება სამი,
ნეტავი მალე გათენდეს დილა,
ნეტავი მალე ამღერდეს ქნარი.

ვზივარ სარკმელთან, ისევ არ მოჩანს,
მთვარე მბჟუტავი და ალმაცერი,
ო, ეს წვიმები რომ აღარ მორჩა,
აღარ აკეცა ნისლმა საცერი,
ვუსმენ ქარების ჭორების როშვას,
და ბურუსიან ხედებს გავსცქერი.

თითქოს კედლებზე ლანდები კრთიან,
თითქოს ვიღაცამ გამიღო კარი,
კვლავ სევდიანად ჩურჩულებს წვიმა,
კვლავ სევდიანად ღიღინებს ქნარი,
ნეტავი მალე გათენდეს დილა,
ნეტავი მალე ვიხილო დარი.

***

დილის მზის სხივი,
სუფთა ჰაერი,
კავი, სახნისი,
ტურფა მთა–ველი...
სხვა განძი არ მსურს
არანაირი.

ბულბულის სტვენა,
ქარის შაირი,
შაშვის გალობა,
სუნთქვა ყვავილის...
სხვა განძი არ მსურს
არანაირი.

ქვეყნის ერთობა,
მკლავი რაინდის,
ხმები ქართული,
ჩანგის, დაირის...
სხვა განძი არ მსურს
არანაირი.

***

საქართველო ზეციური წიგნია,
ყველა მადლი აქ თვითონვე კანონობს,
საქართველო ღვთაებრივი ხიბლია
ქართველი ხომ ქვეყნად არვის
ბატონობს,
ყველა გზები ტაძრებისკენ მიდიან,
მთავარია ეს გზა არ მივატოვოთ.

საქართველო ჯადოსნურად დიდია,
საქართველო თვით სამყაროს
ხნის არის,
საქართველო უკვდავების ჰიმნია,
საქართველო დაჭრილია ისარით,
საქართველო ცად სავალი ხიდია,
საქართველო შვილთა დასაფიცარი.

საქართველო სამკაულთა სკივრია,
მტერი ცდილობს დაგვშუბოს და
დაგვტოროს,
ვერ გაგვყიდეს თუმცა მუდამ
გვყიდიან,
ჩვენ უფალი გვმფარველობს და
გვპატრონობს,
ყველა გზები ტაძრებისკენ მიდიან,
მთავარია ეს გზა არ მივატოვოთ.

***

რა შეედრება მათ სილამაზეს,
დიდხანს ვუცქერდი სიტყვის
უთქმელად,
დღეს სიყვარული შემომთავაზეს,
მკლავგადაშლილმა ნორჩმა თუთებმა,
უნდა უთუოდ ამ სილამაზეს,
მოფრთხილება და მოსათუთება.

ვუცქერ ალიონს, აღმოსავლეთით,
მზე დიდებულად ამობრწყინდება,
თითქოს ფეთქდება ათასი დენთი,
ბაჯაღლოები კალთით იფრქვევა,
მხოლოდ და მხოლოდ განაგებს
ღმერთი,
ამ სილამაზეს და ამ დიდებას.

ვუცქერ მამულის ტყეებს და მდელოს,
სიამაყისგან გული მევსება,
თქვენ გენაცვალეთ ბაღებო, ზვრებო,
მიმოქარგულნო ლამაზ ხედებად,
ჩემო წალკოტო და სანატრელო,
ხარ ზეციერის შემოქმედება.

***

მიწის სიყვარულს უნდა მიგნება,
არის სისხლის და ხორცის ნაწილი,
მისი სიამე გულში მიელავს,
სულში მეღვრება ტკბილი ჰანგივით,
ქვეყნის მონობა მეჩოთირება,
კვნესის მამული - დევი დაჭრილი.

ისევ მაქეზებს სიო კრწანისის,
ისევ მაქეზებს სიო მარაბდის,
მამულის ტკივილს ისე განვიცდი,
თვალზე უშრობი ცრემლი გადამსდის,
მტერმა უგნურმა ისიც არ იცის,
უფლის სამწყსო რომ ცოცხლობს
მარადის.

ვერაგებს მაინც იპყრობთ ცდუნება,
იზიდავთ ჩემი მიწა, ბუნება,
ვეღარ შეიგნეს უსახურებმა,
ვეღარ შეიგნეს უწმინდურებმა,
ქართველი კაცის ლაღი ბუნება,
მონობას რომ ვერ შეეგუება.

***

მზემ ალიონზე ცეცხლი დაანთო,
მიდამოს ოქრო გადმოაყარა,
გული ბულბულის ხმებმა გაათბო,
ტკბილი ჰანგები უხვად დაღვარა,
შენ გენაცვალე აღმართ-დაღმართო,
ჩემი მამულის მთებო ჭაღარავ.

ქარმა აკენკა სხივის მარცვლები,
ზვრებზე გაავლო ქარვის სვრელები,
ნისლმა გაჰფინა მთებზე საცვლები,
მზეზე ნანაობს მინდორ-ველები,
ამ ხედებს მარად დავენაცვლები,
ამ ხედებს თავზე შემოვევლები.

მიწავ ღვთიურო და უცნაურო,
შენი ბადალი ქვეყნად სად არის,
გულს წამიკიდე, დედულ-მამულო,
ჩაუქრობელი ტრფობის ხანძარი,
მარად უკვდავო და სასწაულო,
ხარ ცისქვეშეთის წმინდა ტაძარი.

***

მზემ მოითხუპნა მაყვლით ტუჩები,
ფოთლები სხივებს მძივად იბნევენ,
ჩამწკრივებულან მხნე ალუჩები,
ჭრელკაბა ჩრდილებს მკერდზე
იწვენენ,
მთვარე სიცხეს თუ გადაურჩება,
დაანაფაზებს ღამის სიბნელეს.

ააშრიალებს კუნაპეტ ფარდებს,
სიოს ჩურჩული, ქვიშის ხამხამი,
სიჩუმით მოსილ მადლიან მთა-ველს,
ათასი ვერცხლის სხივი დაჰხარის,
გამოაღვიძებს დაქარვულ ბაღებს,
ჩაშაქრებულიჭარხლის ხარხარი.

აისი დილის კოცონს დაანთებს,
ვარსკვლავს დაიცვენს ზეცის თავანი,
ფუტკარს ყვავილთა სუნთქვა
აღანთებს
და დააცხრება ამპარტავანი,
ტრფიალი ყველას სვე-ბედს განაგებს,
ტრფიალი არის ქვეყნად მთავარი.

დიდი პოეტი

მზე ოქროს სხივით ტყე-ველს
ეფრქვევა,
ჯადოსნურ ფუნჯით ზვრებს
ავარაყებს,
ტალღები ნაპირს უხსნის სიყვარულს,
ქარი ხეებთან ჰყვება არაკებს...
ეს ბუნებაა დიდი პოეტი,
ჩვენ რომ ლექსებად გვალაპარაკებს.

მშობლიურ ქვეყნის კუთხეს და
კუნჭულს,
დიდი უფალის მადლი განაგებს,
ამ უწალკოტეს, წმინდა მიწაზე,
მტერი ვერასდროს დაიბანაკებს...
საქართველოა დიდი პოეტი,
ჩვენ რომ ლექსებად გვალაპარაკებს.

ამ მზიურ ქვეყნის შვილების გულში,
წრფელი ტრფიალი იდგამდეს კარვებს,
ყველა ოჯახში ვხედავდე ლამაზ,
თვალებცქრიალა ლამაზ პატარებს...
სიყვარულია დიდი პოეტი,
ჩვენ რომ ლექსებად გვალაპარაკებს.

მოპასანი ქართულად

(რეცენზიის მაგიერ)

გამომცემლობა "ივერიონმა" ახლახან მკითხველს შესთავაზა XIX საუკუნის ფრანგი კლასიკოსი მწერლის, გი დე მოპასანის რჩეული ნოველებისა და ესეების ლამაზი კრებული, რომელიც ფრანგულიდან თარგმნა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრმა, მთარგმნელმა და ლიტერატურათმცოდნე ნანა ახალაძემ.

მართალია, ჩემი სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადად სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო ლიტერატურას ვკითხულობ, მაგრამ დროდადრო მხატვრულ ლიტერატურასაც ვეცნობი ხოლმე, რასაც ახალგაზრდობაში უფრო სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

რაც შეეხება მოპასანს, ეს ავტორი მე ქალბატონმა ნანამ შემაყვარა, როცა ათი წლის წინათ ამ ავტორის შედარებით მცირე მოცულობის მისეული მშვენიერი თარგმანი მაჩუქა. ახალი წიგნი გაცილებით დიდი ზომისაა და უფრო სრულ წარმოდგენას გვიქმნის როგორც მოპასანის ტალანტზე, ისე ქალბატონ ნანას მთარგმნელობით ნიჭზეც, რომელიც, ყველაფრიდან ჩანს, რომ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. სწორედ ამიტომაც დააჯილდოვეს იგი ივანე მაჩაბლის პრემიით.

თავის მეტად ტევად, მეცნიერული ანალიზით გაჯერებულ შესავალ წერილში მთარგმნელი გვაცნობს მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას და გვაუწყებს, რომ მხატვრულ შემოქმედებით ტალანტთან ერთად, მოპასანისათვის დამახასიათებელი იყო მტკიცე ნებისყოფა და შესაშური შრომისმოყვარეობა. სხვანაირად ვერ ახსნი იმ ფაქტს, რომ ადრე გარდაცვლილმა მოპასანმა, საკმაოდ მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, ბევრი თავისი ნაწარმოები მრავალჯერ (ხუთჯერ) გადაწერა და შეავსო.

ასე იყო სხვა დიდი ტალანტების-ლომონოსოვის, ტოლსტოის, გოეთეს, ვაჟა-ფშაველას, აინშტაინისა და სხვათა შემთხვევაშიც, რომ არაფერი ვთქვათ ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს შესახებ. ასე რომ, მოპასანის მაგალითზე კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ინტელექტი, ნებისყოფა და შრომა ყოველგვარი შემოქმედებითი მიღწევის საფუძველია, რომ ფორმულა-"ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცია"-ოინბაზობაა და მეტი არაფერი, რომ შრომის გარეშე ინტელექტი უჩინოდ მკვდარია. ამის გაცნობიერებას სტუდენტი-ახალგაზრდობისათვის, ვისთვისაც განკუთვნილია უპირველესად ეს წიგნი, სხვა სიკეთესთან ერთად მოტივაციურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობაც გააჩნია.

თარგმანების წაკითხვისას რწმუნდები, რომ მოპასანი მიწიერი თუ გამიწიერებული სიყვარულისა და ფსიქოლოგიური პორტრეტების დახატვის მართლაც უბადლო ოსტატია. თავის შემოქმედებაში მწერალი სხვა ლიტერატურულ ხერხებთან ერთად იყენებს ე.წ. "ლიტერატურული სინესთეზიის" ფენომენსაც, როდესაც ერთი სახის შეგრძნებით შთაბეჭდილებას ახასიათებს სულ სხვა შთაბეჭდილებით: მაგალითად, ერთ-ერთ ნოველაში ვკითხულობთ: "სიბნელეში, თოვლით დაფარულ ტყეში, სადღაც სულ ახლოს, მკაფიო, წვრილი და ქორფა ხმა გაისმა", ჩემი ყურადღება მიიპყრო ადამიანის ხმის ასეთი ზედსართავი სახელით დახასიათებამ. მე ვიცოდი, წამიკითხავს და მომისმენია "ხავერდოვანი ხმა", "ტკბილი ხმის", "რბილი ხმის" (რუსთაველი ამბობს "ხმა შაქარისფერი გაუხდაო",) შესახებ, მაგრამ პირველად წავიკითხე და განვიცადე კიდეც "ქორფა ხმა". ამ გამონათქვამებში საინტერესო ისაა, რომ ერთი სახის შეგრძნებას მეორე სახის შეგრძნებით ვახასიათებთ, და ამით ნათელს ვხდით პირველის თავისებურებას. მაგალითად, როდესაც ვამბობთ, რომ ნანი ბრეგვაძეს აქვს ხავერდოვანი ხმა, რომლითაც სმენითი შთაბეჭდილება დახასიათებულია შეხებითი შთაბეჭდილებით, ამ ხმის თავისებურება გასაგები ხდება იმისთვისაც, ვისაც საერთოდ არ მოუსმენია ბრეგვაძისთვის. მოკლედ, მოპასანის შემოქმედებაში გვხდება ასეთი ნიუანსებიც, რომლებიც მშვენივრად თარგმნილია ნანა ახალაძის მიერ.

რაც შეეხება მოპასანის მიერ დახატულ ხასიათებსა თუ პორტრეტებს, უნდა აღვნიშნო შემდეგი. მე წაკითხული მაქვს სპეციალისტი-ფსიქოლოგების მიერ შედგენილი ფსიქოლოგიური პორტრეტები, ჩვენ ვიცნობთ შტეფან ცვაიგის დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით დახატულ ლევ ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჟოზეფ ფუშეს და სხვათა პორტრეტებსაც, მაგრამ მოპასანი სულ სხვაა. იგი მცირე მოცულობის ნოველებსა და ესეებში ოსტატურად ახერხებს ადამიანთა განსხვავებული ხასიათების გადმოცემა-ჩვენებას.

სანიმუშოდ მოვიყვანდი ივანე ტურგენევის მოპასანისეულ დახასიათებას, რომელიც სხარტი და დამაჯერებელია, თითქოს მარტივად მაგრამ ისე ოსტატურადაა დახასიათებული ტურგენევის მდიდარი სულიერი სამყარო, მისი გარეგნობა, რომ ყოველივე რეალურად გვეჩვენება და იმდენ ნათელ ხატებასა და ასოციაციებს იწვევს, იფიქრებთ, ტურგენევი ფიზიკურადაც აქაა, ჩვენ თვალწინ დგას მთელი თავისი სიდიდითა და სიდიადით. ასე, რომ როცა სკოლაში ტურგენევის "მონადირის ჩანაწერებს" ვეცნობოდით თუ "მუმუს", ჩემს მასწავლებელს არ უთქვამს, ეს მითხრა მოპასანმა, ნანა ახალაძის მშვენიერი თარგმანის მეშვეობით, მადლობა მწერალსაც და მთარგმნელსაც, რომ ასე სასიამოვნოდ გამახსენეს (და არა მხოლოდ მე) ჩემი ბავშვობის შესანიშნავი პერიოდი. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნანა ახალაძემ საქართველოში პირველმა მოჰკიდა ხელი მოპასანის ესეების თარგმნას და წარმატებით გაართვა თავი.

ამბობენ, რომ ფრანგი მკითხველის მიერ მოპასანი ხავერდოვნად იკითხება. ეს, რა თქმა უნდა, უშუალოდ მწერლის დამსახურებაა, მაგრამ ქართველი მკითხველიც რომ სარეცენზიო წიგნში მოქცეული მწერლის შემოქმედებას ასევე თავისუფლად და ხავერდოვნად კითხულობს, ეს უკვე მთარგმნელის დამსახურებაცაა. ჩვენთვის, საამაყოა ის, რომ ასეთი მაღალი დონის თარგმნა ბათუმში შესრულდა ბათუმელის მიერ, ვიტყოდი, ნანა ახალაძემ ბათუმი გადააქცია მოპასანის ფრანგულიდან ქართულად თარგმნის თავისებურ ცენტრად. ვულოცავთ მას დამსახურებულ პრემიას და ვუსურვებთ შემდგომში ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

ნოდარ ბარამიძე,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი
2017 წლის 25 ივნისი

ემიგრანტის ტკივილი

ყველაფერი გტკივა ემიგრაციაში, თუმცა, ტკივილი უამრავი გვაწუხებს მთელს მსოფლიოში, მაშინ როცა პროპაგანდა, პრესა, რადიო და ტელევიზია ადამიანის და ბავშვთა უფლებების დაცვაზე მილიონობით თანხას ხარჯავს ათასგვარი პროგრამების დასაფინანსებლად, პარალელურად უამრავ ბავშვს, პირობების უქონლობის გამო ახრჩობს, ვის წყალში, ვის ქიმიური იარაღით და ვის ბომბებქვეშ, საკუთარ სახლ-კარს უნგრევენ, უიმედოდ ქუჩაში ყრიან მოსახლეობას და არც მათ ბედზეა ვინმე პასუხისმგებელი. ასე მგონია, მხოლოდ რეიტინგული რეპორტაჟების მოსამზადებლად ხდება საჭირო ასეთი აქტუალური პრობლემების გაშუქება მსოფლიოს წამყვან საინფორმაციო გადაცემებში, თორემ არც ამ საშინელების დამწყებს ეძებს ვინმე, არც გამომწვევ მიზეზებს ადგენენ და არც დამნაშავეს, ვინ და რატომ აწყობს ამ სასაკლაოს, მსოფლიოს ახლად არჩეული და ასარჩევი ხელისუფალნი ისე ადვილად აუქმებენ და ცვლიან წლობით მიღწეულ თითქოს ზოგადსაკაცობრიო შეთანხმებებს და დასაქვემდებარებელ კანონებს, ყველა იმედი გეკარგება, ვერ გარკვეულხარ, რას ეყრდნობა მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მართვა და პრობლემების მოგვარება.

ემიგრანტს გტკივა სახლში – როცა დატოვებული ოჯახი ბარბაცით, მაგრამ შენი ემიგრაციაში წასვლით და თავგანწირული შრომით, მაინც აღწევს თავს და არსებობს, დატოვებული და მიტოვებული სამეზობლო და სამეგობრო, რომელთანაც ურთიერთობა შენი ცხოვრების ნაწილი იყო, ახლა კი გაურბიხარ მისგან მოწოდებულ ინფორმაციას, იმის გამო, რომ მის დახმარებასაც ვერ შეძლებ ისე, როგორც გინდოდა და გეგონა, მაინც ფიქრობ, მაინც ცდილობ, მაგრამ ის შეძლებს გაგიგოს და შენს ფიქრებს შეწვდეს, როცა მას საზღვარგარეთ წამოსული ბედნიერი და შეძლებული ჰგონიხარ. არადა, ნამდვილად ხარ ხელფასის პატრონი, იმ ხელფასის, რომელიც დაუნდობელი, ხშირად შეურაცხმყოფელი და მძიმე სამუშაოს შესრულებითაა მიღებული, რომლის გაფანტვაც, გაფიქრებს, მაგრამ ფიქრის დროც არ გრჩება ისე წაეწყობა ხოლმე ერთმანეთს მთელი თვის დაგროვილი პრობლემები, მიტოვებულ სახლ-კარში, დედმამიშვილების და მეგობარნათესავების საჭიროებები. ასე ხდები შენს თავზე აღებული პასუხისმგებლობის მსხვერპლი, რაც ხშირ შემთხვევაში გღლის, გასუსტებს და მაინც ხშირად, უფრო აქტიურს გხდის, შენი სურვილების მიუხედავად, თავს გავიწყებს, შენს შესაძლებლობებზე მეტს გაკეთებინებს, რომ არ დაეცე, რომ არ გშთანთქოს ემიგრაციის აბსოლუტურად განსხვავებულმა პირობებმა.

გტკივა ემიგრაციაში შეძენილი მეგობრები, რომლებთან ერთად გაიარე ეს ტკივილიანი წინააღმდეგობებით სავსე გზა, ურთიერთთანადგომითა და გაგებით, როცა მხოლოდ მათ შეეძლოთ გაეგოთ და მოესმინათ შენი განცდები, ის მეგობრები, რომლებიც უცხო გარემოში მოხვედრილნი, ადაპტაციისადმი ნაკლებუნარიანი გამოდგნენ, არც ბედისწერით იყვნენ განებივრებულნი, მათთვის ემიგრაცია კიდევ უფრო მძიმე და გაუსაძლისი გამოდგა, გაწუხებს ადამიანების ბედი, რომელნიც თავიანთი ნაზი სულით, შინაგანი ინტელექტით და ზნეობის საკმაოდ მაღალი ხარისხით აღზრდილნი, კაპიტალისტური ექსპლოატაციის გამო, დაითრგუნენ, მაგრამ არც უკეთესი გამოსავალია, მათთვის სამშობლოში დაბრუნება, რადგანაც უკვე იქ შექმნილ გარემოსაც გაუუცხოვდნენ, კარს მომდგარი მოხუცებულობა კი მძიმე ფაქტია, რომელიც არაფერს კარგს არ ჰპირდება სახლიდან წასულ ემიგრანტს.

გტკივა ახალგაზრდები, რომლებიც შენს თვალწინ გასაფრენად ფრთებაშლილნი, სასტიკად დაენარცხნენ ევროპაში, მათთვის გაუცნობიერებელ ატმოსფეროში მოხვედრილებმა ვერ აიტანეს და განსაზღვრეს ევროპული ორომტრიალის სირთულე, ვერ განსაზღვრეს საკუთარი როლი და შესაძლებლობები ამ საზოგადოებაში თანამონაწილეობისა.

გტკივა ის საოცრად კარგი ახალგაზრდები, რომელთაც დუხჭირი ცხოვრებიდან თავის დასაღწევად, პატიმრობად უქცევიათ ცხოვრება, გულს გიგმირავს ქალაქის მდიდარი რაიონის მატარებლის ბაქანზე ანგელოზი გოგონების ჟრიამული, როცა ერთმანეთს შორდებიან, კვირას დასასვენებლად გამოსულნი, ნაცნობ-უცნობი ქართველები, არადა, საკმაოდ მომრავლდნენ საბერძნეთში და ღმერთმა ბედნიერად ამრავლოთ, სადაც არიან, მაგრამ ხშირად სასოწარკვეთილება გიპყრობს, სანამდე უნდა ეთაყვანებოდეს ქართველი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა, ხელფასის გამო, სხვისი ოჯახის სამსახურს.

გტკივა საბერძნეთში მალულად გამოპარული ბერ-მონაზნები, რომელთაც ცხოვრების გზად ღვთის სიყვარული და მის მიმართ მორჩილება აურჩევიათ და ამ მისიას, ყველას და ყველაფერს მოწყვეტილნი, ღმერთის სიყვარულით საბერძნეთის მონასტრებში ემსახურებიან. გტკივა ის ნიჭიერი ქართველი, რომელიც ჭეშმარიტი ღვთის წყალობით, მონასტრის მადლიან კედლეში შედევრებს ქმნიან, ქრისტეს და წმინდანების გამოსახულებას ჭრიან და ქარგავენ, ეკლესიებს ხატავენ, წმინდანების სადიდებლად და ასე წარმოაჩენენ ემიგრანტი ქართველები, სამშობლოს მოწყვეტილი შვილები ნიჭიერებას უცხოელების თვალში.

გტკივა ფეისბუკზე დადებული ვუდეოები, როცა საოცრად თბილ და ლამაზ ქალბატონს ბერძენი მოხუცი ბებია გაუხდია სათაყვანებლად, იმედად და რომ არ იტიროს, მას უმღერის, ღმერთს მისთვის ლამაზი ხმაც მიუცია, მისი სევდის და ტკივილის უფრო განსხვავებულად, შთამბეჭდავად და სასიამოვნოდ გამოსახატავად. გტკივა ყველა სევდიანი გამონათქვამი ემიგრანტი ქალებისა, რომელიც შენც ასევე გაიარე და გამოსცადე, ბევრს ვერ გაუძლია ამ განცდებისათვის და საზოგადოებისათვის გაუზიარებია მისი ტკივილი, რომელიც უკურნებლად ქცევია, ან დიდი განსჯის საგანიც გამხდარა. ყველა ასეთი შემთხვევა, დამიჯერეთ, შველას ითხოვს, მაგრამ ვისგან? მისივე განებივრებული და მიტოვებული შვილებისგან? მატყუარა ხელისუფალთაგან? მივიწყებული მოკეთეებისაგან, რომლებსაც თავი გასჭირვებიათ და ერთადერთ გამოსავალს, მიუხედავად ამდენი გამოხატული ტკივილისა, მაინც ემიგრანტობაში წასვლაში ხედავენ. ვისგან და როდემდის?

გტკივა ემიგრანტი ლტოლვილები, რომლებმაც ლტოლვილობა სხვადასხვა სტატუსით გამოსცადეს, რამდენჯერმე დაეცნენ და აღსდგნენ. მათ მიმართ გამოჩენილი გულგრილობა სახელმწიფო ჩინოვნიკებისა არც ერთ სტანდარტში არ ჯდება, რომლებსაც უკან დასაბრუნებელი გზაც არ დაუტოვეს. ეს არის ახალგაზრდობაგამწარებული თაობა, უკვე ასაკს მიღწეულნი და მუდმივად მოლოდინის მდგომარეობაში მყოფნი, რომლებმაც რწმენაც დაკარგეს და სადაც ახერხებენ იქ იშენებენ ბუდეს, თავშესაფარს. ეს არის ლტოლვილთა, ანუ განწირულთა საშინელი ბედი. გტკივა და თან გიხარია, რომ შენ სირიელ ლტოლვილს მაინც სჯობნი, რადგან უფრო ადრე შეაფარე თავი ევროპას, მაშინ, როცა მეტი შესაძლებლობა არსებობდა დუხჭირი ცხოვრებიდან თავის დასაღწევად.

უამრავი რამ გტკივა და მაინც გიხარია გათენებაზე უფრო ალბათ დაღამება, როცა ის მძიმე დღე მთავრდება, გათენების მოლოდინში, გათენების, რომელსაც, სიხარული არ სდევს, დგება დღე, რომელსაც სევდა და ტკივილი მისებურად რთავს, ხელფასის მოლოდინში.

გტკივა ემიგრაციაში დღესასწაულები, მაგრამ მაინც გიხარია, რომ გაქვს ხელფასი და ცოტა საშუალება საჩუქრების მაღაზიებში წასასვლელი, რომ სადღესასწაულოდ მორთულ გარემოს შეუერთდე. კაპიტალიზმს ყველაფერი გათვლილი აქვს მოგებაზე, მომხიბვლელი ვიტრინები, ღარიბებისთვისაც და მდიდრებისთვისაც, ასე შენც ერთობი დღესასწაულის და საჩუქრის მოლოდინში. გიხარია ის, რომ მოახერხე და შენს ოჯახს მიაწოდე დღესასწაულის გასალამაზებელი ნივთები, ასე რომ მოგწონდა ბავშვობაში უცხოური ტელევიზიის რეკლამით თავბრუდახვეულს საახალწლო განწყობის შესაქმნელად.

წლები გადის ამ ორომტრიალში. მიდიან, ბრუნდებიან ემიგრანტები, ზოგი ბედნიერი, ზოგი ავადმყოფი, ზოგი მკვდარი და ზოგიც ცოცხალი. გულს გიკლავს ის, რომ წლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულნი, თუ ოდნავ ძალა შესწევთ, ისევ ემიგრაციას უბრუნდებიან. ეტყობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ ვზრდით სწორად მომავალ თაობებს, რომ გააგრძელებენ ცხოვრებას დაუხმარებლად, რომ მშობლების წინაშე პასუხისმგებლობა იტვირთონ და სიბერე მათთან ღირსეულად გაატარებინონ.

წლები მიდიან და არაფერი არ იცვლება ხელისუფლების გარდა და ისევ ისეთივენი ბრუნდებიან, როგორებიც წავიდნენ.

შორენა შენგელია
ათენი

ახალი თარგმანები

მურმან თავდიშვილი

ამ ბოლო ხანებში ყურადღებას იქცევს გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ გამოშვებული ნაშრომების შინაარსობრივი და ფორმობრივი მრავალფეროვნება. გემოვნებით გაფორმებულ ამ წიგნებს შორისაა დონა კოლხისა და დავით გაბუნიას ახალი თარგმანები. მთარგმნელებმა გადმოაენეს გოეთე, ბაირონი, შელი, ქითსი, უიტმენი, ლოკა და ესენინი. როგორცა ვხედავთ, მსოფლიო პოეზიის თაიგულია. ამათი ცალკეული ქმნილებების გადმოღება და ქართულად კიდევ ერთხელ აჟღერება უკვე კეთილშობილური საქმეა და ეგ მაშინაც კი, თუნდაც ეს თარგმანები არ იყოს შესაფერისი დონისა.

ამ შემთხვევაში კი უნდა ითქვას: მთარგმნელებს ცდა არ დაუკლიათ, რათა ქართული ტექსტები ჯეროვნად აჟღერებულიყო. ვიდრე ამის სათანადო ნიმუშებს ვიხილავდეთ, ვიტყვით: ყოველ შემოქმედს წინ წამძღვარებული აქვს მოკლე ბიოგრაფია. შესაძლოა, ზოგ მკითხველს ეს სრულიად ზედმეტადაც მოეჩვენოს, რადგან გოეთეს გინდა ესენინის ბიოგრაფია – მოღვაწეობის ამბავი ისედაც ზედმიწევნით არის ცნობილი და ამ მხრივ, თითქოსდა, ჩვენს ავტორებს ახალი რა უნდა ეთქვათ, მაგრამ, როგორც რუსნი იტყვიან, ფაფას კარაქით ვერ გააფუჭებ. მახლას, ესეც იყოს, აღნიშნულით დაინტერესებულმა მკითხველმა რომ შორს არ იაროს.

მოდით, შევეშვათ ყოველგვარ მეთოდიკურ სვლებს, საკითხა სპეციფიკურ დაჯგუფებას და მიმდევრობით განვიხილოთ ზოგი გადმოენებული ქმნილება.

პირველი ტექსტი გახლავთ გოეთეს „დედას“. საზოგადოდ ამ ტექსტის დედნის თავისებურებაა ზვიადი შვილის მიერ მოკრძალებული ქალის, დედის, გახსენება, სადაც ერთგვარად გვირგუნავს საკუთარი სიდიადის უკვე შემმეცნებული ადრესანტის უპირატესობა მოკრძალებული ადრესატის წინაშე. ამ განცდას, თითქოსდა, კიდეც გვაგრძნობინებს გადმოენებული მასალა. და ეგ არის მთავარი, მაგრამ პირველ სტროფთან დაკაშვირებით მაინცა გვაქვს შენიშვნები. ეგ მონაკვეთი ასეთია:

არც მისალმება, არც წერილი,
ძვირფასო დედა,
არ მიგიღია შენ შვილისგან დიდი ხანია!
ნუ მიეცემი ეჭვს, ღამეებს ნუ ათევ თეთრად,
და არც იფიქრო, შენთან ყოფნა არ უხარია!

უწინარეს ყოვლისა, წოდებითი ბრუნვა იქნება არა „დედა“, არამედ – „დედავ„; მეორეც, „დიდი ხანია“ ცალკე წინადადებაა და იგი მძიმით უნდა გამოიყოს; მესამე და უმთავრესი: თუ რითმას ვაკეთებს, უნდა მივაღწიოთ სრულ ასონანსს. ერთი წყვილეული ასე ჟღერს: „დიდი ხანია“, მეორე კი ამგვარად – „არ უხარია“. სარითმო კლაუზულებია „ხანია“ და „ხარია“, ოღონდ დაკვირვებული მთარგმნელი შიდა ხმოვნებსაც შეათანხმებდა. ახლა გვაქვს დისონანსური შიდა შეხმიანება: „დიდი“ და „არ უ“. მე, მაგალითად, მოვძებნიდი საშუალებას, რათა მეორე წყვილეულს „არ უხარია“ შეხამებოდა ბგერათკომპლექსი „ანუ ხანია“.

ჩვენ არ მოგვწონს „კლდე, გრანტისგან ნაგები მტკიცედ“. აქ უზსტოა „ნაგები“. კლდე არაა რაიმესგან ნაგები. ის არის გრანტისგან გამოკვეთილი.

ტექსტში „დედა“ წოდებით ბრუნვაში მეორედაც უსწოროდ არის დაწერილი, ხოლო ორთოგრაფიულად მართებული ფორმაა „შეძლებს“ და არა „შესძლებს“ (11 გვ). არის უხეში კორექტული შეცდომაც – „უსაზღვრობას“ (12 გვ.).

მთლიანად კარგად იკითხება „ულამაზესი ღამე“, ოღონდ პირველი სტრიქონი, ვფიქრობთ, მცდარი და გაუმართავია. იგი ასე გამოიყურება: „ვტოვებ სახურავს ისევ ჩემი პატარა სახლის“ (13 გვ.).

ჯერ ერთი, „სახურავი“ რა შუაშია?! მეორეც, ზმნიზედა „ისევ“ თავის ადგილას არ ზის. ის უნდა იჯდეს ზნის წინ და ზევით. ამიტომაც ჰქვია ზმნიზედა. მაშ, არა „ისევ ჩემი პატარა სხალის“, არამედ „ისევ ვტოვებ“.

საკმაოდ კარგად გამოიყუერბა „მარტი“. რიტმული ინერციის დედნისეული საგანგებო დარღვევაც ჯეროვნად არის შენარჩუნებული, ოღონდ სწორი ორთოგრაფიული ფორმაა „მერცხლის“ და არა „მერცხალის“. ამგვარი ენობრივი დარღვევა, ანუ პოეტური ლიცენზია, შესაძლებელია რითმაში, ოღონდ არა რიტმის შენარჩუნებლად.

მთარგმნელს ჯეროვნად გადმოუღია დედნის ლამაზი ფიგურა: „როგორც ენძელა საფარქვეშ თოვლის, იყო ლამაზი, რაც უნდა გეთქვა!“ (15).

გოეთეს ტექსტში მიუღებელია სპარსული პოეზიისათვის ნიშანდობლივი ტავტოლოგიური რითმა. „ველური ვარდი“ სწორედ ამის ნიმუშს იძლევა. სარითმე წყვილეულებია: „ნახა“ და „ნახვა“.

ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისათვის გაუგებარი დარჩება ფრაზა „ლესავს გასაღებს გლოვის“. „გასაღების ლესვა“ – ასეთი რამ ქართულმა არ იცის.

საგულისხმოა, რომ „ღამეული მგზავრის სიმღერა“ მთარგმნელებს წარმოუდგენიათ ახალი სათაურით – „უთავშესაფროს ღამეული სიმღერა“. ჩვენი აზრით, ეგ ტექსტი გახლავთ კარგად შესრულებული პწკარედი („პადსტროჩნიკი“). ლექსი მეტად მცირეა და მოგვყავს მთლიანად:

მთის მწვერვალების წყებას სძინავს
დუმილში ღამის...
მინდვრის ხავერდზე წვება
ბინდები სველი ნამით...
არ იმტვრება გზა, არც ღამის ჩიტი სტვენს,
მოიცა კიდევ ცოტა
და დამშვიდდები შენც!... (21)

ეს არის საწყისი მოცულობა, სტარტი, საიდანაც მოშაირემ სიჩქარე უნდა აკრიფოს. მაშ, შემოქმედებითი მუშაობა აწი უნდა გაიშალოს! ჩვენ უკვე გვაქვს ამ ლექსის „შპინუნგის“ შესანიშნავი ნიმუშები ქართულ და რუსულ ენებზე. ყოველი მომდევნო თარგმანი იმათზე უკეთესი უნდა იყოს ანდა არ იყოს საერთოდ. მაგალითად, ქართულად გვაქვს:

„დაიცა. ცოტა, დაგეძინება,
შენც დამშვიდდები!

ლერმონტოვმა ფინალი ასე გადმოარუსულა:

Не пылить дорога,
Не шуршать листы;
Подожди немного,
Отдохнёш и ты!

მგონია, რომ ჩვენმა მთარგმნელებმა ამ ლექსზე მუშაობა კვლავაც უნდა განაგრძონ და საქმე ბოლომდე მიიყვანონ.

უფრო უკეთეს თარგმნად გვესახება „იოჰან დანიელ ვაგნერს“ (23), ასევე, „წლები“ (22).

ზოგ ადგილას შეინიშნება ისეთი გამოთქმები, რომლებიც სრულიად უცხოა ჩვენი გარემოსათვის. ლექსში „ვიპოვე“ ნათქვამია: ლამაზი ყვავილი ვიპოვე, „ის ფესვიანად მოვხსენი“ და ჩემს ბაღში გადავრგეო (24). უნდა ყოფილიყო: „მიწიდან ფესვებიანად ამოვიღე“. არაქართულია სინტაგმა ლექსში „უქარო ზღვა“. აი, ისიც: „დუმილი მკვდრული“. უფრო ბუნებრივია „საყდრული მყუდროება“ ანდა „სამარისებური სიჩუმე“. ასევე, არაქართული და უმწეოა „არ გაგიგზავნე ერთი სტრიქონიც“ (26). ალბათ, უნდა ყოფილიყო: „არ გამომიგზავნია შენთვის ერთი პწკარიც კი!“ მგონია, შესასწორებელია გამოთქმა – „მოგზაურებს, მიმავალთ ზღვაზე“ (27); სტილისტურად დასახვეწია ტაეპი: „მე მივეპარე, დავმტკბარიყავ მის გვერდით წოლით“ (28). აქ აკლია კავშირი „რათა“.

ჩვენი აზრით, ავტორის ღირსებას ეკადრება ეგ სტროფი:

და წრიულ ბრუნვას თალხი ჩრდილების
აქა–იქ მთვარის ნათელი ფანტავს...
და მოთამაშე ფერთა დინება
გულამდე, ოჰ, რა სიამით ატანს! (33)

ვფიქრობთ, მშვენიერია დასაწყისი „თირზასეული ელეგიებისა“. ნიმუშად მომყავს, აი, ეგ მონაკვეთი:

„არცერთი სიტყვა მე არ მინდა,
რომ ითქვას მწარე,
არცერთი სიტყვა,
რომ შეარხევს ალერსით სმენას,
უკვე გავრბივარ,
ეგ ნაპირიც დავტოვო ბარემ,
რომელსაც აწი იმ ხმების ტემბრი
ვერ გადასერავს! (43)

საერთოდ, ჩვენი დაკვირვებით, ბაირონისეული ქმნილებები ავტორებს უკეთ გაუგიათ, უკეთ შეუგრძნიათ და უკეთ, სადაც გადმოუქართულებიათ. ამ თარგმანებში გამქრალია ნაძალადეობის კვალი. აგერ ნიმუშიც:

რატომ ვცახცახებთ,
ან ფრთებს ვინ გვაჭრის,
ან ეს ქარები ასე რად ქრიან?!
რად ვუფრთხილდებით,
ო, იმ რგოლს ჯაჭვის,
რომელსაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია?! (60)

ერთგან მთარგმნელმა გამოიგონა (ენის კანონთა დაცვით) მშვენიერი ახალიზმი, როცა ბრძანა: „უიღბლათ ინგლისელებს, რომ დიდი შელი მათი ხორცისა და სულის ნაწილია“ (70). ფრაზაც სწორია და დიდებული ნეოლოგიზმია „უიღბლათ“, ოღონდ იქვე გადააწყდებით ასეთ რასმე: „სწორედ ბრიტანეთის მიწაზე, მისი შთამაგონებელი ღრუბლიანი ცის ქვეშ“ (70).

ვერაფრით ვიწამებ, რომ ვინმესთვის შთამაგონებელი იყო ნისლიანი ალბიონი და ღრუბლიანი ცა.

შელის ბევრი ლექსი კეთილად არის გადმოღებული. განსაკუთრებით ითქმის ეს „მცირე კუნძულზე“. აგერ ორიოდე სტროფი თქმულის დასტურად:

არის შრიალი ფოთლების ხშირი,
ირგვლივ ცეკვავენ ტალღები ჩუმი.
და ნაღვლიანი ხეების ჩრდილი
თითქოს იდუმალს გაურბის დუმილს.
აქ სუნთქვა ოდნავ ისმის ქარების
და ვეღარ აღწევს წვიმები ურჩი
და სავსე მთვარის მინანქარებით
იძინებს მშვიდად კუნძული ლურჯი.

მთავარი შენიშვნა ამგვარია: ყველა პოეტის ქმნილებათა ქართული ტექსტები ერთნაირია; მათში რაიმე განსხვავებული სტილი, მანერა არ იგრძნობა. არადა, გოეთეს სტილი დიდად უნდა განსხვავდებოდეს შელის მანერისაგან და ეგ თარგმნილ ტექსტსაც უნდა ეტყობოდეს! და ამ ერთნაირსა და ერთიან სტილში მაინც გამოირჩევა ქითსის „მარგარიტას სიმღერა“, განსაკუთრებით – მისი პირველი ტაეპები (114). თვალი მოგვტაცა, ასევე, ლექსმა „ჩატერტონს“. აქაც უმჯობესად ვცანით პირველდასაწყისი ტაეპები.

წიგნის ავტორებს დიდი სიყვარულით უთარგმნიათ გარსია ლორკა. მშვენიერი გამოსულა ფინალი წერილისა ამ ცნობილ მგოსანზე: „გვეჩვენება – მისი სახლის ღიად დარჩენილი აივნის კარიდან სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტის აჩრდილი აღტაცებით უცქერის, „თუ როგორ სწყვეტენ ბაღში ბავშვები ფორთოხლებს და როგორ წვება ნამგლის ტრიალში მინდვრად თავთუხი“ (160).

ესენინის ნაკალმარიდან უფრო გულმოდგინედ დაუმუშავებიათ ერთი უსათაუროს საწყისი ტაეპები:

გემშვიდობები, მეგობრებო,
ღელვას ვერ ვმალავ;
ისევ აწყდება, ო, ეგ გული
ნაპირებს მძიმედ!...
და სიყვარულის ყოვლისშემძლე
ფარული ძალა
გვიტოვებს ისევ საიდუმლოდ
შეხვედრის იმედს!... (306).

თარგმანშიც, ისევე როგორც ორიგინალურ შემოქმედებაში, უნდა გამოერიოს ტაეპი–შედევრი, სტროფი–შედევრი, ლექსი–შედევრი, სამუდამოდ რომ ჩაეკირება მკითხველის გულს და იქიდან მერე ვერაფერი ამოშლის, უამისოდ მთარგმნელობით საქმიანობას აზრი არ აქვს. ამ საზრისის ძიებისაკენ არის მიმართული დონა კოლხისა და დავით გაბუნიას ძალისხმევაც.

ცხოვრების ფილოსოფია პოეზიის ენაზე

„სულის ამბოხი. ფიქრები ლექსებად, ცხოვრების ფილოსოფია “

გიორგი მალაშხიას აქამდე ვიცნობდით როგორც გამოჩენილ, ფართო დიაპაზონის მოაზროვნე მეცნიერს. მეცნიერებაში მან შექმნა ეკონომიკის მეტათეორია –ეკონომიკის ფილოსოფია, მრავალი ნაშრომი ეკონომიკის სოციოლოგიაში, თეორიაში, რომლებიც გამოქვეყნებულია, ქართულთან ერთად, ინგლისურ, რუსულ, უკრაინულ და სხვა ენებზე ამერიკაში, რუსეთში, უკრაინაში და სხვა ქვეყნებში. მანვე ჩამოაყალიბა რიგი ახალი მეთოდოლოგიური მიდგომა და პრინციპი ეკონომიკური კვლევებისათვის – ანთროპოცენტრული, აქსიომეტრიული და ევდენომისტური მიდგომები, გენეტიკური პრინციპი. და სხვა ; შეიმუშავა სიმდიდრის (დოვლათის), მოგების, შემოსავლების განაწილების, ეკონომიკურ განვითარების ხარისხის ახალი თეორია, ეკონომიკისა და მთელი ცხოვრების ჰუმანიზაციის გზების კონცეპტუალური თეორიული დებულებები, ჩამოაყალიბა რიგი ეკონომიკური და ზოგად სოციოლოგიური კანონი და ა.შ.

ამჯერად მან ლექსების სოლიდური კრებული (540 გვ.) შემოგვთავაზა.

დავიწყოთ იმით, რომ პოეტი–მეცნიერი სვამს ფილოსოფიურ საკითხს ცხოვრების საზრისი შესახებ. იგი თვლის, რომ ამ საკითხის დასმა, რაც მეცნიერებასა და თვით პრაქტიკაშიც გვხვდება, არამართლზომიერია. „ცხოვრება არის მოცემულობა“, მას თავისთავად აქვს აზრი შინაარსის, დანიშნულების მიხედვით, იმით, რაც იგი არის ის. მისი აზრის თუ უაზრობის შესახებ მსჯელობა ფუჭია. იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, ღირს თუ არა ცხოვრება, რა ფასეულობაა იგი, არამედ იმაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ უკეთ, რა ვაკეთოთ ამისთვის. რაც უფრო ღირსეული, შინაარსიანია ცხოვრება, მით უფრო ფასეულია იგი.

„გულში ღვიოდეს უქრობი ალი,
მზე დიდი ლტოლვის და სიყვარულის,
მასში იქნება სიცოცხლის ძალის
დიდი ზეიმი გამოხატული,
არ გვინდა ბევრი ფიქრი და დავა,
მძიმე კითხვების გამოდევნება,
წლები თუ შრომა–გარჯაში გავა ,
ცხოვრების გზით სვლა არ მოგვწყინდება .“
(„ცხოვრების ფილოსოფია “)

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ავტორი ადამიანს, როგორც უმაღლეს ფასეულობას, მის ნიშან– თვისებებს, პოზიტიურ მხარეებს და ხარვეზებს, ქცევას, ფსიქიკას, ხასიათის სირთულეს, დამოკიდებულებას საკუთარ თავთან და სხვების მიმართ, ფაქტობრივად იმას, თუ როგორი უნდა იყოს იგი, ურთიერთობებს საზოგადოებასთან, ბუნებასთან დამოკიდებულებას, ადამიანის სიყვარულს და მის ადგილს პიროვნების ცხოვრებაში.

ადამიანის, როგორც ურთულესი სოციალური არსების, სხვადასხვა მხარეს ავტორი მრავალმხრივ ეხმიანება. ადამიანის ბუნება, მისწრაფებები, ინტერესები ქცევა, სიყვარული, სიძულვილი, მეგობრობა, მტრობა ყოველთვის იყო პოეზიის საგანი. გიორგი მალაშხია აქაც ორიგინალურია, მისი ხედვა ფართოა, მრავლის მთქმელი. მას ახასიათებს ამ მოვლენებში ღრმა წვდომა. იგი არ იმეორებს სხვას. მას თავისი სათქმელი აქვს. მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს ადამიანის განუმეორებელ ბუნებას, შემოქმედებით შესაძლებლობებს, სიკეთეს, სილამაზეს. ამასთან დიდ ადგილი უკავია მის წინააღმდეგობრივ ბუნებას, იმას ,რომ იგი თავად აყენებს დიდ ზიანს თავისავე თავსა და სხვებს, („რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“ ხალხური სიბრძნის თანახმად) ,რაც დასაბამიდან მოსდგამს მას. პოეტის მიხედვით, იგი გამოდის თავისი თავის მტრადაც და სხვებისაც, რაც ართულებს ცხოვრებას. „ყველა სიავე თვით კაცთგან მოდის,. მრუდი ქცევები დ აზროვნება აბნევს ყოფასა და საღ გონებას“ („არასწორად ცხოვრება“). ყველაზე მეტ სიავე ადამიანი თვით უმზადებს თავისთავს, სხვა კი არავინ, რადგან ცდება თავისი ინტერესების, მიზნების, სიკეთის გაგებაში და ა.შ. სწორედ ადამიანის ბუნების თავისებურებათა გამოა ცხოვრება რთული და მახინჯიც, მიუღებელი მოვლენებით სავსე, მაგრამ საპირისპიროდ მიმზიდველიც, აზრიანიც თავისი პოზიტიური მხარით.

ცხოვრების გაუმჯობესების გზა დევს სწორედ ადამიანის ნეგატიური თვისებების აღკვეთაში.

.. თუ კი მივყვებით ჭეშმარიტებას,
თუ დავითაფლებთ გულსა და ენას,
სულაც იოლად, სულაც მარტივად
არ დაგვჭირდება თავ–პირის მტვრევა
თუ კი სიკეთის ხე დიდი დავრგეთ,
კარგი ცხოვრება ყველას გვეწვევა..“
(„კარგად ცხოვრება “)

ყოველივე ამას ავტორი უკავშირებს ადამიანურ ფასეულობებს –ზნეობას, სამართლიანობას, მშვენიერებას, მეგობრობას, სიყვარულს და ა.შ., რასაც უპირისპირებს უზნეობას, უსამართლობას, სიძულვილს, ბოროტებას. მას კარგად ესმის, რომ მთელი ცხოვრების სირთულე ამ წყვილად მოვლენებშია, რომელთა არსებობაში მთავარია პირველის გადამწყვეტი როლი, რადგან მეორეთა სრულად აღკვეთა შეუძლებელია, რადგან ადამიანი ყოველთვის უშვებს რაღაც შეცდომებს, მას ეს ახასიათებს erare humanum est.

მთელი კაცობრიობა ჯერ კიდევ ჭეშმარიტი ცოდნისა და მოქმედებისაგან სადღაც გზის დასაწყისში იმყოფება. ამიტომაცაა ცხოვრება ასე არასრულყოფილი, გამრუდებული, საერთოდ, თუმცა მის მომხიბვლელ და სასიამოვნო მხარეებს ავტორი კარგად ხედავს.

გიორგი მალაშხიას, როგორც მეცნიერსა და პოეტს, აინტერესებს ისტორიული პროცესი, მისი ხასიათი, კანონზომიერებანი, კონფლიქტები პერსპექტივა. მას არაერთი მეცნიერული ნაშრომი აქვს ამ თემებზე. პოეზიაში იგი ცდილობს ჩაწვდეს ისტორიის კანონებს, მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარების მიზეზებს და შედეგებს, ადამიანთა თანაცხოვრების გაუმჯობესების გზებს. გვაწვდის ამ საკითხებზე ხატოვნად, მხატვრული სახეების, ფერების მეშვეობით წარმოდგენილ კონცეპტს.

ის ამბოხებულია ისტორიულ უსამართლობათა, მრუდი გზების, სწორი ვექტორიდან გადახრის ფაქტების გამო და თვლის, რომ აუცილებელია მთელი კაცობრიობის ამბოხებაც ამის წინააღმდეგ, რის გარეშე ადამიანთა მოდგმა თავისვე თავს უმზადებს სუიციდს, რადგან მისი საქციელო მთლიანობაში გაუაზრებელია, უგუნურებას შეიცავს, რამდენადაც შეუთანხმებელი, წინააღმდეგობრივია, კატასტროფის წინაშე აყენებს თავის თავს, თუ კი არ შემობრუნდება გონიერებისკენ. კაცობრიობა მატერიალურ ინტერესებსაა გამოკიდებული, ნაკლებად ფიქრობს და ზრუნავს მომავალ თაობათა ბედზე, მით უფრო შორეულზე. პოეტი არ უარყოფს კაცობრიობის სიბრძნეს, მაგრამ ხედავს მის საზიანო დიდი ცდომილებებს. აბა, რა არის ადამიანებს შორის მტრობა, ერთის მიერ მეორის ჩაგვრა, ძარცვა, ომები და ხოცვა–ჟლეტა, გაუთავებელი ზრუნვა სიმდიდრეზე, ბუნების განდგურება ამ მიზნის მისაღწევად. სამწუხაროდ, ამ მხრივ კაცობრიობა კვლავ ძველ პოზიციაზეა და დიდად არ დაცილებია შორეულ წარსულს. თითქოს პარადოქსია, ცივილიზაციის მიღწევებით ვამაყობთ და მართებულადაც. მაგრამ უნდა სირცხვილის გრძნობაც გვაწუხებდეს იმ საშინელებათა გამო, რავ ირგვლივ ხდება, თუ კარგად დავაკვირდებით, დავეთანხმებით ავტორის აზრს: „სირცხვილი შენდა homo sapiens“! ამას შეგვახსენებს ავტორი და ეს, ვფიქრობთ ზედმეტი სულაც არაა, ჯეროვანია. დიახაც, რომ უპრიანია, მით უფრო, თუ ყველასთვის არა, ბევრისთვის მაინც. ეს სიგიჟეს მოგვაგონებს და უბრალოდ დიდი სირცხვილიცაა. პოეტი კვლავდაკვლავ რომ იმეორებს „სირცხვილი შენდა, კაცობრიობავ,“ თამამადაა ნათქვამია, იქნებ ზედმეტად თამამად, მაგრამ სამართლიანად. ეს გაფრთხილება უბრალო ადამიანის, ადამიანთა ერთობის წევრისაგან განა შთამბეჭდავად არ ჟღერს, როცა ამდენი უბედურება , თვით ადამიანთა მიზეზით მოდებულია ამ პლანეტას! ასევე გასაგების, ის, რ თუ როგორაა შეწუხებული პოეტი ამით და მოუწოდებს ადამიანებს ამ ცდომილებათა დაძლევისაკენ. ყოველივე ეს თითქოს თავისთავად ცხადია, მაგრამ მას ხომ უნდა შესატყვისად გამოხატვა, ხმამაღლა თქმა? ყველა კი ყოველდღიურობისაგან გადატვირთული ამას, როგორც წესი, ვერ ხვდება. ამიტომაც ავტორი ამაში, ჩვენი აზრით, სავსებით სწორ პოზიციაზეა და კარგ საქმეს აკეთებს, თუ მას გავუგებთ. არ არსებობს კონტრარგუმეტი, რომ უარვყოთ აზრი,:,,,,სისაძაგლისგან თითქოს მთელი პლანეტა ყარსო “. ამიტომ:

„დასანგრევია ძველი სამყარო,
სიბინძურის და სიმუხთლის ბუდე,
სადაც არა ჩქეფს სიწმინდის წყარო,
რასაც საძირკვლად სიავე უდევს !
(„ძველი სამყარო „)“

ყოველივე დროს მოაქვს. იგი უძლეველი და ულმობელია, მაგრამ ადამიანებმაც შეიძლება თავის სასარგებლოდ ბევრი რამ გადაწყვიტონ ისტორიაში. ისტორიის შემოქმედი ხალხია, მაგრამ იგი ჭრელია არაერთგვაროვანი და მიტომაც ისტორია ორნაირია : დიადი, ღირსშესანიშნავი საოცრებებით აღსავსე და საშინელებებით დატვირთული. რამდენადაც შესაძლებელია ადამინები პროგრესისაკენ უნდა მიილტვოდნენ. და პოეტი მიუთითებს პროგრესის გზებზე, სიკეთის გზაზე, რაც ცნობილია, მაგრამ იგი თავის აზრს განუმეორებელი სახეებითა და ფრებით გვიხატავს, თითოეული ადამიანის როლზე მიუთითებს, თუ როგორი უნდა იყოს ეს როლი ლამაზად და ღირსეულად ცხოვრებისათვის.

ავტორი აქცენტს აკეთებს სიყვარულზე, როგორც ადამიანთა კარგად, ბედნიერად ცხოვრების საკვანძო პირობაზე, უდიადეს, უფაქიზეს გრძნობაზე, რაც ქმნის ადამიანის არსებობის ერთ–ერთ საფუძველს. სიყვარული ღრმა გრძნობაა, იგი ფართოდაა გაგებული, მასში ნაგულისხმევია არა მართი მამაკაცისა და ქალი, არამედ ადამიანის, ბუნების, სამშობლოს, საკუთარი თავის, კუთხის, მხარის, სოფლის, თუ ქალაქის, შრომის, სწავლის, სიცოცხლის სიყვარული, კაცთმოყვარეობა – ეს მარადიული თემა განხილულია სიძულვილთან, როგორც სიყვარულის ანტიპოდთან, შეპირისპირებით, თავისებური ხედვით, ისეთი სახეებით, რაც ავტორის ნააზრევს ორიგინალობას სძენს.

გამოკვეთილია ავტორის შემოქმედებაში პატრიოტიზმის გრძნობა, სამშობლოს სიყვარული, რაც ადამიანის მთელ უნარს, შესაძლებლობას აათკეცებს.

. „შენს მთებზე როცა ავალ, ვარწივობ,
ამირანივით მიფეთქავს მაჯა,
კავკასიონი მხრით რომ ავწიო ,
მომეჩვენება სულ მცირე გარჯად. “
(„სამშობლოს “)

ავტორის ლექსებში ხაზგასმულია სიცოცხლის სიყვარულის ადგილი, რის გარეშე ადამიანის ცხოვრება სიცარიელეა. „ეს სიყვარული უმაღლესია.“ ადამიანის სიყვარულში ქალისა და კაცის სიყვარული იკავებს დიდი ადგილს, თუმცა ის საერთო ადამიანურ სიყვარულს უსვამს ხაზს, მეცნიერული გაგების მოხმობითაც „მე შენ მიყვარხარ, ადამიანო“. ამის გარეშე ადამიანი უბრალო ცოცხალ არსებას ემსგავსება. გარკვეული ფორმით და აზრით, ავტორი ხარკს უხდის თავის პროფესიას. იგი, როგორც ვთქვით, მეტაეკონომიკის შემქმნელია და მისდევს ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენათა გლობალურ ხედვას, სიღრმეში წვდომას, ძირეულ პროცესთა საფუძველზე ცხოვრების მოვლენათა ახსნას. მან მხატვრულად დაგვიდასტურა, რომ საზოგადოებისა და პიროვნებათა სიმდიდრე შექმნილია არა მარტო მათი უშუალო შრომით, არამედ მთელი ისტორიული ძალების, წინაპართა, მათი გამოცდილების, დაგროვილი ცოდნის, ისტორიის მანძილზე შემუშავებულ გამოგონებათა, კაცობრიობის გონების მონაწილეობით, რომელიც ბუნების ძალებს სულ უფრო ფართოდ და რაციონალურად იყენებს. ასე ახსნა მან სიმდიდრის შექმნა, დანახარჯზე მეტი დოვლათის მიღება, მოგების წარმოშობა, წყაროები, არსებულ თეორიათაგან განსხვავებით. სწორედ ამის საფუძველზეა შესაძლებელი სიმდიდრის გადიდება, მატება , კეთილდღეობის გაუმჯობესება. ეს აზრი კარგად მოჩანს მის ლექსებში „ერთი ვერავინ“, სიმდიდრე “ და სხვა.

მოულოდნელი არაა პოეტი–მეცნიერის მიერ ადამიანთა, მთელი საზოგადოების ცხოვრებაში შრომის ადგილისა და როლის წამოწევა და მხატვრულ სამოსელში წარმოჩენა. შრომის თემა მხატვრულ ლიტერატურაში თვით მისი სათავეებიდან, ჰესიოდეს „დღეები და მუშაობებიან“ მოდის. მას ყურადღება დაუთმეს ქართულ ლიტერატურაში გრიგოლ ორბელინმა, დიდმა ილიამ და სხვა ქართველმა პოეტებმაც. გიორგი მალაშხიას სტრიქონების წაკითხვით ცხადად აღვიქვამთ შრომის არა მარტო, როგორც ადამიანთა არსებობის წყაროს, არამედ მისი თვითდამკვიდრების, თვითრეალიზაციის, არსების გამოხატვის, სიამოვნებისა და კმაყოფილების, ესთეტიკური ტკბობის საშუალების როლს და მნიშვნელობას. საუბარია თავისუფალ, შემოქმედებითი ელემენტის შემცველ, შინაარსით დატვირთულ შრომაზე, რომელიც ადამიანის ბუნებრივ, შინაგან მოთხოვნილებადაა ქცეული. ყველა ადამიანის მთავარ წოდებად ავტორს მშრომელი მიაჩნია:

„წოდება ჩვენი მოუსპობელი
იყო და არის კაცი მშრომელი .“
(„მშრომელი “).

ცხოვრებაში წარმატებები – ეს ადვილი არავისთვისაა, ადვილად მიუღწეველია, მაგრამ არსებობს მისი ერთადერთი უებარი წყარო – შრომა.

„ვერაფერს ვაღწევ ადვილად,
მაინც არა მაქვს წყრომა,
რაც კი მიმართლებს ნამდვილად
შრომა და მხოლო დ შრომა “.
(„შრომა“)

შრომა არაა ადვილი საქმიანობა, იგი გართობად არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორადაც ერთ დროს მის გადაქცევად ფიქრობდა ზოგიერთი

ეკონომიკის და სოციალური ცხოვრების ფილოსოფიურ ასპექტებს ეხება მისი ლექსები ზომიერების, უქმი ეკონომიკისა და ზედმეტი მოხმარების, სიხარბის სიავის, ზიანის, დოვლათის სამართლიანი განაწილების შესახებ. აქ დახატულია ის სურათები, რომლებიც წარმოქმნება ამ უარყოფით მოვლენებთან, ადამიანთა არაგონივრულ, არასწორ ქცევებთან დაკავშირებით.

ბოლოს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ლამაზად, ჩვენი აზრით, დანახული სინამდვილის სურათები, ლირიკული ლექსები, რომლებშიც ბუნება თუ ადამიანი სადა, მომხიბლველი ფორმითაა წარმოჩენილი. მაგალითად მოვიტანთ ლექსს „ეგზოტიკა,“ რომლის მსგავსი, სიამოვნების მომგვრელი სხვა ლექსებიც ბევრია კრებულში.

„აქ ვივარცხნიდი ლურჯ წყალში ქოჩორს,
სარკის ლაპლაპით ელავდა ღელე,
და ზიმზიმებდა იების ფოჩი,
წყალში იფანი იბანდა ხელებს.
იდგა მურყანი ნამტირალევი,
ფესვებს უბანდა ჩანჩქერი თელებს,
მოჩანდა ცა, ვით ლურჯი თვალები...“

გივი ბედიანაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი,

მაია ბენია,
ნინო ჩიკვილაძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორები.

რევაზ მიშველაძის ახალი რომანი

საქართველოს სახალხო მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ნობელის პრემიის ნომინანტის რევაზ მიშველაძის ამ ახალ რომანში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ აშენებდნენ საქართველოს უკეთესი შვილნი ეროვნულ სახელმწიფოს და როგორ შეცვალა თუნდაც ბოლო სამასი წლის განმავლობაში ერის ფსიქიკა ულმობელმა დრომ და უბედო ბედმა.

„წამება“ რევაზ მიშველაძის მესამე რომანია. პირველი - „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ (2011 წ.) წლის საუკეთესო რომანად იქნა აღიარებული. მეორე - „ციყვი ბორბალში“ (2016 წ.) ნობელის პრემიაზეა წარდგენილი. „წამება“ ქართველი პროფესორის დრამატულ ცხოვრებაზე გვიამბობს ამ ჩვენს გაუსაძლის დროში.



იური ბიბილეიშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იური (გიორგი) ავქსენტის ძე ბიბილეიშვილი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა მრავალმხრივი შემოქმედებითი ინტერესის მქონე ლიტერატორი და მეცნიერი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში დაუცხრომლად, დაუზარებლად იღვწოდა ქართული სულიერების სარბიელზე.

იური ბიბილეიშვილი დაიბადა 1935 წლის 1 ნოემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიში. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. საშუალო სკოლა კი ბათუმში 1955 წელს დაამთავრა. იმავე წელს იგი ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, სადაც მხოლოდ პირველი კურსის დახურვა მოასწრო, რადგანაც იმდროინდელმა საბჭოთა ხელისუფლებამ პოლიტიკური მოსაზრებებით დააპატიმრა და 2 წელი მორდვეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქ იავასის პოლიტიკურ პატიმართა ბანაკში გაატარა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იური ბიბილეიშვილმა სწავლა განაგრძო ბათუმის ინსტიტუტში, რომელიც 1962 დაასრულა.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იური ბიბილეიშვილი მუშაობდა ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, აჭარის კულტურის სამინისტროს მეთოდისტად, ბათუმის განათლების განყოფილების ინსპექტორად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. არჩეული იყო საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უზენაესი საბჭოს წევრად.

იური ბიბილეიშვილის სამწერლო დებიუტი 1958 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი „შალვა შუბლაძის პოეზია“. მას შემდეგ იური ბიბილეიშვილის ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო თუ სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

მისი კრებულები - „ლიტერატურული წერილები“, „ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები“, „დრამატურგების ქალაქი“, „ცხოვრების საზრისი“, „ცხოვრების შუაგულში“, „სული უკვდავი“ (2 ტომად), „ნექტრით სავსე ფიალა“ და სხვები ყურადღებას დახვეწილი გემოვნებით, საკვლევი მასალის ღრმა ცოდნით, პირუთვნელობით, ობიექტურობით იმსახურებენ.

იური ბიბილეიშვილმა საყურადღებო წიგნები უძღვნა ქართული მწერლობის და ხელოვნების ისეთ აღიარებულ ოსტატებს, როგორნიც არიან: რევაზ მიშველაძე („რევაზ მიშველაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში“ და „ცხოვრების საზრისი“) ; საქართველოს სახალხო არტისტი იური ცანავა („ხელოვანი სიკეთის სამსახურში“), საქართველოს სახალხო არტისტი აკაკი მგელაძე („აკაკი მგელაძე“), საქართველოს დამსახურებული არტისტი ამირან ტაკიძე („სცენას შეწირული სიცოცხლე“).

იური ბიბილეიშვილის მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევები პედაგოგიკაში („ქართული კომენოლოგია“, „ბავშვის განვითარების კონცეფციები იან ამოს კომენსკის მოძღვრებაში“, „ფიქრები აღზრდაზე“, „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები“), სტატიები პედაგოგიკის ისეთ კლასიკოსებზე, როგორნიც იყვნენ ლოკი, რუსო, პესტალოცი, ჰერბარტი, დისტერვეტი, ოუენი, გოგებაშვილი, უშინსკი, მეცნიერების ამ ურთულესი დარგის მიღწევათა რიგს განეკუთვნება.

იური ბიბილეიშვილს 1997 წელს პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიენიჭა, ხოლო 1999 წელს კი ნაშრომისათვის - „აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედება“ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის. ორასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი არაერთი სესიის, სიმპოზიუმისა თუ კონფერენციის მონაწილე ყოფილა ბაქოში, მოსკოვსა თუ ბერლინში, პრაღასა თუ მინსკში და ყველგან ღირსეულად წარმოუჩენია ქართული პედაგოგიკის სამეცნიერო სკოლა.

იური ბიბილეიშვილს მინიჭებული ჰქონდა ნიკო ნიკოლაძის პრემია, აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, ჩეხეთის ეროვნული კრების საპატიო სიგელი და იან ამოს კომენსკის მედალი. სრულიად დამსახურებულად ატარებდა აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებას.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ იური ბიბილეიშვილი - ღირსეული შემოქმედი, მეცნიერი, მოღვაწე.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ძვირფასო იური!

ერთად ვიარეთ ლიტერატურის ოღროჩოღრო ბილიკებზე ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში და აჰა, გეთხოვები ჩემს უერთგულეს მეგობარს და თანამებრძოლს.

მიდიხარ და თან მიგაქვს სამშობლოს უილაჯო მდგომარეობით ატკივებული გული.

ფასდაუდებელია შენი ღვაწლი, როგორც მწერლობის ერთგული გუშაგის და მუხლჩაუხრელი მედროშისა ქვეყნის წინაშე.

იძინე მშვიდად.

ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო შენს დაკრძალვას ვერ ვესწრები, მაგრამ ნუგეშად ისღა მრჩება, რომ მეც მალე მოგყვები.

შენი რევაზ მიშველაძე

გივი ლომიძის გახსენება



მის პიროვნებაში თავმოყრილი იყო სწავლული კაცის ყველა ღირსება - ფართო ერუდიცია, მაღალი პროფესიონალიზმი, პრინციპულობა და ბუნებრივად შეთვისებული თავმდაბლობა. გივი ლომიძის, როგორც მკვლევარის ინტერესთა სფერო მოიცავდა დრამის თეორიის პრობლემატიკას, ქართველ მწერალთა მხატვრული აზროვნების ეროვნულ თავისებურებებს და ზოგადი პოეტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

გივი ლომიძე 1961 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. დაცული ჰქონდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის აღსანიშნავია ცალკე წიგნებად გამოცემული კრებულები: „კომედიის ჟანრობრივი თავისებურებების პრობლემა“, „დრამის თეორია XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ კრიტიკასა და ესთეტიკურ ნააზრევში“, „ესთეტიკური აღზრდის საკითხები“ და სხვა.

ჩვენ ათეული წლების განმავლობაში ერთმანეთის მხარდამხარ ვეწეოდით სამეცნიერო საქმიანობას. ლიტერატურის ინსტიტუტი იმჟამად ქართული ფილოლოგიური აზროვნების მძლავრ კერას წარმოადგენდა. ჩინებული მოაზროვნეები მოღვაწეობდნენ თეორიის განყოფილებაშიც. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა აკაკი გაწერელიას განუმეორებელი ფიგურა. გივი ლომიძის პიროვნებისადმი მისი ხაზგასმული პატივისცემა ჩვენთვის დღემდე მრავლისმეტყველ ფაქტს წარმოადგენს.

გივი ლომიძე, როგორც მამულიშვილი, გულწრფელად იდგა იმ ადამიანთა გვერდით, რომლებიც ქართული ეროვნული იდეალების ხორცშესხმისათვის იბრძოდნენ. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ამ ბრძოლის ეპიცენტრად სწორედ ლიტერატურის ინსტიტუტი მოიაზრებოდა.

გივი ლომიძე ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წავიდა.

იშრომა, იღვაწა, იჭირისუფლა და კეთილი სული უფალს მიაბარა.

კარგი შვილები და კარგი სახელი დატოვა.

ასეთ კაცს კი დავიწყება არ უწერია.

ის ჩვენს მოგონებებში აგრძელებს სიცოცხლეს.

მეგობრები

მოსაგონარი

ერთი წელი შესრულდა შალვა სირბილაშვილის გარდაცვალებიდან.

აღარ არის ჩვენს შორის ნიჭიერი პოეტი და პროზაიკოსი, პიროვნული თვისებებით გამორჩეული კაცი, სამაგალითო მოქალაქე, გულმხურვალე პატრიოტი და მამულიშვილი.

იგი ფიზიკურად დაგვშორდა, მაგრამ გვჯერა, რომ ქართველი მკითხველის თაროზე მის წიგნებს მტვერი არასოდეს დაედება.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალი

შოთა ქავთარაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საბავშვო მწერალი

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქართული წერილი
№6
ფასი 1 ლარი
1-30 სექტემბერი
2017
მისამართი: ვაჩაძლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail.ru; luizagogelia@mail.ru
9 771987 698009